შეცვლილი მშობლობა

ქვიარ ადამიანების მშობლების სათქმელი: კოლექტიური დარდი და ძლიერება

პუბლიკაცია დაიბეჭდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით, ინიციატივის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და ნორვეგიის თვალსაზრისს.

www.wisg.org
თბილისი
2025

შეცვლილი მშობლობა

ქვიარ ადამიანების მშობლების სათქმელი: კოლექტიური დარდი და ძლიერება

გიგა კარაპეტიანი

ISBN: 978-9941-8-7705-6

©ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2025

E-mail: info@wisg.org

Tel: (032) 224 01 03

www.wisg.org

თარგმანი: მედეა რუსიშვილი

ყდის დიზაინი: ნონი გარდავა

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით.

შეცვლილი მშობლობა

ქვიარ ადამიანების მშობლების სათქმელი: კოლექტიური დარდი და ძლიერება

გიგა კარაპეტიანი

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
თბილისი 2025

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ფემინისტური ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, ქალთა გაძლიერების და პოლიტიკური მონაწილეობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების შენების ხელშეწყობა.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი მუშაობს ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების, ასევე სხვა მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა საკითხებზე.

WISG მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: ადვოკატირება ქალთა და ქვიარ საკითხების პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის; თემის გაძლიერება სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად; გენდერისა და სექსუალობის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი კრიტიკული ცოდნის შექმნა კვლევებისა და სახელოვნებო პროექტების გზით; ინტერსექციური ქვიარ ფემინისტური ორგანიზების პრაქტიკის განვითარება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ავტორია საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ძირითადი კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის. ჩვენი კვლევები, ჩრდილოვანი ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე ინფორმაცია სხვა აქტივობების შესახებ, ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებსაიტზე: https://wisg.org/ka

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
დაზუსტება მკითხველისთვის 15
კრებულზე მუშაობის მიზანი 17
კვლევის სამუშაო ინსტრუმენტები 19
  მეთოდოლოგია, მიდგომა და მეთოდი 19
  შერჩევა 21
მიგნებები და საველე სამუშაოების დახასიათება 23
წარსული 27
  ახალგაზრდობის წლები: ცენზურა, კავშირები და სტიგმა 27
  დაოჯახება და განშორება: (ვერ)გამართლებული მოლოდინები 34
  მშობლად ყოფნის გადაწყვეტილება და თანმდევი სირთულეები 41
აწმყო 53
  შეცვლილი მშობლობა 53
  ქვიარი შვილი და გარესამყაროსთან თანაცხოვრება 76
მომავალი 99
მშობლების სათქმელი მშობლებს 107

წინასიტყვაობა

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) ორ დეკადაზე მეტია მუშაობს ქვიარ საკითხებზე საქართველოში. ჰომო/ბი/ტრანსფობიის მრავალშრიანობისა და დინამიური ხასიათის გააზრებას ეფუძნება ორგანიზაციის პროგრამული საქმიანობა სტრატეგიული სამართალწარმოების, თემის გაძლიერების და გენდერის და სექსუალობის შესახებ ცოდნის შექმნის მიმართულებით. ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობების კომპლექსურობაზე მიუთითებს ადგილობრივი ქვიარ თემის გამოცდილებებისა და საჭიროებების, ასევე ქვეყანაში ჩატარებული საზოგადოებრივი განწყობების ცვლილებების კვლევა და ანალიზიც.

საზოგადოების უმრავლესობა დღემდე მიიჩნევს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობია მხოლოდ ლგბტქი თემის წევრებზე აისახება და გავლენას არ ახდენს მათ გარემოცვასა და ურთიერთობაზე მიკრო სოციალურ დონეზე. თუმცა, რეალობა აჩვენებს, რომ ნეგატიური საზოგადოებრივი განწყობებით მოტანილი ზიანი გაცილებით ფართოა და ხშირად ისეთ ინტიმურ სივრცეებშიც აღწევს, როგორიცაა მშობლისა და შვილის ურთიერთობა.

პატრიარქალური საზოგადოება ხშირად მორალურ პასუხისმგებლობას სწორედ ქვიარ ადამიანების ოჯახსა და მშობლებს აკისრებს „არასწორი აღზრდის“ გამო. მშობლების ნაწილი ამ განწყობების ინტერნალიზებას ახდენს და დაუსრულებლად ეძებს კითხვებზე პასუხს, „სად დაუშვა შეცდომა“. ისინი, ვინც ღიად უჭერენ მხარს საკუთარ შვილებს, თავადაც შეიძლება გახდნენ ბულინგის, გარიყვისა თუ ძალადობის მსხვერპლნი საზოგადოების მხრიდან.

არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, ათწლეულზე მეტია, ორგანიზაცია უსაფრთხო სივრცეს ქმნის ლგბტქი ადამიანთა მშობლებისთვის. ეს ურთიერთმხარდამჭერი სივრცე არა მხოლოდ გამოცდილების, ცოდნის, ინფორმაციის და ემოციის გაცვლის ადგილია, არამედ საშუალებას აძლევს მშობლებს, რომ მნიშვნელოვან დასაყრდენად იქცნენ როგორც შვილებისთვის, ისე ერთმანეთისთვის.

არსებული პოლიტიკური ჰომოფობიის პირობებში, ურთიერთზრუნვის და სოლიდარობის სივრცეების გაფართოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენთვის გამორჩეული ძალისა და დატვირთვის მატარებელია ქვიარ ადამიანების მშობლების ხმა. სწორედ ამიტომ გადავწყვი-

ტეთ მათი გამოცდილების გაზიარება უფრო ფართო საზოგადოებისთვის წინამდებარე კვლევის მეშვეობით.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მკვლევარს, გიგა კარაპეტიანს, რომელიც განსაკუთრებული პროფესიული ეთიკურობით მიუდგა ამ საკითხს და შეძლო, მოეხელთებინა ქვიარ ადამიანთა მშობლების უნიკალური გამოცდილებები.

ვფიქრობთ, წინამდებარე კვლევას გარდამქმნელი პოტენციალი აქვს და საინტერესო იქნება არა მხოლოდ მკვლევრებისა თუ ცვლილებებზე მომუშავე ინსტიტუციებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

გამელვიძა. მის სუნთქვას დავაყურადე. ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე, უფრო ზედაპირულად, უფრო სწრაფად სუნთქავდა. გავფაციცდი. ამ დროს კონდიციონერი ჩაირთო და მისი სუნთქვის ხმა გადაფარა. თითქოს ზღვარზე ვიგრძენი თავი, ადრეც მქონია ეს შეგრძნება: ისევ გავიგონებ სუნთქვას, როცა კონდიციონერი ჩაჩუმდება? დავიძაბე, რომ მისი სუნთქვა გამერჩია იმ ხმაურში, მაგრამ არაფერი მესმოდა. წამოვხტი და დავაჩერდი, რომ დავკვირვებოდი, უმოძრავებდა თუ არა მკერდი. მოძრაობა ვერ შევნიშნე. უცებ კონდიციონერმა დაიხრიალა და ამ ხმაზე მარცხენა ხელი შეუხტა. ზეწარს ჩაებღაუჭა. ჰელოუინის სიფრიფანა მოჩვენებას ჰგავდა, ეს მისი პირველი მოძრაობა იყო. ნიშანი იყო. იმ ხელთან მივუჩოჩდი. თვალები ღია ჰქონდა, ჭერს აჰყურებდა, პირი დახურული ჰქონდა, სახე – გასწორებული. ლამაზი იყო [1].

მეგი ნელსონი

1 'არგონავტები', ხათუნა ცხადაძის თარგმანი. გამომცემლობა 'პოლინომიალი', 2024.

მე ყოველთვის ვიცოდი, ვინ უნდა ვყოფილიყავი. საკმაოდ პატარა ასაკში ვიცოდი. მე-5 კლასში ზუსტად ვიცოდი; ისიც ვიცოდი, რომ შავი თმა უნდა მქონოდა და არა „რიჟა“. ზუსტად ვიცოდი. მე ვცხოვრობ მომავლით და ხვალინდელი დღით. ბავშვობიდან ვხატავდი ზუსტად ისეთ ქალებს, როგორიც ვარ ამწუთას მე. ეს იყო ოცნება და ოცნებები ხდება [2].

კესარია აბრამიძე

2 გადაცემა ‘პროფილი’ სეზონი 14, გადაცემა #7; ნახვის თარიღი YouTube-ზე - 12.10.2024.

დაზუსტება მკითხველისთვის

ამ ანგარიშზე მუშაობა 2024 წლის ივლისში დავიწყე. ანგარიში ქვიარ ადამიანების მშობლების საჭიროებების, გამოცდილებების შესწავლას ისახავდა მიზნად. განვიზრახე, რომ ეს გამოცდილებები ადგილობრივ კონტექსტებთან თანხვედრაში მეკვლია და გამომეკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც თავად ქვიარ ადამიანების მშობლებისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. ამ გამოცდილებების კონტექსტში მოთავსება, მარტივი არ ყოფილა; არც ჩემთვის – როგორც მსმენელის ამპლუაში მყოფისთვის და არც მთხრობელებისთვის – მშობლებისთვის, რომლებიც საკუთარ გამოცდილებებზე მსჯელობას წარსულით იწყებდნენ, შემდეგ აწმყო მდგომარეობას აფასებდნენ და ამ ორზე რეფლექსიით – მომავლის მიმართ რწმენებზე ფიქრობდნენ. ამ დოკუმენტს შემდეგ სექციებში მოვიხსენიებ, როგორც ისტორიების კრებულს ან როგორც კვლევაზე დაფუძნებულ წიგნს. ეს სახელდებები, თავად მთხრობელებმა შექმნეს და მთხოვეს, ეს კრებული საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე დამეწერა, მათი ენა, სიტყვები შემენარჩუნებინა, რათა არ ყოფილიყო კვლევა მხოლოდ კვლევის შედეგებით დაინტერესებული პირებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ხვდება შვილებისთვის მშობლების მხარდაჭერის მნიშვნელობას და ამ, ხშირად რთული, მხარდაჭერის შენების პროცესზე მშობლების პერსპექტივების გაგება სურს. ჩემი აზრით, ეს კვლევა მნიშვნელოვან გარემოებებზე დაფიქრების შესაძლებლობას თავად ქვიარ ადამიანებსაც მისცემს, ხოლო მთხრობელების აზრით, აღნიშნული კრებული ნებისმიერ მკითხველს დაანახებს მშობლობის მრავალშრიანობას – მშობლად ყოფნის სხვადასხვა ფაზებსა და ამ ფაზებში ჩაკარგულ, მშობლობის გამოცდილებებს შორის ხშირად უხილავ მსგავსებებსა თუ განსხვავებებს. რეალობებს, რომლებიც მშობლების ერთმანეთთან შეკავშირების ხილვად თუ უხილავ ქსელებს ქმნის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“, იმისთვის, რომ კრებულზე მუშაობის ჩემი ოცნება რეალობად აქცია და იმისთვის, რომ გამორჩეულად ღირსეული შრომითი გარემო შექმნა, როგორც ჩემთვის, ასევე კრებულის მთავარი გმირებისთვის – მშობლებისთვის. ამასთანავე, მადლობას ვუხდი ერთდროულად ძალიან მძიმე და ბრძოლისუნარიანი გამოცდილებების გამზიარებელ მთხრობელებს; ჩემს კოლეგებსაც, რომლებმაც მნიშვნელოვანი რჩევები გამიზიარეს, განსაკუთრებით ამ კრებულის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

კრებულზე მუშაობის მიზანი

წარმოდგენილი დოკუმენტი, მიზნად ისახავს შეისწავლოს ქვიარი ადამიანების საქართველოში მცხოვრები მშობლების – დედებისა და მამების, მშობლობასთან დაკავშირებული გამოცდილებები; კრებული ცენტრში აქცევს მშობლების გამოცდილებების უნიკალურობას და ცდილობს, აღნიშნულის ძიებისა და აღწერის პროცესში, მშობლებისგან ინფორმაცია იმ პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური კონტექსტების შესახებ შეაგროვოს, რომლებმაც გავლენა მათ იდენტობასა და მშობლად ყოფნაზე მოახდინეს. ინტერვიუირების პროცესის დაწყებამდე, სამუშაო მიზანთან დაკავშირებული შემდეგი საკითხების კვლევა განისაზღვრა:

- ახალგაზრდობის წლებთან დაკავშირებული გამოცდილებები: საზოგადოებრივი სტიგმა და სოციალური კავშირები;
- დაოჯახებასთან და განშორებასთან დაკავშირებული გამართლებული თუ ვერ-გამართლებული მოლოდინები;
- მშობლად ყოფნის გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და მიზნები და აღნიშნულთან დაკავშირებული გამოწვევები;
- ტრანსფორმირებული მშობლობა: ქვიარი შვილი და გარესამყაროსთან თანაცხოვრების ახალი ფორმები;
- მომავალის მიმართ განწყობები: იმედისა თუ უიმედობის მაკონსტრუირებელი ფაქტორები.

კვლევის საველე ეტაპის დაწყებამდე, ამოცანების განსაზღვრის ფაზის დროს, მიგნებების შეგროვება მშობლების ცხოვრების ქრონოლოგიზებული პრინციპით გადაწყდა; ამ დათქმით, მშობლებთან წინასწარ შეთანხმებული ინტერვიუები, მათგან წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე რეფლექსიებს გულისხმობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მშობლებმა, უშუალოდ ინტერვიუირების პროცესში, მათთვის მნიშვნელოვანი ისეთი გამოცდილებების გაზიარებაც შეძლეს, რომლებიც ამოცანების შემუშავებისას არ განსაზღვრულა. მიზანთან დაკავშირებული მიგნებების შეგროვების მსგავსმა ღიაობამ, კვლევას მშობლობასთან დაკავშირებული გამოცდილებების დანახვა მისი მრავალშრიანი ბუნებით შეაძლებინა. აღნიშნული ღიაობა კი, თავის მხრივ, კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდის მოქნილობამ გახადა შესაძლებელი – მშობლებთან თანამშრომლობა თვისებრივი მეთოდოლოგიისა და ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ძირითად პრინციპებს ეფუძნებოდა.

კვლევის სამუშაო ინსტრუმენტები

მეთოდოლოგია, მიდგომა და მეთოდი

მშობლებთან თანამშრომლობა, იმ მიზნით, რომ მათი გამოცდილებები სიღრმისეულად შესწავლილიყო, კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგიით მოხდა.

აღნიშნული მეთოდოლოგია, ყურადღებას გამოცდილებების იმ ფორმით შესწავლაზე ამახვილებს, რომლის თანახმადაც, მისთვის რაოდენობრივად გენერალიზებადი მიგნებების ნაცვლად, ცენტრში უნიკალური გამოცდილებებია მოქცეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვლევა ფემინისტურ მიდგომას ეყრდნობა; მუშაობის აღნიშნული ჩარჩო, მიზნად ისეთი კრიტიკული ცოდნის შექმნას ისახავს, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, ძალაუფლებრივ ასიმეტრიასა და გენდერს მოიცავს. გარდა ამისა, ფემინისტური მიდგომისთვის, ისეთი ხმების გაჟღერებაა მნიშვნელოვანი, რომლებიც პატრიარქალურ სამყაროში მარგინალიზებულია და მათი გაჟღერების გზაზე სისტემური წინაღობები არსებობს. ამ მხრივ, ფემინისტური მიდგომა სამეცნიერო დისციპლინებს ეთიკით აღჭურავს და მას ემანსიპატორული ცოდნით ამდიდრებს; მარგინალიზებული ხმების გაჟღერება, დომინანტურ პატრიარქალურ წარმოდგენებსა და აზროვნების ნორმატიულ პარადიგმების უმწიფრობასაც აშიშვლებს.

მარგინალიზებული ხმების გაჟღერებასთან ერთად, კვლევაზე მუშაობის ფემინისტური მიდგომა, სუბიექტურობის აღიარების პრინციპს ეფუძნება. მიდგომის დათქმაა, რომ სოციალურ სამყაროში კონსტრუირებული იდენტობები თუ როლები, ადამიანების უნიკალურ გამოცდილებებს წარმოშობს და, შესაბამისად, მასზე რეფლექსიის დროს, უნივერსალიზებული ობიექტურობის დაშვებას ეჭვქვეშ აყენებს; ნაცვლად ამისა, მიდგომისთვის მნიშვნელოვანი კვლევაში ჩართული მონაწილეების პირადი აღქმები, გრძნობები და მათი ბიოგრაფიების იმ ფორმით აღქმა ხდება, როგორი ფორმითაც მასზე თავად რეფლექსირებენ.

საგულისხმოა ისიც, რომ ეს მიდგომა კვლევაში ჩართულ მონაწილედ თავად მკვლევარსაც მონიშნავს და მას ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციიდან გამოსვლასა და კვლევის პროცესში საკუთარი როლის ძიებისკენ უბიძგებს.

კონკრეტულ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ქვიარ ადამიანების მშობლებთან თანამშრომლობა შედგა, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ წარმოადგენდა. აღნიშნული მეთოდი, ერთის მხრივ, კვლევის მიზანში გაწერილი სპეციფიური გამოცდილებების კვლევით ინტერესდება და, მეორეს მხრივ, ღიაობას ინტერვიუს დროს წამოჭრილი იმ ახალი თემების შესწავლისთვისაც ინარჩუნებს, რომლებსაც მიზანს თავად კვლევის მონაწილეები უკავშირებენ. მეთოდი, კვლევის თითოეულ მონაწილეს თვითრეფლექსიის შესაძლებლობას აძლევს და ინტერესდება იმით, თუ როგორ აფასებენ კვლევის მონაწილეები საკუთარ გამოცდილებებს და ამ გამოცდილებებისთვის მნიშვნელობების მინიჭების პროცესს. საგულისხმოა ისიც, რომ მეთოდი, გამოცდილებების უკეთ გაგებისთვის, მათი კონტექსტში მოთავსების შესაძლებლობას იძლევა და ეს კონტექსტები, შესაძლოა, ისტორიული, კულტურული, პერსონალური ფაქტორებით იყოს გამოთქმული.

კვლევის მეთოდოლოგიამ, მიდგომამ და მეთოდმა, მიზანთან დაკავშირებული მიგნებების შეგროვება ჰოლისტურად გახადა შესაძლებელი. ყველა მშობელს, ინტერვიუირების პროცესში, შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებები გაეჟღერებინა და ჩემთან ამ გამოცდილებებისთვის მნიშვნელობებისა თუ სახელდებების მინიჭებაზე ეფიქრა. გარდა ამისა, ფემინისტური მიდგომისთვის რელევანტურად, კვლევაში ჩართულ ყველა მონაწილეს გავუზიარე, რომ თავად შვილი არ მყავდა და, შესაბამისად, ჩემთვის მშობლობა ნაცნობ ფენომენს არ წარმოადგენდა; ჩემი პოზიციის ინტერვიუს დასაწყისში გაცხადებამ, მეტი სითამამე შემძინა და მშობლებთან მაქსიმალურად მეტ დამაზუსტებელ შეკითხვას ვსვამდი. აღნიშნულმა მიდგომამ, შეგროვებული მიგნებების არასწორი ინტერპრეტაცია მაქსიმალურად შემიზღუდა; ხოლო თავად კვლევის მონაწილეებს, საკუთარი გამოცდილებების კულტურულ, ისტორიულ თუ პერსონალურ კონტექსტში მოთავსების შესაძლებლობა მისცა.

შერჩევა

შერჩევის პროცესი, გენერალური ერთობლიობიდან შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრას მოიცავს. თვისებრივი მეთოდოლოგია, შერჩევის არაალბათურ მიდგომას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, გენერალური ერთობლიობის წევრებს, შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის არათანაბარი, ზოგჯერ – ნულოვანი შანსები აქვთ. მოცემული კვლევის შემთხვევაში, გენერალური ერთობლიობა ყველა იმ ქვიარ ადამიანის მშობელია, რომელიც საქართველოში ცხოვრობს; მათი რაოდენობრივი მონაცემები დღეს არ არსებობს, შესაბამისად, მათი წარმომადგენლობაც კვლევაში არარეპრეზენტირებადია; მეტი სიცხადისთვის, კვლევაში ჩართული მონაწილეების მოძიება, არაალბათური მიდგომით – მიზნობრივი შერჩევით მოხდა. კვლევის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრის შემდეგ, მშობლებთან ორგანიზაციამ – ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა დამაკავშირა. კვლევის პროცესმა მაჩვენა, რომ მშობლების კვლევის პროცესში ჩართვა, იმ ნდობამ განაპირობა, რომელიც მათ ორგანიზაციის მიმართ ჰქონდათ.

კვლევაში მონაწილეობა სულ თხუთმეტმა მშობელმა მიიღო. მათგან თოთხმეტი დედა, ხოლო ერთი – მამა იყო. ინტერვიუირების დროს, ცხრა მშობელი პარტნიორთან ოფიციალურ ურთიერთობაში იყო, ხოლო ექვსი მათგანი, ოფიციალურ ურთიერთობაში აღარ იმყოფებოდა. ათი მშობელი თბილისში, ხუთი კი თბილისს მიღმა რეგიონებში ცხოვრობდა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თორმეტ მშობელს სხვადასხვა ქალაქში ცხოვრების გამოცდილებაც ჰქონდა. მათი საშუალო ასაკი ორმოცდაცამეტ წელს შეადგენდა.

მიგნებები და საველე სამუშაოების დახასიათება

მშობლების კვლევაში ჩართვამდე, მათ წინასწარ ვურეკავდი და კვლევის ძირითად მიზანს ვუზიარებდი. ვაწვდიდი ინფორმაციას კონფიდენციალურობის შესახებ და ვცდილობდი, მათთვის ამეხსნა, რომ კვლევას ყველა ის გამოცდილება გაამდიდრებდა, რომელიც მათ მშობლობასთან დაკავშირებით ჰქონდათ. მშობლების დათანხმება რთული არ ყოფილა, რადგან ისინი ორგანიზაცია ,,ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს'' ენდობოდნენ. პირველი ინტერვიუ 2024 წლის 11 ივლისს, ხოლო ბოლო – ამავე წლის 26 სექტემბერს ჩავატარე. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობამ 2 საათი და 45 წუთი შეადგინა.

თითოეულ მშობელთან შეხვედრის დაგეგმვის დროს, ვცდილობდი, ინტერვიუს დროს განსახილველი თემები მაქსიმალურად გასაგებად ჩამომეწერა და სანამ მთხრობელს შევხვდებოდი, ამ თემების ვერბალიზების ერთგვარი რეპეტიციაც გამევლო; მახსოვს, პირველი ინტერვიუს დროს, განსაკუთრებულად ვღელავდი – მიუხედავად იმისა, რომ კვლევის დაგეგმვის დროს ვიცოდი, რომ ახალი თემების მიმართ ღიაობა უნდა შემენარჩუნებინა, ცხადია, კვლევის მიზანთან სიახლოვის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ მშობელს ონლაინ პლატფორმა „ზუმში", ერთს კი ქუთაისში შევხვდი; ხოლო ცამეტ მათგანთან ინტერვიუ ორგანიზაციის ოფისში ჩავწერე. ყოველი ინტერვიუს ბოლოს, თავს მომავალი ინტერვიუსთვის მეტად მომზადებულად ვგრძნობდი, რადგან მშობლებისგან მიღებული კეთილგანწყობილი თანამშრომლობით მეტს ვსწავლობდი.

ოქტომბრის დასაწყისში, ინტერვიუების ხელახალი მოსმენა და მათი ტრანსკრიპტირება დავიწყე. შეგროვებული მიგნებების ანალიზის დროს, მათ კატეგორიზებას იმ ფორმით ვცდილობდი, როგორი ფორმითაც ამას მკითხველი ანგარიშის მომდევნო სექციებში ნახავს – მშობლების ისტორიები წარსულ, აწმყო და მომავლის კატეგორიებში გავაერთიანე. ქვემოთ, მიგნებების ნაწილში, მკითხველი იმასაც აღმოაჩენს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს კატეგორიები პირობითიც კია, ვინაიდან თითოეული მათგანი ერთმანეთს ხშირად კვეთს: ზოგიერთი წარსული მეხსიერება იმდენად ცოცხალია დღესაც, რომ ის აწმყოშიც არსებობს და, ზოგიერთი მშობლის შემთხვევაში – მომავალსაც განსაზღვრავს.

კრებულის ბოლოს, მკითხველი, მიგნებების შეჯამებისა თუ დასკვნითი სიტყვის ნაცვლად, კვლავ მშობლების სათქმელს აღმოაჩენს. ამ სათ-

ქმელით, მშობლები ხშირად სხვა მშობლებს მიმართავენ და საკუთარი გამოცდილებებიდან გამომდინარე, მოვლენების აღქმის ახლებურად შეფასებისკენ უბიძგებენ. დღეს, როდესაც კრებულზე მუშაობა დავასრულე, მიმაჩნია, რომ მშობლების ისტორიების ამსახველი ეს ანგარიში, მისი ღიად – დასასრულის გარეშე დატოვების შესაძლებლობას მაძლევს; როგორც რამდენიმე მთხრობელმა მითხრა, მშობლების საჭიროებები და გამოცდილებები იმდენად იგნორირებულია, რომ ამ სიცარიელის შევსება ერთი კრებულით შეუძლებლად მიმაჩნია. ნაცვლად ამისა, მსურს კრებულმა მშობლობასთან დაკავშირებული გამოცდილებების სწავლისკენ, გააზრებისკენ და ამ ხმების გაჟღერებისკენ მიმართული მუშაობა წაახალისოს და ქვიარ-ფემინისტური დისკუსიებიც მეტად მრავალშრიანი გახადოს. იგივე სურვილი აქვთ მშობლებსაც და მათ ეს, უკვე 2025 წლის 7 თებერვალს, საერთო დახურულ შეხვედრაზე მითხრეს. ამ შეხვედრაზე, კვლევაში ჩართულ ზოგიერთ მშობელს და სხვა იმ მშობლებსაც შევხვდი, რომლებსაც ქვიარი შვილი ჰყავთ. შეხვედრისას, ანგარიშის სტრუქტურა და რამდენიმე ცენტრალური მიგნება მომიწონეს და იმედი გამოთქვეს, რომ კრებულს ბევრი მკითხველი ეყოლებოდა. იმედი მაქვს, მშობლების სათქმელის გადმოცემა საფუძვლიანად შევძელი. იმედია, მათგან უკუკავშირს კრებულის გამოქვეყნების შემდეგაც მივიღებ.

წარსული

ინტერვიუს დასაწყისში მშობლებს ვთხოვე, რომ ჩვენი საუბარი სამ ძირითად ფაზად დაგვეყო. გვესაუბრა წარსულსა და აწმყოზე და შემდეგ, მომავლის მიმართ რწმენები განგვეხილა. საუბრის დროს ვხვდებოდი, რომ მშობლებისთვის წარსულზე რეფლექსია რთული იყო. ვფიქრობ, წარსული პერიოდიკის მრავალწახნაგოვანი ბუნებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამ სირთულისა, მთხრობელები ხშირად დასძენდნენ, რომ მათი მეხსიერება წარსულის გააზრების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა. გამიზიარეს, როგორ შემოინახა მათმა მეხსიერებამ ახალგაზრდობის წლები, ცხოვრების სტილი და შვილის ყოლის სპონტანური თუ დაგეგმილი გადაწყვეტილების თანმდევი განცდები. კრებულის ქვემოთ წარმოდგენილი სექცია სწორედ მშობლების წარსულთან დაკავშირებულ მეხსიერებას ეხება და მათ წარმოჩენას შემდეგი თემატური კატეგორიებით ცდილობს: (1) ახალგაზრდობის წლები: ცენზურა, კავშირები და სტიგმა, (2) დაოჯახება და განშორება: (ვერ)გამართლებული მოლოდინები, (3) მშობლად ყოფნის გადაწყვეტილება და თანმდევი სირთულეები.

ახალგაზრდობის წლები: ცენზურა, კავშირები და სტიგმა

ყველა მშობელმა, რომელსაც კვლევაში მონაწილეობა შევთავაზე, წინასწარ იცოდა, რომ საუბრის ძირითადი თემა ქვიარ ადამიანების მშობლობის საკითხს ეხებოდა. ვფიქრობ, სწორედ აღნიშნულმა ინფორმირებულობამ განაპირობა ის, რომ მშობლებმა წარსულზე რეფლექსია ქვიარობასთან თუ ქვიარ ადამიანებთან დაკავშირებული იმ დამოკიდებულებების გაზიარებით დაიწყეს, რომლებიც მათ ახალგაზრდობის წლებში ჰქონდათ. მშობლების თქმით, ტერმინი „ქვიარი“ მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც შვილებმა საკუთარი გენდერული და/თუ სექსუალური იდენტობის შესახებ გაუმხილეს. აღნიშნეს, რომ მათ ახალგაზრდობაში საზოგადოება იყენებდა სიტყვა „ცისფერს“, რომელიც გენდერულად არაკონფორმული ადამიანის, ძირითადად, ფემინური კაცის ქცევას უფრო მეტად მოიაზრებდა, ვიდრე სექსუალურ თუ გენდერულ იდენტობას. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერმინი, ადამიანებს ავტომატურად ნეგატიური მნიშვნელობით არ მიემართებოდათ და მას ერთგვარად დენოტაციური მნიშვნელობაც გააჩნდა. მეტი სიცხადისთვის, ერთ-ერთი მთხრობელი ამბობს:

იცით, მაშინ ასე ზუსტად არ ვიცოდით, ვინ ლესბოსელი იყო ან, ვთქვათ, ვინ გეი. რაღაცნაირად, თითქოს ცისფერი იყო ის სიტყვა, რომელსაც აი, ამ განსხვავებული ადამიანების აღსაწერად ვიყენებდით. დამიჯერეთ, ყოველთვის ცუდ კონტექსტში არ ვიყენებდით ამ სიტყვას. მე და ჩემს მეგობრებს, აგრესია საერთოდ არ გვქონდა, მაგრამ მაინც გვითქვამს – აი, ის ცისფერია და მგონი, ბიჭები მოსწონს.

საგულისხმოა, რომ სიტყვა „ცისფერი", მთხრობელების მეხსიერების მიხედვით, ნეგატიურ მნიშვნელობებს, ძირითადად, მათ გარშემო მცხოვრები ახალგაზრდა კაცებისთვის ატარებდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ სახელდებით მათი მოხსენიება სხვა კაცების მხრიდან ხდებოდა:

აი, ვთქვათ, თუ ვიღაცა კაცი იტყოდა, რა ცისფერივით იქცევა, აქ უკვე მორჩა – იგულისხმებოდა, რომ არაკაცი ხარ. ან, აი, რაღაცნაირად, არასაკმარისი კაცი ხარ. ეს ძალიან ნეგატიური იყო, რა თქმა უნდა, და კაცი კაცს, თუ ამას [ცისფერს] დაუძახებდა, იქ უკვე მორჩა, შეიძლებოდა დიდი ჩხუბიც ამტყდარიყო და სისხლისღვრაც, რადგან ეს უკვე კაცებისთვის ნიშნავდა დიდ შეურაცხყოფას.

ზოგიერთი მშობელი, რომელიც საუბრის დროს თამამად ამბობდა, რომ ახალგაზრდობის წლებში აგრესია არ ჰქონია ქვიარ ადამიანების მიმართ, მიზიარებდა, რომ ამ ნეიტრალური თუ არააგრესიული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, იშვიათად ოჯახი, ხშირად – წიგნები, მუსიკა, ფილმები და სამეგობრო კავშირები განაპირობებდა. მაგალითისთვის, ერთ-ერთი მშობელი იხსენებს:

ძალიან ბევრს ვკითხულობდი და ჩემი სახლი, თითქოს მარტო ბიბლიოთეკა იყო. წარმოიდგინეთ, ავეჯი არ იდგა იმდენი, რაც წიგნები გვქონდა და, პლუს ამას, კიდევ ძმა მყავდა ჩემზე რვა წლით უფროსი, რომელიც იმ პერიოდში „ჰიპობდა"; ანდერგრაუნდი,„პინკ ფლოიდი",

დიფ ფარფლი“ და ასე შემდეგ, მან შემაყვარა. იკრიბებოდნენ მისი მეგობრები, დღეს რომ „ჯინსების თაობას“ ვეძახით ისინი, და, იცით, იქ არაფერი იყო გასაკვირი. პატარა ვიყავი, მაგრამ ისიც კი ვიცოდი, რომ მარიხუანას ეწეოდნენ (იცინის) და იცოდნენ, რომ მე არაფერს ვიტყოდი მშობლებთან.

საუბრის დროს, თითქმის ყველა მშობელი სინანულით დასძენდა, რომ ქვიარ საკითხების მიმართ ინფორმაციის მიღება საბჭოთა კავშირში არსებული ფორმალური განათლების მიღების დროს შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა საქართველოში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა იყო. განსაკუთრებით, ფილმების ჩვენების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა მოქმედებდა, არსებობდა შესაძლებლობა, რომ ადამიანებს ისეთი ფილმები ენახათ, რომლებშიც ქვიარ საკითხებს ამოიცნობდნენ. ამასთან ერთად, რამდენიმე მშობლის თქმით, მათი ოჯახის სამეგობრო კავშირები ასევე მოიცავდა ქვიარ ადამიანებსაც. მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, გაცხადებულად არ იცოდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ და ამის მიმართ აგრესია – არც მათ და არც ოჯახის სხვა წევრებს არ უჩნდებოდათ. მაგალითისთვის, მშობელი დასძენს:

ჩემს მშობლებს, დიდი სამეგობრო წრე ჰყავდათ. ჰყავდათ ქვიარი მეგობრებიც, ასე ვთქვათ. მახსენდება „სუხიშვილების“ ერთი მოცეკვავე, რომელზეც ჩვენი ოჯახი გიჟდებოდა და როდესაც ჩამოდიოდა [საქართველოში], ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარიც იყო. დღესაც ვიხსენებთ და ყველამ ვიცოდით მისი ორიენტაციის შესახებ და მინდა გითხრათ, რომ ჩვეულებრივად ვიყავით, ჭიქასაც ვუჭახუნებდით და ყანწებითაც ღვინოს ვსვამდით. მახსენდება, პედრო ალმადოვარის ფილმებიც. სხვაგან [საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში] მე მგონი, ეგეთი თავისუფალი კინოჩვენებები არც ყოფილა. ამ ვითომ ცენზურის გამო, ამოჭრილი იყო რაღაც კადრები, მაგრამ ყველანი ვხვდებოდით, რომ იყვნენ ქვიარ ადამიანები, ლამაზი სხეულებით.

ერთ-ერთი მთხრობლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებსაც სიახლეების მი-

მართ ღიაობა გააჩნდათ, საზოგადოებრივი შრე მეტად ხისტი და ხშირად მასტიგმატიზირებელი იყო. მისივე თქმით, კაცობა *რაღაცნაირ სიძლიერესთან, ნაცრისფერ* და *შავ ტანსაცმელთან* იყო ასოცირებული. ეს იყო გამოხატული პატერნების წყება, რომელიც აუცილებლად განსხვავდებოდა ქალის ქცევისგან, ქალის სახე-ხატისგან თუ ჩაცმულობისგან. მთხრობელმა მითხრა, რომ თუ კაცს ერთგვარი სინაზე შეემჩნეოდა, *თუნდაც ხმაში,* მის დასაკნინებლად, ძირითადად, სხვა კაცები, მაგრამ ასევე ქალებიც, სიტყვა „პედერასტს“ იყენებდნენ და ამასთანავე ასეთ კაცებს ქალის სხვადასხვა, გავრცელებული სახელებითაც მოიხსენიებდნენ. მთხრობლის თქმით, ყველა ასეთი კაცი, ვინც სხვა კაცებისგან ქცევებით განსხვავდებოდა, აუცილებლად განსხვავებული სექსუალური თუ გენდერული იდენტობის მქონე არ იყო. მთავარი, რაც მათ სხვა კაცებისგან გამოარჩევდა, შეიძლებოდა ისეთი ქცევა ყოფილიყო, რომელიც შვილების მიმართ ზრუნვას ან/და საოჯახო საქმეების *შესრულებაში ზომაზე მეტ ჩართვას* გულისხმობდა. ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა:

> *კიდევ იყო მაგალითად, რომ თუ კაცი ძალიან ზრუნავდა შვილზე, სახლზე ან ვთქვათ ცოლს, მეუღლეს ეხმარებოდა, ეს აღიზიანებდათ სხვა კაცებს და შემდეგ, გამიგია, რომ იტყოდნენ, ბოდიშით, ეს სიტყვა უნდა ვთქვა – პედერასტია. ან, იტყოდნენ, რომ გაიხედეთ, ქეთინო მოდის. თითქოს ამით ამცირებდნენ. მაგრამ ეს დამცირებაც, მე როგორც მახსოვს, უფრო დამალული იყო. თითქოს ამცირებდნენ, მაგრამ ხმადაბლა. ამას ყოველთვის პირში არ ეუბნებოდნენ.*

ახალგაზრდობის წლების გახსენების დროს, ორი დედისთვის, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უშუალოდ მათზე, როგორც ქალებზე, მასტიგმატიზირებელი გარემოების – ქალიშვილობის ინსტიტუტის მხილება და მასზე რეფლექსია. ქალების შეფასებით, მათი ახალგაზრდობის წლების ერთ-ერთი მძიმე გამოცდილება, სწორედ ქალის ე.წ პატიოსნებას უკავშირდება, რომელიც ქალიშვილობით განისაზღვრებოდა. ქალების თქმით, მნიშვნელოვანი იყო იმის აღნიშვნა და ხალხისთვის შეხსენება, რომ საზოგადოების ამ მარწუხებს ყველა ქალი არ ემორჩილებოდა. უფრო მეტიც, ოჯახის შიგნით, ბევრი მათგანი ღიად წუხდა და ოჯახის წევრებთანაც აკრიტიკებდა აღნიშნულს. ერთ-ერთმა ქალმა გაიხსენა:

საზოგადოება საკმაოდ ხისტი იყო ალბათ, ყველაფრის მიმართ. ჩემს დროს იყო არამარტო პედერასტი, არამედ ქალიშვილობის ინსტიტუტიც. ამაზე დღეს თითქოს აღარ ვლაპარაკობთ, მაგრამ იცით როგორი მძიმე იყო ეს ჩვენთვის, ქალებისთვის?! წარმოიდგინეთ, თუ ვინმეზე გაიგებდნენ, რომ არ არის ქალიშვილი და ასე შემდეგ, უკვე თითით საჩვენებელი იყო. რაც უფრო პატარა ქალაქში ან სოფელში ცხოვრობდა ქალი, მით უფრო მძიმე იყო მისი მდგომარეობა. თან ეს ხმები ისე უცბად გავარდებოდა ხოლმე... ბევრი ქალის ცხოვრება დაუნგრევია ამ ჭორაობას და ვითომ, ტრადიციების დაცვას. მაგრამ ბევრი ქალიც უპირისპირდებოდა და ამაზე სხვებსაც ეკამათებოდა. იყვნენ ქალები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ასეთი კონტროლი არ იყო სწორი და ახლა, როგორც ეძახიან – ქალების მიმართ უთანასწორობა – არ იყო გამართლებული.

მსურს ხაზი გავუსვა, რომ მთხრობელებისთვის წარსულზე რეფლექსია ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდებს მოიცავს. თუ საბჭოთა საქართველოში ცხოვრება მათთვის, ცენზურასთან, ჩაკეტილ ცხოვრებასთან იყო ასოცირებული, რაც სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისთვის სივრცესა და შესაძლებლობებს ხურავდა, დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრების პირველ წლებს მშობლების უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრებას უკავშირებდა. გარდა ამისა, მშობლების თქმით, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში, უსაფრთხოების ყველა ფორმის გარანტიები *მთლიანად მორღვეული იყო.* ამ პერიოდს, ერთ-ერთი მშობელი ახასიათებს, როგორც *ყოველმხრივ ბნელეთი* და მეტი სიცხადისთვის, დასძენს:

გამეფებული იყო ბნელეთი. მართლა. ოღონდ, მარტო ის არა, რომ შუქი არ გვქონდა. ბნელეთი, აი, როგორ გითხრათ, წარმოიდგინეთ – ფული არ არსებობს, ხელფასად გაძლევენ კუპონს და საჭმელი უნდა იყიდო რუსულ ფულზე, რომელიც არ არსებობს. ერთადერთი, რისი საშუალებაც იყო, პური გეშოვა და საჭმელში გადაგეცვალა მარნეულში. მე ვაცხობდი და შემდეგ ვაბარებდი იმისთვის, რომ ელემენტარული საჭმელი

მეყიდა. მაგრამ იცით რა იყო მძიმე? საერთოდ, აბსოლუტურად ვერ ვგრძნობდით უსაფრთხოებას. შიში იყო გამეფებული. სახლებში შევარდნა, გაუპატიურებაც.... ყველაფერი გვესმოდა ხალხს, მაგრამ თითქოს ვერაფერს ვცვლიდით. არ ვიცი, როგორ გითხრათ, ვინც ეს წლები გამოვიარეთ, ცხოვრება სხვა ვერაფრით შეგვაშინებს, ასე მგონია. მაგრამ მახსოვს ისიც, რომ ეს დამოუკიდებლობა რაღაც ამაღელვებელი განცდა იყო და თითქოს, ეს გვაძლევდა ცხოვრების გაგრძელების ენერგიას.

როგორც აღვნიშნე, ინტერვიუერების დროს, მშობლები წარსულზე რეფლექსიისას, საუბრის შინაარსს სხვადასხვა გამოცდილების გახსენებით ამდიდრებდნენ. თუმცა აშკარა იყო, რომ უფრო მეტად იმ მოგონებების გაზიარება სურდათ, რომლებიც ქვიარ ადამიანების ან – ზოგადად, ქვიარობის მიმართ მათი დამოკიდებულებების წარმომჩენ ცოდნასა თუ გამოცდილებებს ეხებოდა. მნიშვნელოვანია ვთქვა, ორმა რესპონდენტმა გამიზიარა, რომ მათ სხვა ქალებისგან *გამორჩეული* სიყვარული თუ სიმპათიებიც მიუღიათ. ერთ-ერთმა მშობელმა გამანდო:

ჩემი შვილის შემდეგ დავფიქრდი და წარმოვიდგინე რამდენი წლის შემდეგ გავაანალიზე, რომ სკოლაში გოგონა მწერდა წერილებს. მასაც ნინო[3] ერქვა. სულ წერდა – ნინოს პლუს ნინო და რაღაცებს... მაშინ რაღაც ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ დღეს მგონია, რომ ამ გოგოს, ალბათ, მოვწონდი. რომ არ დაგიმალოთ, ბევრი არაფერი ვიცოდი და მაშინ, მისმა ამ ყურადღებამ რომ გამაღიზიანა ვუთხარი, შენთან დაქალობა აღარ მინდა-მეთქი. ბოდიშიც მომიხადა. ქუჩაშიც კი დამიჩოქა და წამოვაყენე. ძალიან განერვიულდა. ვინ იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ შვილი მეყოლებოდა ქვიარი და ამდენ რამეზე დამაფიქრებდა. ახლა ვხვდები, რომ არ მოვექეცი იმ გოგოს კარგად.

3 კონფიდენციალურობის შენარჩუნების მიზნით, დოკუმენტში გამოყენებული ყველა სახელი პირობითია და მშობლის მაიდენტიფიცირებელი სხვა გარემოებები, შინაარსობრივად მსგავსით არის ჩანაცვლებული.

სხვა ქალისგან მიღებული სიმპათიების გარდა, ერთ-ერთმა მშობელმა გამიზიარა, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში, თავადაც ჰქონდა ქვიარ გრძნობები სხვა გოგოს მიმართ და ეს კავშირი, მისი აღქმით, ორმხრივი იყო. მშობლის თქმით, ადამიანს ყოველთვის აქვს უნარი იგრძნოს, რომ ქვიარ სიყვარული და სიმპათია ძალიან განსხვავდება, მაგალითად, მეგობრული სიყვარულისგან და ამის გაცნობიერება, ბევრ მათგანს ეხმარება დაარქვას ამ განცდებს საკუთარი სახელი. მშობელმა გაიხსენა:

> *მეამბოხე [გოგო] იყო და სწავლაში მოწესრიგებული. მე უფრო ქაოტური ვიყავი. თვითონ ძალიან ნიჭიერი იყო. მგონია, რომ ბევრად ნიჭიერი, ვიდრე მე ვიყავი. კარგად მახსოვს, რომ იყო ძალიან პრინციპული [...]; როდესაც რაღაცას იტყოდა, აი ბოლომდე იცოდა მიყოლა და თავის გატანა. ოღონდ ცუდად არა და ბოროტულად და სწორხაზოვნად არა. პირდაპირი იყო და მე ეს აღმაფრთოვანებდა. გულჩვილი და კარგი ადამიანი იყო და ძალიან მელამაზებოდა, ყველაფერთან ერთად. ვსწავლობდით ერთნაირად კარგად. მახსოვს, რომ კარგად იცოდა ინგლისური. რაღაცნაირი ტიპი იყო. აი, რომ დაინახავდი აუცილებლად მიაქცევდი ყურადღებას. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეთი იყო. ახლა არ ვიცი, როგორ არის, რადგან ცხრამეტი წლისა დაიღუპა, და ნუ ესეც ჩემი ერთი ძალიან დიდი ტრამვაა, რომელმაც სრულიად შეცვალა მთელი ჩემი ცხოვრება. დაიღუპა კატასტროფაში და არ ვიცი, როგორი გახდა...*

წარსული, ზოგიერთი მშობლისთვის მივიწყებული, მოგონებების გახსენებისას მშობლების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მათ ცხოვრებისგან ამ დრომდე ისწავლეს, ის იყო, რომ ცხოვრება ისე არასდროს მიდის, როგორც ადამიანს სურს და როგორც გეგმავს მას. ეს აზრი, მშობლებმა, დაოჯახებაზე, როგორც მათი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელზე მსჯელობის დროს გამოკვეთეს. გარდა ამისა, რამდენიმე მშობელმა მეუღლესთან განშორების გამოცდილებები და განშორების შემდეგ საკუთარ თავში აღმოჩენილი სიძლიერეების შესახებ გამიზიარა. შემდეგი სექცია სწორედ ამ თემებს ეხმიანება და მკითხველისთვის მშობლების განსხვავებული ხედვებისა და ისტორიების ჩვენებას ცდილობს.

დაოჯახება და განშორება: ცვრებამართლებული მოლოდინები

ინტერვიუს დროს მშობლები დაოჯახების გამოცდილებებზე საუბარს ფრაგმენტულად იწყებდნენ და სპონტანურად ასრულებდნენ. ისიც ნათელი იყო, რომ ზოგიერთ მათგანს ამ თემაზე საუბარი არ სურდა. ერთ-ერთმა მშობელმა პირდაპირ მითხრა, რომ მის ქმარზე საუბარს არ აპირებდა და აღნიშნა – ვისარგებლებ ამ შემთხვევით და ყველაფერზე ვილაპარაკებ ჩემი ქმრის გარდა. გამოჩნდა ისიც, რომ მშობლებისთვის პარტნიორის ძიებისა და დაოჯახების გამოცდილება მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო. გარდა დაოჯახებისა, იმ რამდენიმე მშობელმა, რომელსაც მეუღლესთან განქორწინების გამოცდილებაც ჰქონდა, მითხრა, რომ ეს განშორებაც ისეთივე მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო მათთვის, როგორც დაოჯახება. ამ სექციაში, შევეცდები ამ თემების ერთგვარ ქრონოლოგიზებასა და მიგნებების შემდეგი ლოგიკით წარმოდგენას: პარტნიორისა და სიყვარულის ძიება, დაოჯახება და განშორება. ხაზს გავუსვამ იმასაც, რომ ამ სექციაში არ მოვიცავ მშობლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, მას წარსულთან დაკავშირებული მიგნებების ბოლო – მესამე სექციაში აღვწერ.

დაოჯახება და სიყვარული, როგორც ეს რამდენიმე მშობელმა მიამბო, ყოველთვის *ერთმანეთის შემავსებელი* არ არის. ზოგიერთმა მთხრობელმა გამანდო, რომ მათი დაოჯახების წინაპირობა სიყვარული, ურთიერთგაგება თუ მნიშვნელოვან საკითხებზე თანამოაზრეობა არ ყოფილა. აღნიშნავდნენ, რომ მათი ახალგაზრდობის დროს, ნორმალიზებული იყო დაოჯახების არა ორმხრივად თანხმიერი ფორმა თუ გადაწყვეტილება, არამედ კაცის მიერ ქალის მოტაცება. ხშირ შემთხვევაში, ქალებს სულ რამდენჯერმე ჰყავდათ ნანახი ის ადამიანი, რომელთან ერთადაც, მოტაცების შემდეგ, ოჯახის შექმნა უწევდათ. ქალების თქმით, მათ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას დაოჯახების მსგავსი ფორმების ნორმალიზებასთან ერთად, საზოგადოებრივი აზრი ახდენდა. ამ აზრის გავლენის გამო, ქალებს, თუნდაც მოძალადე ქმრებისგან, თავის დახსნის შესაძლებლობა თითქმის არ ჰქონდათ. ზოგიერთი მთხრობელი ქალი აღნიშნავდა, რომ მათ მეხსიერებაში, ამჟამინდელი თუ ყოფილი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის კვალიც იყო შემორჩენილი. ამასთან ერთად, დასძენდნენ, რომ ცდილობდნენ ამ მეხსიერებების *გადამალვას* და მასზე საუბარს თავს არიდებდნენ. ერთ-ერთმა ქალმა გაიხსენა:

[ჩემი] დაოჯახების მერე იწყება ყველაფერი ცუდი. სამწუხაროდ, მაშინ ძალიან პოპულარული იყო ეს მოტაცებები და მეც ამის მსხვერპლი გავხდი. ფაქტიურად, მე ჩემს მეუღლეს არ ვიცნობდი – ორჯერ თუ სამჯერ მყავდა ნანახი. მერე ესე [მოტაცებით] აღმოვჩნდი მის ოჯახში. მაგრამ დავრჩი. დავრჩი იმიტომ, რომ მაშინ ძალიან ისეთი პერიოდი იყო... მოტაცებულ და უკან დაბრუნებულ ქალს საზოგადოება არ გაახარებდა ხოლმე. წლები გავიდა და ეს, რასაც ახლა ვყვები, რაღაცა შავ ყუთში ჩავკეტე. ვცდილობ, რომ ეს ყუთი არ გავხსნა ხოლმე. იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან ცუდი დრო იყო. ცუდი იყო, რადგან ძალადობასთან, შეურაცხყოფასთან არის დაკავშირებული. მე იმდენად გამოუცდელი და ბრიყვი ვიყავი, ყველაფერი რთულდებოდა, მაგრამ თავის დახსნას ვერ ვახერხებდი. ცუდად ვიყავი ფიზიკურად და ცუდად ვიყავი სულიერადაც.

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვები, რომლებიც ერთ-ერთმა დედამ გამიზიარა, მნიშვნელოვან გარემოებაზე დაფიქრების შესაძლებლობას იძლევა – ზოგიერთი ქალისთვის, დაოჯახების წინაპირობა მომავალი პარტნიორის გაცნობის შესაძლებლობებს არ მოიაზრებდა და, შესაბამისად, არც იმას, რომ ოჯახის შექმნა ორმხრივ შეთანხმებას წარმოადგენდა. ძალადობის მძიმე გამოცდილებების გაზიარების შემდეგ, იმავე მშობელს ვკითხე, თუ როგორ უმკლავდებოდა აღნიშნულს და ჰყავდა თუ არა ვინმე ისეთი, ვისგანაც მხარდაჭერას იღებდა. აღნიშნულზე პასუხად, ქალმა მითხრა:

უბრალოდ არავინ და ვერავინ [დამეხმარებოდა]; ეს იყო ყველაზე ცუდი, რომ ახლოს არავინ მყავდა, ვისაც დაველაპარაკებოდი. მე ოჯახი თბილისში მყავდა და მოტაცებული ვიყავი [...] რაიონში და იქ მარტო ქმრის ოჯახი იყო. დედამთილი, მამამთლი და ნუ, ეს ჩემი ქმარი. ყველას, ვისთან ერთადაც ვიყავი, ჩემი ქმრის მხარე ეკავა. ისეთი არავინ მყავდა, ვისაც გავანდობდი და ვისგანაც დახმარებას ვითხოვდი. ან თუნდაც, სიტყვიერად გამხნევებას.

ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით, განსხვავებული პერსპექტივების გაგება მამისგან შევძელი. მან საუბრის დროს მითხრა, რომ მისთვის ოჯახის შექმნა საკრალურ მნიშვნელობას ატარებდა. საუბრის დროს, მთხრობელი ხშირად აზუსტებდა, რომ ოჯახის შექმნა *რელიგიური მსოფლმხედველობიდან* გამომდინარე სურდა. მშობლის თქმით, უნდოდა ოჯახი – ცოლი და შვილები, რომლებთანაც *ქრისტიანულ ოჯახს* შექმნიდა. მითხრა, რომ მისი ამჟამინდელი მეუღლე ერთ-ერთი ახლობლის ნათლობაზე გაიცნო და პირველი, რამაც მასში მოხიბლა *საუბრის მანერა, მეტყველება* იყო. მამის თქმით, მძიმე იყო ის, რომ მისი დედა და ბებია ათეისტები იყვნენ და ამიტომ, ოჯახში რელიგიურ საკითხებზე ხშირადაც კამათობდნენ. ამის გამო, სურდა ოჯახი ისეთ ქალთან შეექმნა, რომელთანაც, ბევრ სხვა საერთოსთან ერთად, *რელიგიური კავშირიც* ექნებოდა. მამის თქმით, მისი და მეუღლის ცხოვრება, რაღაც პერიოდის შემდეგ, რთულად განვითარდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ეკონომიკურად არასტაბილური გარემო იყო, რის გამოც, მას და მის მეუღლეს დედასთან და ბებიასთან ერთად უხდებოდათ ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ მშობელმა ამ თემაზე საუბარი სიღრმისეულად არ ისურვა, ჩანდა, რომ მისი და მისი მეუღლის ურთიერთობის დაძაბვის წინაპირობა, სწორედ მის დედასთან და ბებიასთან ცხოვრება იყო. მშობელმა მიამბო:

> *რაღაც პერიოდის შემდეგ, ოჯახური სიტუაციაც მძიმე გვქონდა. ალბათ, ბევრიც ჩაერია ჩვენს ოჯახურ მდგომარეობაში. რაღაც ეტაპზე, შესაძლებელიც იყო, რომ ჩვენ [ცოლქმარი] ცალკე გავსულიყავით [საცხოვრებლად]. მე დედასთან ვიყავი ფაქტობრივად, რადგან დედაჩემი უფრო გამართული იყო ფინანსურად. მაგრამ დედაჩემს ყოველთვის ლიდერობა უნდოდა. ეგოიზმიც იყო მისი მხრიდან. [დედაჩემი] მამისაგან წამოსული იყო. სამი წლის ვიყავი, როდესაც გაცილდნენ ერთმანეთს და აღმოვჩნდი ასე დედასთან და ბებიასთან. დიდი როლი, ალბათ, ამანაც შეასრულა იმაში, რომ ჩემს ცოლთან ურთიერთობა ცოტა დამეძაბა. განვიცდიდი იმასაც, რომ დედა ათეისტი იყო. ხოდა ამაზეც ყოველთვის მქონდა წინააღმდეგობები და ბრძოლები მასთან. ვცდილობდი, ჩემი მოძღვრის კურთხევით და ღვთის დიდებით მეცხოვრა. არ ვიცი, ეს რამდენად გამომივიდა, მაგრამ დღეს მე და ჩემი მეუღლე ერთად ვართ და ერთად ვუვლით ჩვენს შვილებს.*

პარტნიორის გაცნობის საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე მშობელმა მიამბო, რომ მათ ახალგაზრდობაში შეზღუდული იყო სივრცე, სადაც ადამიანების ახლოდან გაცნობას შეძლებდნენ. გარდა ამისა, ქალებმა გამიზიარეს, რომ მათ კაცებისგან განსხვავებულად ზრდიდნენ. აღნიშნავდნენ, რომ ქალების მხრიდან კაცის გაცნობის ინიციატივის გამოჩენა მისაღები ქმედება არ ყოფილა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ყველა ქალი საზოგადოების ამ ნორმას ემორჩილებოდა. მშობლები, ჩემთან ოჯახზე საუბარს ასრულებდნენ იმის აღნიშვნით, რომ *ოჯახური თანაცხოვრება ზოგადად რთული საკითხი* იყო. ზოგიერთი მათგანი ამბობდა, რომ არც სიყვარულით შექმნილი ოჯახია ყოველთვის ისეთი მდგრადი, როგორც ეს სხვებს შეიძლება წარმოედგინოთ. მაგალითისთვის, ერთ-ერთმა ქალმა მომითხრო:

> *მე და ჩემს მეუღლეს გვქონდა შესაძლებლობა, რომ დაოჯახებამდე ერთმანეთის შეყვარება მოგვესწრო. ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით და აქ, მეტ-ნაკლებად ცოტა განსხვავებული სიტუაცია იყო. ყველამ იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და ამაზე აგრესიაც ან ჩარევაც არავისგან მიგვრძვნია. პირიქით, მე რომ მიყვარდა და გახარებული ვიყავი, ჩემი ოჯახიც გახარებული იყო. მაგრამ, იმას ვამბობდი, რომ მაინც დავიშალეთ. გავშორდით ერთმანეთს. არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი რაღაცები, რომელიც ხდება ისე, რომ არ ელის. ასეთია ცხოვრება. ამიტომ, არასოდეს თქვა არასოდეს – ეს კარგად თქვა, ვინც თქვა. კარგი რაღაცები ხდება ცხოვრებაში და შეიძლება ეს კარგი რაღაცები დასრულდეს ან დაასრულო.*

რამდენიმე დედამ, ოჯახზე საუბრის დროს აღნიშნა, რომ ხშირად ოჯახური უთანხმოების მიზეზი ის არის, რომ ცოლ-ქმარს ცალკე ცხოვრების მატერიალური შესაძლებლობა არ აქვს. მათი თქმით, ქალებს, ძირითად შემთხვევებში, კაცის დედასთან და მამასთან უწევდათ ცხოვრება, რაც მარტივი თითქმის არასდროს არის. მშობლების შეფასებით, ოჯახის შექმნა დიდი პასუხისმგებლობაა და ამ პასუხისმგებლობების აღება, ქალებსა და კაცებს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოთ. გარდა ამისა, რამდენიმე დედამ აღნიშნა, რომ მათ ახალგაზრდობის დროს არ იცოდნენ, როგორ შეენარჩუნებინათ ჯანსაღი საზღვრები პირად ცხოვრებასა და მაგალითად,

ოჯახის ახლობლებს შორის. ამ საკითხზე, ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც მეუღლესთან ერთად ცალკე ცხოვრობდა, მიამბო:

> *არ ვიცი, ესე რაღაცა განსაკუთრებულად არ მიზრუნია იმაზე, რომ სხვებსა და ჩვენს ოჯახს შორის, რაღაც საზღვრები დაგვეწესებინა. თავისთავად მოხდა და იცით რა არის? ჩვენ თავიდანვე მარტო ვცხოვრობდით და ესეც არის ძალიან მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ შენი ცხოვრება და ოჯახი შენთვის დაიტოვო. [...] ის სხვა ადამიანები არ გყავდეს 24 საათი გვერდით, რომლებიც ყველაფერში ჩაერევიან. ოჯახის შექმნა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებლობას ვკარგავთ. სულ არ არის ასე. მაგრამ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მეუღლესთან და მერე უკვე ბავშვებთან ცხოვრებას ვსწავლობთ. ასეთ დროს, რთულია სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნა. თუნდაც, საყვარელი ადამიანები იყვნენ ისინი. ჩვენ თავისუფლები ვიყავით ამ, ასე ვთქვათ, რაღაცის თუ ვიღაცის გავლენებისგან.*

ამავე სექციის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ტექსტის ეს ნაწილი ასევე დაფარავდა მეუღლესთან განშორების გამოცდილებებსაც. მშობლების თქმით, მათი ბიოგრაფიის ნაწილი *არა მხოლოდ განათლების მიღება, დაოჯახება, თუ შვილის გაჩენაა, არამედ განშორების შემდეგ მეუღლისგან დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყებაც.* იმ მშობლებმა, რომლებსაც აღნიშნული გამოცდილება ჰქონდათ მითხრეს, რომ განშორება საზოგადოებაში ხშირად მხოლოდ ნეგატიური კუთხით არის დანახული. ერთ-ერთი მთხრობლის თქმით, ამას მოწმობს სიტყვათშეთანხმება – *„ოჯახის დანგრევა“*, რაც შინაარსობრივად აუცილებლად *რაღაც ნეგატიურთან ასოცირდება.* მისი თქმით, განშორება, ზოგიერთ შემთხვევაში, ახალი ცხოვრების დასაწყისი და გაძლიერების წინაპირობაც ხდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ განშორებით ქალები მოძალადე ქმრებისგან თავისუფლდებიან და თვითგადარჩენაზე უფრო მეტად იწყებენ ფიქრს. ერთ-ერთმა მშობელმა გამანდო:

> *თამაში დაიწყო [ქმარმა]. ეს ალბათ, ბევრი ქალის ისტორიას ვყვები. ბედნიერი არ ვიყავი დიდად, თუმცა მიყვარდა მა-*

ინც. რაღაცნაირი მიჯაჭვულობა მქონდა. თხუთმეტი წელი ვიყავით ერთად და მერე დავშორდი. ამ დროს მე უკვე ფინანსურად დამოუკიდებელი ვიყავი და თვითონ ფინანსურად ჩემზე დამოკიდებული (იცინის). ძალიან მიხარია, რომ გავბედე ეს. ბევრმა ვერ გაბედა. რომ დავშორდი ყველას გაუკვირდა. პატარა ქალაქებს როგორც ახასიათებს – არ ელოდებიან თითქოს ამას ქალის მხრიდან. თან ჩვენ ორივე გამორჩეული წყვილი ვიყავით. როკს ვუსმენდით, კარგი იუმორი გვქონდა, კარგი შეყვარებულობაც. [...] რაღაც პერიოდი იკეთებდა წამალსაც. რომ ვამბობდი, რომ კარგად არ ვიყავი, ზოგი ვერ ხვდებოდა ამას. ადამიანები ხშირად ვერ გებულობენ, რას განიცდი. ამიტომ შენ უნდა იმოქმედო ისე, როგორც ამას საჭიროდ თვლი. როგორ მიხარია, რომ გავშორდი.

ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ასევე ჰქონდა ქმართან განშორების გამოცდილება, მითხრა, რომ ხშირად კაცებს ქალების შურთ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალები სამსახურებრივად რეალიზდებიან – მუშაობენ, საკუთარი შემოსავალი აქვთ და, *რაც მთავარია, ქმრებზე არ არიან დამოკიდებულნი.* მთხრობლის თქმით, კაცები ხშირად ეძებენ მიზეზებსაც იმისთვის, რომ ქალები სამსახურს ჩამოაშორონ, რათა შემდგომ საოჯახო სივრცეს დაექვემდებარონ. მშობელმა გაიხსენა:

ჩემი სამსახური [ყოფილ ქმარს] აღიზიანებდა. თითქოს ეჭვიანობდა ჩემს სამსახურზე; იმაზე, რომ დამოუკიდებელი ვიყავი. მახსოვს, პირველად გერმანიაში შემომთავაზეს სამსახურიდან გაფრენა. ეს ის დროა, როდესაც ვიზალიბერალიზაციაც კი არ იყო. მდიდარი და სუპერ ქვეყანაა გერმანია, წესით უნდა გიხაროდეს ხო, შენი ცოლი როდესაც იქ მიდის?! მაგრამ არა. რომ ჩამოვედი მახსოვს, შთაბეჭდილებებიც კი არ გამაზიარებინა. მერე მივხვდი, რომ აღიზიანებდა ჩემი წარმატება. ღამეებს ვათენებდი, რომ მეშრომა. ჩემს შვილებს რომ არაფერი მოკლებოდათ. მე დღეს ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ ამ გათენებული ღამეებით. ყველაფერი ძალიან კარგი იყო და მადლობა ღმერთს, რომ არ დავნებდი და ბოლომდე ის გავაკეთე, რასაც ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის საჭიროდ ვთვლიდი.

ქმართან განშორებაზე საუბრის დროს, მშობლები ცდილობდნენ ჩემთვის კონკრეტულად აღეწერათ ის გარემოებები, რომლებმაც მათ მეუღლესთან განშორების გადაწყვეტილება მიაღებინა. ჩანდა, რომ საუბრის პროცესი ერთგვარი თვითრეფლექსიაც იყო მთხრობელებისთვის. მრავალშრიან გამოცდილებებს შორის, დასამახსოვრებელი იყო ერთ-ერთი მშობლის სიტყვა, რომელმაც მითხრა: *ხანდახან მიზეზი შეიძლება ვერც იპოვო. შეიძლება მიზეზი იყოს ის, რომ უბრალოდ ვეღარ ეწყობი ადამიანს.* იმავე მშობელმა მიამბო:

> *მე მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე. აბსოლუტურად არაფერი შეზღუდვები ჩემ მიმართ ან ჩვენი შვილების მიმართ მას არ ჰქონია. ჩემი ყოფილი მეუღლე იყო აბსოლუტურად ნორმალური კაცი ყველა მიმართულებით. ჩვენი შვილებიც თავისუფლების სიყვარულით გაზრდილები არიან. მე მას არ დავშორებულვარ იმის გამო, რომ ვთქვათ, რაღაცა თავისუფლება მომეპოვებინა. თუმცა, მაინც აღმოვაჩინე, რომ მასთან ცხოვრება არ მსურდა. და გადავწყვიტე, რომ აღარ მეცხოვრა. ჩვენ ძალიან დიდი სიყვარული გვქონდა და, როცა განშორების ამბები დავიწყეთ, ყველა გაოგნებული დარჩა. არავინ მოელოდა. აი, დღეს უკვე ვფიქრობ, რომ კი, უფრო ლაღი ვარ, თითქოს. აბსოლუტურად არ ვიყავი არაფერში შეზღუდული, მაგრამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ დღეს უფრო ლაღი ვარ.*

მშობლების მხრიდან, წარსულ მეხსიერებაზე რეფლექსიამ აჩვენა, რომ მათთვის, ოჯახის შექმნა სხვადასხვაგვარი გამოცდილების ნაზავს წარმოადგენდა. ამ მრავალშრიანობას პერსონალურთან ერთად, საზოგადოებრივი და სხვა კონტექსტური განზომილებები ქმნიდა. ზოგიერთი მთხრობელი ქალი ხაზს უსვამდა, რომ მომავალი მეუღლის გაცნობისა და შეყვარების, როგორც ოჯახის შექმნის წინაპირობის გამოცდილება, არც ჰქონიათ. საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი მშობლის თქმით, მათი ახალგაზრდობის დროს, ქალების მხრიდან კაცების გაცნობის ინიციატივა საზოგადოებაში გაკიცხვის საგანი ხდებოდა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანაში კაცის მხრიდან ქალის მოტაცება ნორმალიზებული იყო. ქალებს ხშირად არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დროულად დაეხსნათ თავი არასასურველი ქორწინებისგან და, მათ შორის, მოძალადე პარტ-

ნიორისგან. ინტერვიუებმა აჩვენა ისიც, რომ დაოჯახებასთან ერთად, იმ მშობლებისთვის, რომლებსაც მეუღლესთან განქორწინების გამოცდილება ჰქონდათ, მნიშვნელოვანი სწორედ ამ განშორებაზე რეფლექსიაც იყო. მათი შეფასებით, განშორება ისევე იყო მათი *ბიოგრაფიის შემადგენელი,* როგორც ოჯახის შექმნა და სხვა ცხოვრებისეული გამოცდილებები.

მშობლების მხრიდან, წარსული მეხსიერების გაზიარება მიუთითებდა, რომ მეუღლესთან განშორებამ ქალებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყების შესაძლებლობა მისცა. აქვე დავძენ, რომ განშორებასა თუ მეუღლესთან თანაცხოვრების გამოცდილებებზე საუბრის დროს, ყველა მშობელი შვილს/შვილებს ახსენებდა და ამბობდა, რომ სწორედ შვილისთვის კეთილდღეობის გარანტიების შექმნა იყო ოჯახის შენარჩუნების თუ პირიქით – მეუღლესთან განშორების ძირითადი წინაპირობა. ანგარიშის მომდევნო სექციაში, წარმოვადგენ რეფლექსიებს მშობლობასა და მშობლად ყოფნის გადაწყვეტილებებზე; განვიხილავ იმ გარემოებებს, რომლებმაც მთხრობელების მშობლად ყოფნა და შემდეგ, *მათი ცხოვრების ტრანსფორმაცია* განაპირობა. შეგროვებული მიგნებებიდან, შევეცდები მშობლად ყოფნის ის პერიოდი აღვწერო, სანამ მშობლებისთვის შვილების გენდერული თუ სექსუალური იდენტობა გახდებოდა ცნობილი.

მშობლად ყოფნის გადაწყვეტილება და თანმდევი სირთულეები

კვლევაში ჩართული მშობლებისთვის შვილის გაჩენის პერიოდზე რეფლექსია, მნიშვნელოვანი იყო. მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც შვილის გაჩენის შემდეგ, თითოეული მათგანი მათი სიცოცხლის ტრანსფორმაციაზე მიუთითებდა. საუბრობდნენ ცხოვრებისეული გეგმების ცვლილებასა და მათ ცხოვრებაში ახალი პასუხისმგებლობების გაჩენაზე. ზოგიერთი მთხრობელი ქალი, შვილის გაჩენის გადაწყვეტილებაზე რეფლექსიის დროს, დასძენდა, რომ ეს რაღაცნაირად ბუნებრივად მოხდა, ვინაიდან ქალის როლი, საზოგადოებაში კარგი მეუღლისა და *აუცილებლად კარგი დედის ირგვლივ იყო აგებული.* მათივე შეფასებით, დღევანდელი მდგომარეობა შეცვლილია. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ქალი, რომელიც მისი გოგო შვილის ხედვებსა და ღირებულებებზე მიამბობდა, დასძენდა:

ახლა ნამდვილად შეიცვალა დრო. ჯერ მარტო ის, რომ გოგოები უფრო თამამად ალაგებენ საკუთარ ცხოვრებას და ძალიან მიხარია ეს. [...] ჩემი [ერთ-ერთი] შვილი, გოგო ახლა გეგმავს თავის ცხოვრებას. როგორ განვითარდეს კარიერულად. წინ წავიდეს, სახლი იყიდოს. ჰყავს შეყვარებულიც და ჰეტერო ურთიერთობაშია, მაგრამ თავად ასე მნიშვნელოვანი არ ჰგონია საერთოდ, რომ შვილი გააჩინოს. რომ ვუყურებ ისეთი საინტერესოა.. ნუ, ალბათ იმიტომ, რომ მე მახსენდება ჩემი [ახალგაზრდობის] დრო. ჩემს დროს, აუცილებლად ქმარი უნდა გყოლოდა და მარტო ქმარი არც იყო საკმარისი. ქმართან ერთად შვილები [გაგეჩინა], რომ ქალად შემდგარიყავი. სხვა რაც არ უნდა გამეკეთებინა, ეგრე მეგონა მაშინ, რომ ,ალბათ, ბოლომდე, აი, რაღაცნაირად, ქალად არ მიმიღებს ეს საზოგადოება თუ როგორც იყო.

მთხრობელების მიერ, დედობასთან დაკავშირებული მეხსიერების გაზიარება აჩვენებდა, რომ დედად ყოფნა საზოგადოებაში ქალისთვის მთავარ სტატუსად იყო მოაზრებული. ზოგიერთი მშობელი ერთგვარი გაკვირვებითაც კი სვამდა რიტორიკულ კითხვებსაც, რომელიც რთულ სამოქალაქო და პოლიტიკურ კონტექსტში შვილის გაჩენას უკავშირდებოდა. მეტი სიზუსტისთვის, ისეთ კითხვებს სვამდნენ, როგორიცაა – *სამოქალაქო ომი იყო, წარმოიდგინეთ, მაგრამ მაინც უკითხავთ – ბავშვს რატომ არ აჩენ?!* – და მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებაში დედად ყოფნის სირთულეები, შვილების უსაფრთხოების დაცვა თუ მათი საჭიროებების მატერიალური დაკმაყოფილების *თითქმის შეუძლებლობა* გააზრებული არ ყოფილა. გარდა ამისა, მთხრობელები ხაზს უსვამდნენ, რომ საზოგადოებაში ისეთი ქალებიც ცხოვრობდნენ, რომლებსაც შვილების გაჩენა დაგეგმილი არ ჰქონიათ. ერთ-ერთმა მთხრობელმა ქალმა, რომელიც პირველი შვილის დაუგეგმავად გაჩენაზე პირად ისტორიას მიზიარებდა, აღნიშნული გამოცდილება სექსუალური ცხოვრების დაწყებას დაუკავშირა და მითხრა:

სიმართლე თუ გინდათ, ჩემს მეგობრებთანაც ვამბობ ხოლმე, ახლა ამ გადმოსახედიდან, ეს [დაფეხმძიმება] იყო ჩვეულებრივი სიტუაცია. მე, პროვინციელ გოგოს, ჰორმონების შემოტევა მქონდა. ყველა ადამიანს აქვს ეს. სხვანაირად ვერ

მექნებოდა ურთიერთობა შეყვარებულთან და ალბათ, ბევრი ქალი სწორედ ასე გახდა მშობელი და არა ვთქვათ, ძალიან დაგეგმილად. ამ დროს თავისუფლად ვერ იცხოვრებდი ადამიანთან, რომელიც გიყვარდა. გაგიჟდებოდნენ ჩემები. მე მყავდა გიორგი და აუ, მე ვგიჟდებოდი გიორგიზე. ძალიან მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. ეს იყო ჩვეულებრივად ჰორმონების ამბავი. სექსუალური ინსტინქტები გვქონდა ერთმანეთის მიმართ და ასე დავფეხმძიმდი. ბავშვის ყოლა, მახსოვს, მინდოდა, მართლა მინდოდა. მაგრამ როდესაც პირველად დავფეხმძიმდი, ახლა, დღევანდელი გადმოსახედიდან, ალბათ, ძალიან ადრე იყო და შეიძლება, ამ პასუხისმგებლობისთვის ბოლომდე არც ვიყავი მზად. ახლა არ ვიცი, დროის დაბრუნება რომ შემეძლოს, ასე დაუგეგმავად გავაჩენდი თუ არა. ალბათ, არ გავაჩენდი და უფრო მეტად დავგეგმავდი ჩემი შვილის გაჩენას.

ზოგიერთმა ქალმა საუბრის დროს გამიზიარა, რომ შვილის გაჩენა მათ ბავშვობიდანვე სურდათ და ახალგაზრდობის წლებიდან ამ საკითხზე უფრო მეტი ფიქრიც დაიწყეს. მათივე შეფასებით, დედობა, როგორი დაგეგმილიც არ უნდა იყოს, რეალურად განსხვავებულ, *ბევრად უფრო რთულად წარმოსადგენ პასუხისმგებლობებთან* არის დაკავშირებული. ზოგიერთი მშობელი, შვილის აღზრდის პირველ წლებზე რეფლექსიის დროს, მათ მძიმე მდგომარეობას იხსენებდა, განსაკუთრებით ის რამდენიმე მთხრობელი ქალი, რომლისთვისაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე, საჯარო სივრცეში ყოფნის შესაძლებლობები ჩაიკეტა. ქალები ამბობდნენ, რომ ოჯახი – ქმარი და შვილები ვერ ანაცვლებს ქალის საჯარო ცხოვრებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალი *შინაგანად ისეა მოწყობილი,* რომ მას სამსახურებრივი წინსვლისა და კარიერული განვითარების მოტივაცია აქვს. ინტერვიუს დროს, ერთ-ერთმა ქალმა მითხრა:

შვილები ვერ ავსებდნენ ჩემს სხვა ინტერესებს და სურვილებს. ვერ ავსებდნენ, რადგან [...] კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობდი. ამ რთულ დროს, ეს ინსტიტუტი ფუნქციას კარგავდა, ამიტომ შემეძლო, იქ ყოველდღე არ მევლო. ნინოც და ის ჩემი უმცროსი შვილიც ასე ამბობდნენ – დედა დეპრესია-

შია. სახლში ყოფნა აბსოლუტურად არ მავსებდა. აბაზანის, დიდი ზომის ხალათი მეცვა და ვიჯექი სიგარეტის გორით სამზარეულოში. ძალიან მძიმე პერიოდი იყო. ის დრო, როდესაც გარეთაც საშინელებები ხდებოდა. მერე დაიწყო უკვე სამოქალაქო ომიც. სამოქალაქო ომის დროს უკვე, ჩემს უფროს შვილს ეღვიძებოდა და ტიროდა ხოლმე. ტიროდა, რადგან აფეთქების და სროლის ხმები ისმოდა და ბავშვი ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა.

ზოგიერთი მთხრობელი შვილის აღზრდის პროცესში მამების არათანაბარ ჩართულობაზე მიუთითებდა. საუბრის დროს ხაზს უსვამდნენ, რომ აღნიშნულმა ისინი, *რაღაც პერიოდის განმავლობაში* საოჯახო სივრცეს დააქვემდებარა. ქალები ამბობდნენ, რომ მათი ეს რთული მდგომარეობა გადამდები იყო შვილებისთვისაც, ვინაიდან შვილები თავს კარგად ვერ გრძნობდნენ მაშინ, როდესაც ხედავდნენ, რომ მათ მშობელს *ძალიან უმძიმდა*. ერთ-ერთ ქალს ვთხოვე, ეფიქრა, თუ რას დაარქმევდა და როგორ დაახასიათებდა ამ, მისი თქმით, *რთულ პერიოდს* და როგორ შეძლო ამ მდგომარეობიდან საკუთარი თავის დახსნა. მან გამიზიარა:

რა საინტერესოა კითხვაა – რას დავარქმევდი ამ პერიოდს. დავარქმევდი ალბათ, „დედა დეპრესიაშია-ს“. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემთვის და, ვფიქრობ, ჩემი შვილებისთვისაც. მაგრამ ამ პერიოდს დავეხსენი. დავეხსენი, მას შემდეგ, რაც ჩემს ქმარს დავშორდი. და დაშორების მერე პერიოდი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, იყო რაღაცა გაუგებრობიდან ნაცნობში გადასვლა. უკეთ რომ წარმოიდგინოთ, აი, ემიგრაციიდან, რომ დაბრუნდება ადამიანი – არასასურველი ემიგრაციიდან და უცბათ საკუთარ სახლში რომ აღმოჩნდება. თბილ სახლში, სადაც თავისუფლად გრძნობს თავს. ასე ვიგრძენი მეც თავი.

კვლევაში ჩართული ის მთხრობელები, რომლებსაც რამდენიმე შვილი ჰყავდათ, ამბობდნენ, რომ მათთვის პირველ შვილზე დაფეხმძიმებაც და შემდეგ მისი გაჩენაც, ცხოვრების *გამორჩეულად დასამახსოვრებელი* ეტაპი იყო. მათი თქმით, დაფეხმძიმების პირველ თვეებში, ბავშვის გაჩენის გამძაფრებული შიში ჰქონდათ. შიში, რომელსაც პერიოდულად, გადაჭარ-

ბებული სიხარულის განცდა ანაცვლებდა. მშობლები დედობის თემაზე საუბრის დროს, ხშირად აღნიშნავდნენ, რომ პირველი შვილის გაჩენის შიშებზე ვერ საუბრობდნენ. ზოგიერთი მათგანი იმასაც ამბობდა, რომ ამ თემაზე საუბარი, *რაღაცნაირად არ ყოფილა* მათ გარშემო მისაღები. დასძენდნენ, რომ საზოგადოება მომავალი დედისგან, *მხოლოდ პოზიტიური* განცდების გაჟღერებას ელოდა. დედების თქმით, შვილის მუცლადყოფნის დროს განცდილ ემოციებზე საუბარი რთულია და როგორც ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: *ამ პერიოდის სიტყვებით გადმოცემა, ალბათ, შეუძლებელიც.* დედების თქმით, პირველი შვილის გაჩენამ მომდევნო, სხვა შვილების გაჩენა ემოციურად გაამარტივა. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა – *გამიმარტივდა, რადგან მინიმუმ უკვე ვიცოდი, წინ რა მელოდა.* ზოგიერთი დედა, რომელსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავდა, იმასაც ამბობდა, რომ პირველი შვილის მიმართ, ხშირად, რაღაც არაჯანსაღი დამოკიდებულებაც გააჩნდათ. ეს დამოკიდებულებები, დედების მხრიდან, შვილების გადაჭარბებულად პოზიტიურ შეფასებებში გამოიხატებოდა. ერთ-ერთმა დედამ მითხრა, რომ წლების შემდეგ გაიაზრა, რომ ეს ჯანსაღი არ იყო და დასძინა:

> *ჩემს შვილებს შორის მცირე [ასაკობრივი] სხვაობაა. ჩემი გოგო, პირველი შვილია, ბიჭი – მეორე. ჩემს პირველ შვილთან, თითქოს თავიდანვე ძალიან დავმეგობრდი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მცირე სხვაობა იყო [შვილების] ასაკებში. დავმეგობრდი და მის მიმართ, რაღაც გადაჭარბებული შეფასებებიც მქონდა. თვითონაც უთქვამს ეს. აი, მე და ჩემს მეგობრებს გვეგონა, რომ იყო გენიოსი. უბრალოდ ჭკვიანი კი არა, არამედ გენიოსი გვეგონა სერიოზულად. რასაც არ გააკეთებდა, ყველაფერზე ვამბობდით: რა მაგრად დახატა, რა მაგრად დაწერა. ჩემი ეს შვილი [ზოდიაქოთი] ლომია და ხო იცით, ლომები როგორები არიან?! ლომურ რაღაცებს ასხივებენ. ჩვენც აი, ამ გამოსხივებებზე გადაჭარბებულად ვაქებდით. დღეს ამბობს ხოლმე [შვილი], რომ ესე მოქცევა ბავშთან არის დამღუპველიო. ახლა რომ ვფიქრობ, მგონი მეორე შვილზე ესე არ მჭირდა. ჩვეულებრივად ვექცეოდი და ჩვეულებრივ ბავშვად აღვიქვამდი. მაგრამ დღეს, როცა დიდია, ვფიქრობ, რომ ესე ჩვეულებრივ ბავშვად აღქმა უფრო კარგია და არასაზიანო, ბავშვებისთვის.*

შვილის გაჩენაზე საუბრის დროს, მშობლების ნაწილმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ *შვილების გაზრდა 90-იან წლებში წარმოუდგენლად რთული იყო.* მშობლები საუბრობდნენ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ხაზს უსვამდნენ, რომ შვილების გაჩენის შემდეგ, *ქვეყანაში ცხოვრებისას უსაფრთხოების განცდა ბოლომდე მოეშალათ.* მათი შეფასებით, ქვეყანაში არ არსებობდა არავითარი გარანტია იმისა, რომ ფიზიკურად გადარჩებოდნენ. ერთ-ერთი მშობელი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა აღნიშნავდა, რომ ამ *რთულ დროშიც იყვნენ მშობლები, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული გულისტკივილი* ჰქონდათ. მან მითხრა:

> *დედობა ყოველთვის რთულია. მე დღეს სულ ვფიქრობ ხოლმე, როგორ გავრისკე და გავაჩინე ოთხი შვილი. ამდენი რამე სჭირდებოდათ და ასეთი სიღარიბე იყო. სიღარიბესთან ერთად, ხომ წარმოგიდგენიათ ოთხმოცდაათიანები როგორი საშინელება იყო! ძალიან გაგვიჭირდა მატერიალურად და რაღაც პერიოდი, ჩემები გვეხმარებოდნენ ფინანსურად. მაგრამ ეს ის დრო იყო, რომ ბოლომდე ვერავისგან ითხოვდი დახმარებას, რადგან სხვებსაც არაფერი ჰქონდათ, რომ ჩვენ დაგვხმარებოდნენ. ზოგ მათგანს სხვანაირად უჭირდა. სხვანაირ განცდებში იყო. ზოგს მცირედით მაინც ჰქონდა მატერიალური მხარე [უზრუნველყოფილი] და ჩვენ ესეც არ გვქონდა. სიღარიბე და ის სისასტიკე ერთად. არ ვიცი, როგორ გადავიტანეთ ეს ყველაფერი. [...] პასუხისმგებლობები, რა თქმა უნდა, დამემატა [შვილების გაჩენის შემდეგ]. სულ ვფიქრობ, არაფერი ასტკივდეთ, არაფერი ეწყინოთ [...], არაფერი მოვაკლო. თუმცა ბევრი რამე აკლდათ, რადგან არ გვქონდა საშუალება. მაგრამ ყველაფერს ვაძლევდი, რაც შემეძლო, რომ რაღაცა ესწავლათ და მომავალი ჰქონოდათ.*

შვილების აღზრდის სირთულეებზე საუბრის დროს, დედებს ვკითხე, იღებდნენ თუ არა ოჯახის სხვა წევრებისგან დახმარებას, დავინტერესდი იმითაც, თუ როგორი იყო მამების ჩართულობა შვილების აღზრდის პროცესში. ზოგიერთმა დედამ მითხრა, რომ მამების ჩართულობა მინიმალური იყო და მეტ დეტალს არ მიზიარებდნენ. ძირითად შემთხვევებში, დედები საუბრობდნენ ოჯახის წევრი სხვა ქალების – მათი ან მათი მეუღ-

ლის დედების მხრიდან მიღებულ მხარდაჭერაზე. მშობლების თქმით, სწორედ მათგან იღებდნენ ისეთ დახმარებას, როგორიც საოჯახო საქმეების შესრულება და შვილის აღზრდის პროცესში მონაწილეობის მიღება იყო. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავდა, მითხრა – *დედაჩემის იმედი რომ არ მქონოდა, [ერთზე] მეტ შვილს არც გავაჩენდი.* სხვა მშობელმა კი მიამბო:

> *პირველი რომ გამიჩნდა, რაღაც გამოცდილება უკვე მქონდა. მაგრამ ეს გამოცდილება თითქოს, არ იყო საკმარისი. გადავედი დედასთან და ის მეხმარებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ დავბრუნდი სახლში. წარმოიდგინეთ, ორი პატარა მყავდა და მარტო ვიყავი სახლში, ხომ წარმოგიდგენიათ ეს რამხელა შრომა იყო? სხვა მშობლებს, შეიძლება უფრო მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ. მე მხოლოდ ბავშვებს ვუვლიდი და მიწას არ ვთოხნიდი, მაგრამ ნუ რაღაცა ბევრი საქმე მქონდა. ხანდახან წყალი მინდოდა და წყლის დალევა მავიწყდებოდა, იმდენი საქმე მქონდა.*

მაშინ, როდესაც დედებს შვილების აღზრდის პროცესში ოჯახის სხვა წევრი ქალებისგან მიღებულ დახმარებაზე ვესაუბრობდი, ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა, რომ მისი დედა იმდენად იყო შვილის აღზრდის პროცესში ჩართული, რომ თითქოს მასაც დედამისის მიმართ გაუჩნდა ერთგვარი ვალდებულებები. მთხრობელს ვთხოვე, მეტად განევრცო ეს საკითხი, რათა უკეთ შემძლებოდა ამ შეფასების გაგება. მან მითხრა:

> *რაღაცნაირად უცნაური განცდა მქონდა. დედასთან ვცხოვრობდი და ნუ დედაჩემი მეხმარებოდა შვილების გაზრდაში. მაგრამ მერე, რაღაცნაირი განცდა ჩამომიყალიბდა: თითქოს ვფიქრობდი, რომ აი ბავშვები [შვილები] არ წაიქცნენ იმიტომ, რომ არ მინდოდა ეს დედაჩემს დაენახა [იცინის]. თითქოს ესე ვგრძნობდი, რომ ჩემი კი არა, მისი შვილი იყო და მისი შვილი მიმყავდა სასეირნოდ, სათამაშოდ.*

შვილების გაჩენის პერიოდსა და მათზე ზრუნვის სირთულეებზე საუბრის ბოლოს, კვლევაში ჩართულ მშობლებს ვკითხე, დროთა განმავლობა-

ში თუ გათავისუფლდნენ რაიმე ისეთი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მათ შვილების გაჩენის პირველ წლებში ჰქონდათ. ვუთხარი, რომ თავად შვილის ყოლის გამოცდილება არ მქონდა და მინდოდა, ამ თემაზე მათი პერსპექტივა უკეთ აღმექვა. მშობლების უმრავლესობამ, ვისთანაც ეს კითხვა დავსვი, მითხრა, რომ მშობლის პასუხისმგებლობები შვილების გაზრდასთან ერთად *არ შემცირებულა, თუმცა მათ სახე იცვალეს.* რამდენიმე მშობელმა აღნიშნა, რომ ეს პასუხისმგებლობები ბევრად სპეციფიკური მაშინ ხდება, როდესაც *მშობელს ისეთი შვილი ჰყავს, რომლის მიმართაც საზოგადოება სიმპათიებით არ არის განწყობილი.* მშობლები ამბობდნენ, რომ თავად მშობლად ყოფნის გამოცდილებები იმდენად კომპლექსურია, რომ ყველა მათგანს *ინდივიდუალურად სახასიათო რამ აქვს.* ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა:

> *მე რომ გითხრათ, როგორც მშობელი, დღესაც არა ვარ გათავისუფლებული. მგონი, რაღაცნაირი დედა ვარ. არ ვიცი, ყველა თავისებური ტიპის ადამიანია, ალბათ. მაგრამ მე სულ ვნერვიულობ ჩემს შვილზე. ახლა რაღაც განსხვავებულად ვნერვიულობ, მიუხედავად იმისა, რომ პატარა აღარაა და პატარა აღარც ეთქმის. სულ განცდებში ვარ. მეჩხუბებიან ხოლმე [იცინის], პატარები ხომ არ ვართ, რომ დაგვსდევ და გვირეკავ ხოლმეო. მაგრამ მე სხვანაირად, თუნდაც მისი ხმის გაგების გარეშე, არ შემიძლია. მინდა, რომ დავურეკო და დავმშვიდდე. ვიცოდე, რომ კარგად არის.*

შვილის გაჩენის დაგეგმილ თუ დაუგეგმავ გადაწყვეტილებასთან და მათზე ზრუნვის კომპლექსურობასთან დაკავშირებული გამოცდილებების გაზიარების შემდეგ, მშობლები დამოუკიდებლად იწყებდნენ საუბარს შვილების სექსუალურ და გენდერულ იდენტობაზე. მათი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი *განსხვავებულად შეიგრძნობს* მშობლობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მშობლის მდგომარეობა ყოველთვის რთულდება მაშინ, როდესაც მისი შვილი ქვიარია. მშობლების თქმით, მათი ცხოვრება სრულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საკუთარი შვილების ქვიარობის შესახებ შეიტყვეს. საუბრის დროს დასძენდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის გაგება მათი *უკვე წარსული ცხოვრების* შემადგენელი იყო, ისინი მასზე რეფლექსიას მაინც აწმყო მდგო-

მარეობას უკავშირებდნენ. ინტერვიუირების დროს, მთხრობელები ხაზს უსვამდნენ, რომ შვილის შესახებ მეტის გაგებამ, მათი აღქმები გარე სამყაროს შესახებ რადიკალურად შეცვალა. აწმყო ცხოვრება, ერთ-ერთმა მშობელმა დაახასიათა, როგორც *უცნაური გამოწვევებით აღსავსე.* ისტორიების კრებულის მომდევნო სექცია, რომელსაც „აწმყო“ ჰქვია, შვილის ქვიარობასთან დაკავშირებული მეხსიერებისა და ამ მეხსიერებაზე რეფლექსიის წარმოჩენას იმ მიზნით ცდილობს, რათა მკითხველისთვის მშობლების ამჟამინდელი პერსპექტივების გაგება მეტად ნათელი გახდეს.

აწმყო

ყველა ინტერვიუმ, რომელიც მშობლებთან ჩავწერე, დამარწმუნა, რომ მთხრობელები მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე რეფლექსიის დროს, წარსულ და აწმყო ცხოვრებას ერთმანეთს ხშირად უკავშირებდნენ. ამ დაკავშირებების ვერბალიზება, ძირითადად, აწმყოში მშობლობას, როგორც ეს ერთ-ერთმა მთხრობელმა მითხრა – *წარსულიდან დღემდე შეცვლილ მშობლობაზე* და ასევე ამ ცვლილების შესახებ მსჯელობაში გამოიხატებოდა. თვითრეფლექსიის დროს, ზოგიერთი მშობელი ჩემთან იმასაც ამბობდა, რომ მათ მშობლობა, ზოგადად, სხვაგვარი წარმოედგინათ – არა მარტივი, არამედ უფრო მეტად მსუბუქი. ინტერვიუირების დროს, თითქმის ყველა მშობელი აღნიშნავდა, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც შვილზე ზრუნავს, ერთმანეთთან უხილავი ქსელით არის დაკავშირებული. ამასთანავე, თავად მშობლობის გამოცდილებები და ამ გამოცდილებების მრავალშრიანობა – მშობლებს ერთმანეთისგან *განსხვავებული* საჭიროებების, პასუხისმგებლობებისა და ბრძოლის მქონე სოციალურ ჯგუფებად აყალიბებს. მომდევნო სექციის სახელი ერთ-ერთი მშობლის სიტყვებია – მასში მკითხველისთვის იმ განსხვავებული, ხშირად კონტრავერსიული რეალობების ჩვენებას ვცდილობ, რომელიც მშობლების ცხოვრების იმ პერიოდს ასახავს, როდესაც მათ საკუთარი შვილების ქვიარობის შესახებ შეიტყვეს.

შეცვლილი მშობლობა

შვილის გენდერული და სექსუალური იდენტობა კვლევაში ჩართული მშობლების ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი იყო. მშობლების თხრობის მანერა, ერთი მხრივ, ხშირად აღწერდა მათი და მათი შვილების მდგომარეობას ერთი და იმავე სიტყვებით და, მეორეს მხრივ, მოთხრობილი ისტორიები თავად მშობლებს შორის არსებულ აღქმებსა და მათ განსხვავებებზეც მიუთითებდა. ინტერვიუირების დროს, მშობლებს ვთხოვდი, ეფიქრათ, თუ როგორ შეიცვალა მათი ცხოვრება მას შემდეგ, რაც საკუთარი შვილის ქვიარობის შესახებ გაიგეს. გარდა ამისა, აღნიშნულზე რეფლექსიის დროს, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მშობლებს საკუთარი ცხოვრება ერთგვარ ფაზებად დაეყოთ და შემდეგ, ამ ფაზების-

თვის გარკვეული სახელდებებიც მიენიჭებინათ. მშობლებს კონკრეტულ კითხვებს არ ვუსვამდი. ნაცვლად ამისა, სასაუბრო თემებს ვთავაზობდი, რის შემდგომაც მშობლები საკუთარი გამოცდილებების მიხედვით ცდილობდნენ შეთავაზებული საკითხების ირგვლივ რეფლექსიას.

მშობლები მაშინ, როდესაც შვილების ქვიარობის გაგებაზე საუბრობდნენ, *სხვადასხვა პერიოდსა და ახალი რეალობასთან შეგუების განსხვავებულ სტრატეგიებზე* მიუთითებდნენ. მათი ნაწილი აღნიშნავდა, რომ შვილების ქვიარობის შესახებ მაშინ დაიწყეს ფიქრი, როდესაც ისინი *ჯერ კიდევ პატარები* იყვნენ. მსგავსი გამოცდილება, ძირითადად, ტრანსგენდერი ადამიანების მშობლებს ჰქონდათ. ისინი იხსენებდნენ, რომ შვილები, ჯერ კიდევ *პატარა ასაკში* იყვნენ, როდესაც საპირისპირო სქესის იდენტობებს ირგებდნენ. მშობლების თქმით, ამ *იდენტობების გამოხატულება,* ძირითადად, ტანსაცმელი იყო და, ზოგიერთ შემთხვევაში, შვილების მიერ, საპირისპირო სქესის სახელის დარქმევაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთი მშობელი პირად დაბნეულობაზე მიუთითებდა და ამბობდა, რომ ამ დროს, ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა მათი და შვილების ცხოვრებაში. ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა ისიც, რომ მას შვილი *უბრალოდ გეი* ეგონა, რადგან სექსუალური და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. მან თქვა:

> *პირველი, რამაც დამაფიქრა, ის იყო, რომ ბიჭის სახელი დაირქვა. ბიჭის ტანსაცმელები მოსწონდა, მაგრამ ტანსაცმელზე დიდად არ მქონდა მეც რეაქცია. გოგოსთვის შარვლების, ბიჭის ტანსაცმლის ჩაცმა, ამ დროს, არაფერს ნიშნავდა. [...] მაგრამ ბიჭის სახელი [...], რაღაცნაირი იყო ჩემთვის. მაშინ ვიფიქრე, რომ ნეტა რა ხდება, გეი ხომ არ არის-მეთქი. არავისთვის მითქვამს. ეს ტრანსგენდერი თემები, ჩემთვის მაშინ არ იყო ცნობილი. როცა თვითონ გაიზარდა და ჩამოყალიბდა, მეც მაშინ გავიგე.*

ზოგიერთმა მშობელმა ისიც მითხრა, რომ შვილები საკუთარი ქვიარობის შესახებ მშობლების ინფორმირების ერთგვარ წინაპირობებს ბავშვობაში ქმნიდნენ. ამ *წინაპირობებზე* მეტის გასაგებად, ინტერვიუს დროს, ერთ-ერთ მშობელს, რომელსაც ტრანსგენდერი შვილი ჰყავდა, ვთხოვე, ჩემთვის მეტი მოეყოლა, კონკრეტულად რას გულისხმობდა. მან მითხრა:

ასე არ დავმსხდარვართ სალაპარაკოდ. ჩემს შემთხვევაში სხვანაირად მოხდა. მე გამონაკლისს ვეკუთვნი. ჩემმა შვილმა, ბავშვობიდანვე, როდესაც სამი-ოთხი წლის იყო, ბიჭის სახელი დაირქვა. ანუ სკოლამდელი ასაკის იყო, როცა ბიჭური იყო ძალიან; [...] მახსოვს, ერთხელ ძალით ჩავაცვით კაბა, მართლა სამი-ოთხი წლის ასაკში იყო და სურათიც გვაქვს იმ დღის შემორჩენილი. იმ დღეს, საერთოდ არც ითამაშა, საერთოდ არაფერი ქნა. ძალიან ჩაიკეტა და მივხვდი, რომ რაღაც ძალიან დავაშავე და ბავშვს არ შევარგე. იმის მერე ეს შეცდომა აღარ დამიშვია და ნუ, სანამ ჩავუღრმავდებოდი და რამეს მივხვდებოდი, ვიფიქრე, რომ თუ ესეთია, მაშინ ეხლა კაბის ჩაცმით და შარვლის ჩაცმით და გალახვით ეს საქმეს არ უშველიდა. ეს ოცდახუთი-ოცდაშვიდი წლის წინ მოხდა.

ზოგიერთი მთხრობელი იხსენებდა, რომ პირველად, როდესაც შვილის ქვიარობის შესახებ ეჭვები გაუჩნდათ – დადარდიანდნენ. ფიქრობდნენ, რომ მათ შვილებს საზოგადოებაში ცხოვრება გაუჭირდებოდათ. მშობლები ამ პერიოდზე რეფლექსიის დროს, დასძენდნენ, რომ *ალბათ, ის რთული ცხოვრება უფრო მეტად იყო სადარდებელი,* რომელიც მათ შვილებს წინ ელოდათ. ზოგიერთი მშობელი იმასაც ამბობდა, რომ საზოგადოებისგან კითხვები, საკუთარი შვილის ქვიარობის შესახებ, იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ეს ეჭვები თავადაც უჩნდებოდათ, მაგრამ ბოლომდე გარკვეულები არ ყოფილან. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ტრანსგენდერი შვილი ჰყავს, ინტერვიუს დროს გაიხსენა, რომ პირველი *მძიმე* გამოცდილება თანამშრომლებთან ურთიერთობას უკავშირდებოდა. მას ვთხოვე, მეტი ეამბო, თუ რა იყო ამ მძიმე გამოცდილების წინაპირობა და გაეზიარებინა, როგორი განცდები დაეუფლა ამ დროს. მან მითხრა:

ხან გიორგი დაირქვა, ხან ნიკუშა. უკვე თინეიჯერი იყო ჩემი შვილი, ცამეტი-თხუთმეტი წლის, როდესაც კიდევ სხვა სახელი დაირქვა „ფეისბუქზეც“. ნუ, მე ახლა მყავს ჩემი შვილი „ფეისბუქზე“ მეგობრებში. მერე გავიგე, რომ ჩემს თანამშრომლებსაც უნახავთ ამან [შვილმა], რომ ეს იმასქნა [სახელი შეიცვალა]. ეს ნახეს ჩემმა თანამშრომლებმაც. მანამდე, სკოლაში, მისი კლასელების მშობლები მეკითხებოდნენ – გა-

დაწყვიტა, გოგოა თუ ბიჭი? ასეთ თემებზე ჩემი პროვოცირება მარტივი არ არის; არ არის მარტივი, ჩემი წყობიდან გამოსვლა [...]; ხან იუმორით ვპასუხობდი, როგორც შემეძლო ისე გამოვდიოდი სიტუაციიდან. მახსოვს, ამაზე არ ვდარდობდი; აი, სამსახურს, რაც შეეხება, მახსოვს რომ ძალიან, ძალიან განვიცადე. თან პირდაპირ მითხრეს, რომ გეია შენი შვილიო? სხვათაშორის, მგონი ცუდად არ უთქვამთ. მაგრამ აი, რაღაცნაირად მოუმზადებელი ვიყავი. განცდა მქონდა, თითქოს, რაღაც დანაშაულზე დამიჭირეს; თითქოს, რაღაც მოვიპარე და შემომისწრეს; [...] თვალებში დამიბნელდა. ერთი სული მქონდა სახლში მოვსულიყავი, რომ გამებრდღვნა ჩემი შვილი (იცინის); მეთქვა, რომ ჯერ ჩემთან უნდა ელაპარაკა. მომზადებული ვიქნებოდი. ნუ, ამ დრომდე, რაღაც იმედიც მქონდა, რომ გაიზრდებოდა და გადაუვლიდა. ბევრი რამე ვისწავლე მას შემდეგ...

ინტერვიუს დროს, იგივე მშობელი იხსენებდა, რომ შვილთან ხშირად საუბრობდა და დასძენდა, რომ ეს საუბრები *ყოველთვის მარტივი არ ყოფილა.* მიუხედავად ამ სირთულისა, ამბობდა, რომ საუბრების დროს შვილისთვის *უპირობო მხარდაჭერის* ჩვენებას ცდილობდა. მშობლის შეფასებით, დროთა განმავლობაში, მისი მთავარი *დარდი* არა შვილის ქვიარობას, არამედ მისი შვილის, როგორც ტრანსგენდერი კაცის, საზოგადოებაში ცხოვრების სირთულეზე ფიქრს დაუკავშირდა. მშობელი ამბობდა, რომ ვერ იმეტებდა შვილს *აგრესიით სავსე საზოგადოებაში* საცხოვრებლად; ინტერვიუს დროს, პერიოდულად, მშობელი აღნიშნავდა, რომ დროთა განმავლობაში, საკუთარი შვილის გაცნობას უკეთ და უფრო სიღრმისეულად ახერხებდა. აღმოაჩინა ისიც, რომ მის შვილს დამალვა და ტყუილში ცხოვრება არ შეეძლო. მშობლის თქმით, ეს თვისება მხოლოდ ძლიერ ადამიანს თუ ექნებოდა. ამ საკითხზე საუბრის დროს, მშობელს ვთხოვე, მეტი მოეთხრო მის განცდებზე და იმაზე, თუ როგორ აფასებდა შვილის მხრიდან მისთვის გენდერული იდენტობის გაზიარების პროცესს. მან მიამბო:

ძალიან რთული იყო ეს ყველაფერი. მიმღებლობა მქონდა და არ მქონდა არანაირი წინააღმდეგობა. უბრალოდ, მართლა ვდარდობდი იმას, რომ ისედაც არ არის ეს ცხოვრება მარ-

ტივი, განსაკუთრებით აქ, ჩვენთან, არავისთვის ადვილი არ არის, თავის დამკვიდრება და კიდევ, რომ საქართველოში ტრანსგენდერი ხარ, ვიფიქრე, რომ ბავშვს ძალიან გაუჭირდებოდა ცხოვრება. დავამატებ, იმასაც, რომ დღეს ვამაყობ ჩემი შვილით ძალიან. ვამაყობ იმიტომ, რომ გამბედაობა ეყო, ერთი დღეც არ უფიქრია, საკუთარი თავი დაემალა, არ უფიქრია, სხვა ვინმედ მოგვჩვენებოდა, ვინმე მოეტყუებინა. ზოგადად, ისეთი ტიპია, რომ არ იტყუება, არ უნდა რომ მოიტყუოს, ამით თავმოყვარეობა ელახება. ალბათ, სიამაყიდან გამომდინარე აქვს ეს თვისება. ზუსტად ეს, რომ დიახ, ესეთი ვარ და რა ვქნა, ესეთი ვარ და მორჩა – გინდა, გინდა, არ გინდა, და დამანებე, წადი სხვასთან, იყავი სხვისი დედა, სხვისი მამა, სხვისი მეგობარი. იმდენად თვითმყოფია ბუნებრივად, რომ ალბათ, ამის გამოც, მის არცერთ მეგობარს არ ჰქონია რაღაც არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ [...].

ინტერვიუების დროს ვხვდებოდი, რომ მშობლების ის ნაწილი, რომელსაც ტრანსგენდერი შვილები ჰყავდა, შვილის გენდერული იდენტობის გაგების პერიოდზე რეფლექსიისას ერთგვარ სინანულსაც გამოხატავდნენ. ზოგიერთი მათგანი ამბობდა, რომ დღეს მეტად *გაძლიერებულად გრძნობდნენ* თავს, ვინაიდან შვილებთან ურთიერთობამ გენდერული და სექსუალური იდენტობების შესახებ მათი ინფორმირებულობა გაზარდა. მიუთითებდნენ, რომ ამ ინფორმირებულობას *ცოდნად* თვლიდნენ და დასძენდნენ, რომ სწორედ ამ ცოდნას ჰქონდა პერსონალურად მათთვის გამაძლიერებელი ეფექტი. სინანულის თემის სიღრმისეულად გასაშლელად, მშობლებს რამდენჯერმე ვკითხე, თუ ჰქონდათ შვილთან დაკავშირებული ისეთი მოგონება, რომელიც დღეს მათში *სინანულს* აღძრავდა. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ტრანსგენდერი კაცის დედა იყო, მითხრა:

რა თქმა უნდა, ჩემი შვილი მივიღე ისეთი, როგორიც აღმოვაჩინე. უფრო უკეთ ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ადამიანის ცხოვრება ეკუთვნის ადამიანს; პირადი ცხოვრება ეკუთვნის ადამიანს. სხვათა შორის, ეს განცდა ყოველთვის მქონდა, მაგრამ უფრო მეტად გამიმძაფრდა. მქონია სინანულის მომენტიც [იცინის], იცით რაზე? ხმაზე. ჩემი შვილის ხმაზე.

შეიძლება გაგეცინოთ ახლა, მაგრამ ძველ ჩანაწერებს, როდესაც ვუყურებ, მესმის ჩემი შვილის არაჩვეულებრივი ხმა. იმ პერიოდში, როცა გოგო იყო. [...] ერთხელ რაღაც ვიდეო ჩამიგდო – დე, ნახე რა ვიპოვნეო და ცრემლები ვერ შევიკავე. მივხვდი, რომ იმ ხმისგან არაფერი არ დარჩა. [...] კიდევ მახსენდება ეს ტრანზიციის პერიოდი, რომელიც ძალიან მძიმე იყო ჩემი შვილისთვისაც, მაგრამ ჩემთვისაც. მახსენდება, წვერი როდესაც ამოუვიდა, როგორ შეიცვალა ჩემი კოცნა მის ლოყაზე. ამასთან შესაგუებლად დრო დამჭირდა, ვერ ვიტყვი, რომ ეს მარტივი იყო. [...] ეს მაქვს სინანული იმ პერიოდიდან, როცა ჩემი შვილი გოგო იყო. მაგრამ დღეს ყველაფერი შეცვლილია და ცხოვრებაც ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს.

შვილებთან ურთიერთობის ფორმებზე, სინანულსა და ტრანსფორმირებულ მშობლობაზე საუბრის დროს, მთხრობელების ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ სწორედ დღეს იყვნენ ისინი საკუთარ შვილებთან *ისე ახლოს, როგორც არასდროს.* მშობლებს, რომლებიც ქვიარ შვილის მშობლობაზე სინანულით რეფლექსირებდნენ, ვთხოვე ეფიქრათ, თუ იყო დალექილი მათ მეხსიერებაში რაიმე ისეთი, რაც არ მოსწონდათ: რასაც შეცვლიდნენ, დღეს რომ თავიდან შესძლებოდათ შვილთან პირველი დიალოგის დაბრუნება. ამ თემაზე საუბრის დროს, რამდენიმე მშობელმა ცრემლები ვერ შეიკავა. მითხრეს, რომ გადალახულ ტკივილზე რეფლექსია არ სურდათ, თუმცა ზოგიერთი მშობლისთვის ამ წუხილზე რეფლექსია და მისი ვერბალიზება მნიშვნელოვანი ჩანდა. ჩემთვის დასამახსოვრებელი ერთ-ერთი ტრანსგენდერი კაცის დედის სიტყვები იყო. მან შვილის გენდერული იდენტობის გაგების საწყისი პერიოდის აღწერის მიზნით, შვილის *კარადაში ჩაკეტვის* მეტაფორა მოიშველია და მითხრა:

ვაღიარებ, იყო რა მომენტი, როდესაც ჩემს შვილს, არ ვიცი როგორ ვთქვა, ავუკრძალე რომ ყოფილიყო თავისი თავი. ახლა ვხვდები, რომ მე მაშინ, ჩემი შვილი ჩავკეტე. ფაქტიურად, შვილი დავმალე და ჩავკეტე კარადაში. უბრალოდ, სხვაგვარად არ შემეძლო, იმდენად შოკი იყო ეს ჩემთვის. დღეს იცით რაზე ვფიქრობ? ჯერ საუბარი რომ ყოფილიყო ჩემთან, პირადად ჩემთან გაემხილა, ალბათ, ასე არ მოვიქცეოდი. მე სხვე-

ბის კითხვებმა, მეზობლების, თანამშრომლების კითხვებმა დამაეჭვა და გამანადგურა. რაღაც ეტაპზე რომ მცოდნოდა, კარგი, ალბათ, მოვემზადებოდი, დამჭირდებოდა ერთი კვირა ყველაფრისთვის... [...] როგორ გითხრათ, როცა ვიცი, რომ ვიღაცამ უნდა ჩამარტყას, გავემზადებოდი ამ ჩარტყმისთვის. დღეს მძიმედ მახსენდება, რომ ჩემ გამო დაიბრუნა ისევ ის თავისი სახელი და ძალიან დიდხანს ერქვა. ჩემს გამო ერქვა ის სახელი, რომელიც მისი არ იყო. მას არ მოსწონდა, მას არ გამოხატავდა. ახლა ისე მრცხვენია. მრცხვენია, რომ ჩემ გამო გაიღო ამხელა მსხვერპლი და დაირქვა ისევ ის სახელი, რომელიც მას, როგორც პიროვნებას არ გამოხატავდა. რამდენი დრო დააკარგვინა ამან, როგორ შეფერხდა. დღეს ამას აღარ ვიხსენებ ხოლმე, რაღაცნაირად მიმძიმს. უფრო იმას ვიხსენებ, რომ რაღაც მიმღებლობა მქონდა, მაგრამ ამას – არა. ვერიდები ამის გახსენებას. როგორ განვიცდი, რომ შევაფერხე. როგორ განვიცდი, რომ მერე ძალიან გაუჭირდა სახელის შერჩევა, ხელახალი სახელის დარქმევა. როგორ განვიცდი, რომ მას ის სახელი წავართვი, რომელიც პირველად აირჩია. მეორედ, უკვე ვეღარ შეძლო იმავე სახელის დარქმევა. [...] ვაღიარებ, ფაქტის წინაშე რომ დავდექი, ძალიან გამიჭირდა.

იმავე მშობელს, სიღრმისეული რეფლექსია იმ გარემოებებზეც ვთხოვე, რომლებმაც მისი ამ მდგომარეობაში ყოფნა განაპირობა. მეტი სიცხადისთვის, ვკითხე, რა იყო ის, რამაც შვილის გენდერული იდენტობის მიმართ მიმღებლობის კვალდაკვალ, ერთგვარი მიუღებლობაც ჩამოუყალიბა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი წარსულზე თვითრეფლექსიაც აღმოჩნდა, რადგან მშობელმა მითხრა, რომ ამ საკითხზე, დღემდე ნაფიქრი არ ჰქონდა. შემდეგ გამიზიარა:

არ მიფიქრია ამაზე. დღეს მგონია, რომ მაშინ ყველაზე ცუდი რა იყო იცით? ცუდი იყო, რომ მეგონა, თითქოს მე ვიყავი ერთადერთი დედა. მეგონა, ერთადერთი ვიყავი დედამიწაზე, ვისაც ეს გასაჭირი მქონდა. რა უცნაურია, რომ იმაზეც ვფიქრობდი, რომ თითქოს მეჯერა, რომ მე ვიყავი ერთადერთი დედა, რომელიც თავის ტრანსგენდერ შვილს იღებდა. იღებ-

და, როგორიც იყო ისეთს. ოღონდ მიმღებლობა ხომ კარგია, მაგრამ მე ეს ისე მეგონა, თითქოს რაღაცას არასწორს ვაკეთებდი. [...] ალბათ, გარემო რომ ასეთი მძიმეა, ამიტომ მეგონა ჩემი სწორი საქციელი არასწორი. რა თქმა უნდა, დღეს სწორი მგონია, რომ მალევე მივიღე ჩემი შვილი ისეთი, როგორიც იყო, მაგრამ მაშინ მეგონა, რომ მე ვიყავი ის დეგენერატი დედა, რომელიც იღებდა ამ შვილს. სწორად მიმიხვდი – ანუ ის, რაც სწორი იყო, არასწორი მეგონა. ლამაზი რომ ხარ და მახინჯ სარკეში უყურებ თავს, ალბათ, ასე ვიყავი. მერე მე სხვებიც გავიცანი [მშობლები, რომლებსაც ქვიარი შვილები ჰყავთ] და მივხვდი, რომ ქვიარების დედები ვართ ესეთ სიტუაციებში. ყველას გვგონია, რომ მარტო ვართ. მე მგონია, რომ მამებიც ამიტომ იმალებიან. იმალებიან, რადგან ჰგონიათ, რომ ისინი მარტო არიან; ჰგონიათ, რომ ერთადერთები არიან ამ მდგომარეობის პირისპირ. [...] კაცს ჰგონია, რომ ერთადერთი მამაა, რომელიც თავისი შვილის მხარეს დგას. ჰგონია, რომ ამის გამო, უეჭველი ჩაქოლავენ, სამიზნე გახდება. უეჭველი მსხვერპლად აქცევენ აი, ამ პირცეცხლოვან საზოგადოებაში და ამ დროს – არ არის ასე. არ არის ასე, რადგან ყველა მშობელს გულისფანცქალით გვიყვარს ჩვენი შვილები. გვიყვარს, მაგრამ შიშით აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ და რანაირად გამოვხატოთ. იმიტომაც, რომ სათითაოდ გვგონია, რომ ვართ. ამიტომაც უნდა იყოს, რომ ჩვენმა შვილებმაც იპოვონ ერთმანეთი და ჩვენც, მშობლებმაც [...], რათა დავინახოთ, რომ მარტოები არ ვართ.

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, ქალმა, რომელსაც ლესბოსელი შვილი ჰყავდა, ისიც მითხრა, რომ შვილთან სექსუალური იდენტობის შესახებ საუბარი დღემდე არ ჰქონია, რადგან აღნიშნულის გაგება მან *უთქმელად* და *ბუნებრივად* შეძლო. ამავე მშობლის თქმით, შვილის ქვიარობის გაგებისა და შემდეგ, ახალ რეალობასთან შესაგუებელი პერიოდი მისთვის *დროში ფართოდ გაწელილი* პროცესი აღმოჩნდა. რაც ერთდროულად, მისი შეფასებით, *ალბათ, რთულიც იყო* და *მარტივიც*. მშობლების ნაწილი საპირისპირო გამოცდილებაზეც საუბრობდა – ისინი იმ კონკრეტულ დღეს იხსენებდნენ, როდესაც შვილებთან პირველად ისაუბრეს და მათგან გა-

იგეს მათი სექსუალური თუ გენდერული იდენტობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი, ამ დღეს დეტალურად აღწერდა, იხსენებდნენ, როგორ ოთახში ისაუბრეს, რა ეცვათ მათ და შვილებსაც, მაგრამ საუბრის შინაარსს, მხოლოდ ფრაგმენტულად მიზიარებდნენ, ვფიქრობ, ამ საუბრის ზედმეტად ინტიმურობიდან გამომდინარე.

ახლა, წერის პროცესში, მახსენდება კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ქალი, რომელიც გეი კაცის მშობელია. მახსენდება, რადგან შვილთან საუბრის დღე დეტალურად მომითხრო და მისგან წამოსული თვითრეფლექსიაც ჩემთვის დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ინტერვიუს დროს, დედას ვთხოვე, ამ დღის გახსენებასთან ერთად, ჩემთვის ის განცდები დაესახელებინა, რომლებიც შვილთან საუბრის დროს დაეუფლა. დედამ მიამბო:

> *სიმართლე უნდა ვთქვა – პირველად რომ გავიგე, გავიფიქრე, ნეტავ შემეძლოს ამის შეცვლა-მეთქი. ჩემი შვილი, როდესაც პირველად დამელაპარაკა ჩვიდმეტი წლის იყო. რა დამავიწყებს – ზუსტად მისი დაბადების დღე [...] იყო, როდესაც მითხრა. ვერ აღგიწერ, რა ვიგრძენი ამ დროს. მინდოდა, ხუმრობა ყოფილიყო. როგორ არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს სიმართლე იყო, რასაც გიორგი მიყვებოდა. როგორ მინდოდა, ეს ყოფილიყო ხუმრობა, რასაც ვისმენდი. მძიმე იყო კიდევ იმიტომ, რომ ჩემს ქმარს ახალი გაცილებული ვიყავი. ჯერ ერთი ომი არ მქონდა გამოვლილი და ახლა, მეორე ომში შევდიოდი. ომში, რომელშიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ჩემი შვილი უკვე იბრძოდა. [...] ამ დღეს, როცა [...] გამიმხილა, ერთადერთი რაც ვიგრძენი იყო შიში. ვაიმე, როგორ შემეშინდა, ვერ წარმოიდგენ. რა აღარ გავიფიქრე, ღმერთო ჩემო. გავიფიქრე, თითქოს, მოკლეს, გავიფიქრე, თითქოს, იმან ეს უთხრა, ამან ეს. გავიფიქრე, თითქოს, კლასში ვიღაცამ შეურაცხყოფა მიაყენა. ამაზე ვფიქრობდი, ამის მეშინოდა. მგონი, რას ყვებოდა აღარც ვუსმენდი [იცინის]. ეს დარდი მჭამდა.*

თხრობის დროს, მშობელმა, საუბარი იმაზეც დაიწყო, თუ როგორ წარმოიდგენდა ცხოვრების ცვლილებას მას შემდეგ, რაც შვილის სექსუალური ორიენტაციის შესახებ გაიგო. მთხრობელი ხაზს უსვამდა, რომ მას ერთგვარი განცდა დაეუფლა, თითქოს, სიმშვიდეს, *რომლისთვისაც იბრ-*

ძოდა, კარგავდა. გარდა ამისა, აღნიშნავდა, რომ ამ დღის შემდეგ, მისმა ცხოვრებამ ერთგვარი *ტრანსფორმაცია* განიცადა: ცხოვრებისეული არაერთი ხედვა გადააფასა და თითქოს, პირველად დაფიქრდა იმაზეც, რომ *შვილზე ღირებული ამქვეყნად* არავინ ჰყავდა. მშობელმა, ცხოვრების ცვლილებასთან, სიმშვიდის დაკარგვასთან დაკავშირებით, შემდეგი რამ მითხრა:

> *ახლა ვფიქრობ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი საქმე, რაც ცხოვრებაში გამიკეთებია და ვაკეთებ, ვაკეთებ ერთადერთი მიზნით: რომ მშვიდად ვიცხოვრო. რაც გიორგიმ გამიმხილა [რომ გეი იყო], მთელი ჩემი ცხოვრება, ყველაფერი რაც მე ჩემი და ჩემი შვილების სიმშვიდისთვის გამიკეთებია ამოტრიალდა, თავდაყირა დადგა. სხვათა შორის, ამას ახლა ვამბობ, მაშინ უბრალოდ ვგრძნობდი ამას, მაგრამ ზუსტად ვერ ვხვდებოდი, რას ვკარგავდი. თურმე, სიმშვიდეს. სიმშვიდეს ვკარგავდი და ამისთვის არ მემეტებოდა არც ჩემი შვილები და არც ჩემი თავი. [ცხოვრებაში] სულ მქონდა ასეთი მიდგომა, რომ ეს მოაგვარე? კარგად ხარ, ის მოაგვარე? კარგად ხარ. მაგრამ ამ ამბავს რას ვუზამდი? როგორ მოვაგვარებდი?*

ყველა მშობელი, შვილის ქვიარ იდენტობაზე საუბრის დროს, ხშირად ახსენებდა უსაფრთხოების საკითხს. უფრო მეტიც, ჩანდა, რომ ეს მათი ამჟამინდელი დარდის ცენტრალური შემადგენელი იყო. მშობლები დასძენდნენ, რომ შვილების ფიზიკური უსაფრთხოება, ძირითად შემთხვევაში, სწორედ ის ერთადერთი საკითხი იყო, რომელიც მათ *მოსვენებას არ აძლევდათ.* ერთ-ერთმა მშობელმა განმიმარტა:

> *თითქოს სულ ფხიზლად უნდა ვიყო. აი, რომ მოვდუნდე, ბრახ! მგონია, რომ ზუსტად იმ მომენტში დამერხევა და რაღაც საშინელება დამატყდება თავს და ჩემს შვილს რამეს დაუშავებენ.*

საუბრის დროს, ზოგიერთმა მშობელმა ისიც გამანდო, რომ შვილის ქვეყნიდან წასვლას, სწორედ მათივე უსაფრთხოების არგუმენტით უჭერდნენ მხარს. იგივე მშობლები ხაზს უსვამდნენ, რომ შვილების ფიზიკურ

უსაფრთხოებაზე დარდმა, მათთვის ის დარდი *გააუფერულა*, რომელიც, როგორც წესი, ყველა მშობელს აქვს. ქალს, რომელიც ამ საკითხზე საუბრობდა, ვთხოვე ეთქვა, თუ რა იყო მისთვის *გაუფერულებული* დარდი. მშობელმა მითხრა: *ყველა მშობელი დარდობს, სად ჩააბარებს, სად დასაქმდება ბავშვი. მაგრამ მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, იმას ვფიქრობ – ხომ გადარჩება ჩემი შვილი?*

შვილისთვის უსაფრთხოების შექმნაზე ფიქრი ერთ-ერთი მშობლისთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ჩანდა. მშობელი ამბობდა, რომ ყველაფერს აკეთებდა, რათა მის შვილს, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის შესაძლებლობა ჰქონოდა. მშობლის თქმით, ეს მისი, როგორც მშობლის ერთგვარი სტრატეგიაც იყო იმისთვის, რათა შვილში *უსაფრთხო* და ლაღ ქვეყანაში ცხოვრებაზე *ფიქრი გაელვივებინა*. მშობლის თქმით, შვილის უსაფრთხოება ავტომატურად გულისხმობდა მის ცხოვრებაშიც მეტი სიმშვიდის შემოტანას. მშობელმა გამიზიარა:

> *მახსოვს, ერთი პერიოდი ხშირად ვურჩევდი, რომ საზღვარგარეთ წასულიყო. ახლა ვფიქრობ, რომ ქვეცნობიერად მინდოდა, ამ გარემოს გასცლოდა. მინდოდა, რომ უსაფრთხოდ ყოფილიყო. [...] იტალიაში რომ წავიდა, სულ ვუყურებდი, თუ შეხედავდა ცისარტყელას დროშებს, რომლებიც ლამაზად ფრიალებდა. თუ შეამჩნევდა, თუ მიხვდებოდა, რომ ეს გარემო მისთვის უსაფრთხო იყო. [...] მაგრამ რამდენჯერმე რომ ვუთხარი, მითხრა, რომ შენ ჩემი საქართველოდან წასვლა იმიტომ გინდა, რომ წავიდე, რომ მე აქ არ ვიყო და შენ არ შეგიშალო ხელი, შენ არ შეგიქმნა პრობლემებიო – დაახლოებით ასე მითხრა... და მე მივხვდი, რომ ქვეცნობიერად ,ალბათ, ამიტომაც ვეუბნებოდი, რომ მინდოდა უფრო მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ეცხოვრა. და ამით, მეც უკეთესად ვყოფილიყავი.*

როდესაც მშობლები შვილების ქვიარ იდენტობის შესახებ საუბრობდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც *ამ რეალობასთან გამკლავებას*, პირისპირ დარჩენას ართულებს – არამხოლოდ მათი, არამედ მათი შვილების ნაკლები ინფორმირებულობაა იმ თემების ირგვლივ, რომლებიც ადამიანის სექსუალობას ეხება. მშობლე-

ბი ამბობდნენ, რომ განათლების არცერთ საფეხურზე არ ჰქონიათ შესაძ-ლებლობა, რომ კვალიფიციური ადამიანისგან *თუნდაც ბაზისურ* დონეზე ესწავლათ ისეთი საკითხები, რომლებიც ადამიანის სექსუალობასა და მი-სი გამოხატვის ფორმებს მოიცავდა. მათი შეფასებით, პრობლემურია ის ინფორმაციაც, რომელიც მათ წლების წინ ინტერნეტის გამოყენებით მო-იძიეს. მათივე თქმით, დღევანდელ რეალობაშიც კი, ზღვარი ვალიდურ და არამეცნიერულ ინფორმაციას შორის მკვეთრი არ არის. აღნიშნავდნენ, რომ მშობლები ხშირად, სწორედ არამეცნიერულ ინფორმაციებს ეყრდ-ნობიან მაშინ, როდესაც საკუთარი შვილების ქვიარობის შესახებ მეტის გაგების სურვილი აქვთ. მშობლების შეფასებით, დღეს ეს მდგომარეო-ბა, *ალბათ, გაუმჯობესებულია.* თუმცა, მათივე განმარტებით, ამ მხრივ, კვლავ არსებობს დიდი გამოწვევები, რადგან განათლების არცერთ საფე-ხურზე ამ საკითხების თანმიმდევრული ინტეგრირება არ მომხდარა. მშობ-ლების თქმით, გასათვალისწინებელი გარემოებაა ისიც, რომ ხშირად, თა-ვად ქვიარ ადამიანებიც ვერ ახდენენ იმ საკითხების სწორ სახელდებას, რომლებიც მათ იდენტობებს უკავშირდება. აღნიშნული კი, საბოლოოდ, მათ მშობლებთან საუბარზეც ახდენს ნეგატიურ გავლენას. ინფორმირე-ბულობის საკითხზე და მის მნიშვნელობაზე ქვიარ იდენტობის გამხელის პროცესში ერთ-ერთმა მშობელმა საგულისხმო რამ გამიზიარა:

> *წარმოიდგინეთ როგორი რთულია, ბავშვები გრძნობენ რაღა-ცას, მაგრამ არ იციან რას. არც სკოლა ასწავლის მათ ამას და ვერც ვერავინ. რამხელა სტრესია ეს, წარმოგიდგენიათ? როცა გარესამყარო საშინელებებს გეუბნება იმაზე, რასაც გრძნობ შინაგანად, მაგრამ ამ დროს, ვერც კვალიფიციური ინფორმაციის გაცნობა შეგიძლია. [...] მე თვითონაც მახ-სოვს, რომ პირველად, [შვილთან] საუბრის შემდეგ დავგუგ-ლე რაღაც სიტყვები. დავგუგლე: ტრანსი, ტრანსგენდერი, გეი, ლესბოსელი და იცით რა მოხდა? მარტო პორნო საიტე-ბი ამომიგდო „გუგლმა“. არაფერი ნორმალური წასაკითხი ინფორმაცია არ მინახავს; მხოლოდ რაღაცა ძალიან უნიჭო ამოვიდა ქართულად, ვიღაცის ვითომ ნაშრომი, რომლსაც ვკითხულობდი, რომ მეგონა, რომ რაღაცა შეიძლება გამეგო იქიდან და აბსოლუტური სრული სისულელე იყო და გავანებე მერე თავი.*

მშობლების ნაწილი დასძენდა, რომ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება წლების წინ, მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო შესაძლებელი, რაც მათთვის გამოწვევას წარმოადგენდა. მშობლების ნაწილი, იხსენებდა იმასაც, რომ ისინი არამხოლოდ ინფორმაციას, არამედ იმ სანდო ადამიანებსაც ეძებდნენ, რომლებთანაც შვილის ქვიარ იდენტობაზე ისაუბრებდნენ და შემდეგ, მათაც სთხოვდნენ ინფორმირებულობის საკითხში დახმარებას. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც ტრანსგენდერი შვილი ჰყავდა, გაიხსენა ის გზები, რომლებითაც ის საკუთარი ინფორმირებულობის გაზრდას ცდილობდა. მან მითხრა:

> *სამწუხაროდ, მე ინგლისური არ ვიცი. არადა, ეს ნორმალური ინფორმაცია, რაც არსებობს, ადრე მხოლოდ ინგლისურ ენაზე იყო. სამაგიეროდ, ჩემი შვილის ნათლია საფრანგეთში ცხოვრობს და ფრანგულსაც კარგად ფლობს. მას დავურეკე და იმან იქაური „გუგლიდან“ ფრანგულად ყველაფერი წაიკითხა და გადმომიქართულა. ყველაფერი მითხრა, როგორ ეხმარებოდა ტრანსგენდერ გოგოებს ეს ქვეყნები, რა იყო მთავარი, რისი გადალახვაც ყველას უხდებოდა, როგორ ხდებოდა მედიკამენტების ჩართვა და რა რისკებთან იყო დაკავშირებული. როგორ იყო შესაძლებელი, რომ ადამიანს ისეთი სხეულისთვის მიეღწია, რომელში ყოფნაც მას უნდოდა.*

მშობლებთან ინტერვიუირების პროცესში, აწმყო წუხილზე საუბრის დროს, ისინი იმ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ რეფლექსირებდნენ, რომელთა წინაშეც საქართველოში მათი შვილები იდგნენ. კვლევაში, როგორც მეთოდოლოგიის ნაწილში აღვნიშნე, მონაწილეობდნენ, როგორც გეი და ლესბოსელი, ასევე ტრანსგენდერი ადამიანების მშობლები. საგულისხმოა, რომ მაშინ, როდესაც მშობლების აწმყო წუხილზე ვსაუბრობდით, თითქმის ყველა მშობელმა, აღნიშნა, რომ მშობლების დარდი, *ალბათ, მაინც განსაკუთრებულია* თუ მათ ტრანსგენდერი შვილი ჰყავთ. მშობლები განსხვავებული სიტყვებით ახდენდნენ აღნიშნულის ვერბალიზებას, თუმცა ვერბალიზების შინაარსი ერთმანეთის იდენტური იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში განსაკუთრებულად მძიმე ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა იყო, რადგან *საზოგადოება არ ეგუება ადამიანის ახალ მე-ს, იმ მე-ს, რომელში ყოფნაც მას სურს. სურს*

იმიტომ, რომ იყოს ბედნიერი. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელსაც თავად ლესბოსელი შვილი ჰყავდა, გამიზიარა:

> *განსაკუთრებული მარგინალიზება, ალბათ, ტრანსგენდერი გოგოების მიმართ ხდება. ალბათ, სკოლიდანვე ისინი უკვე მძიმე ბულინგის მსხვერპლები არიან. წარმოიდგინეთ, რა მძიმეა, როგორ უნდა ისწავლონ ამ ბავშვებმა მაშინ, როდესაც ყველა მათ დასცინის. ჩემთვის ყველა ტრანსგენდერი ადამიანი გმირია, ვინც ეს რაღაცა შეძლეს, გაარღვიეს და სასწაულები ჩაიდინეს იმისთვის, რომ პროფესია ჰქონოდათ. წარმოუდგენლად რთულია, ყველაზე რთული, როცა მსხვერპლად გაქცევს ყველა, მაგრამ შენ მაინც ბრძოლას არ წყვეტ. არ ვიცი, ეს რაღაცა ზეადამიანური ძალაა. მე ვიცნობ ერთ ტრანსგენდერ გოგოს, რომელსაც ძალიან გაუჭირდა პროფესიის არჩევა. ჩააბარა, მერე მიატოვა, მერე ისევ დაუბრუნდა სწავლას. დიდი რესურსი ჩადო. ისწავლა და ახლა სად მიმართოს ეს ინტელექტი? სად იმუშაოს? ვეღარ პოულობს გზას. ამიტომ არის, რომ ტრანსგენდერი გოგოები „პანელზე“ რჩებიან. თუ რაიმესი უნდა გვრცხვენოდეს, არის ეს. ეს არის ჩვენი ქვეყნის სირცხვილი. ღმერთის ანაბარად ვტოვებთ ამ ადამიანებს. საერთოდ განვდევნით მათ. ისიც ვიცი, მინახავს, როგორი რთულია ტრანზიციის პერიოდი. რთულია შვილისთვის, მშობლისთვის. მშობელს უჭირს, შვილს უჭირს. და შემდეგ გარემოსათან ასეთი დაჯახება.*

მშობლები იმ დღის შესახებ მოგონებების გაზიარებისას, როდესაც მათ პირველად გაიგეს შვილების ქვიარ იდენტობის შესახებ, განსაკუთრებულად ღელავდნენ. მიუთითებდნენ, რომ ამ დღეს დაუფლებული გრძნობები, მათთვის *დაუვიწყარი* იყო. დაუვიწყარი იმდენად, რამდენადაც თვალებში იმ რეალობას ჩახედეს, რომელსაც, როგორც ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, *გრძნობდნენ.* თუმცა, ზოგიერთმა მშობელმა ისიც აღნიშნა, რომ შვილისგან გაგებული სიტყვები მათთვის *სრულიად მოულოდნელი* იყო. ერთ-ერთმა მშობელმა ისიც მითხრა, რომ, თავდაპირველად, შვილის ლესბოსური იდენტობის გაგება მისთვის *უზარმაზარი ტრაგედია იყო* – *აბსოლუტურად არ ველოდებოდი ამას და, აი სამყარო*

დამემხო. უზარმაზარი ტრაგედია იყო, არ არის სიტყვის მასალა სამყოფი, რომ ეს გადმოვცე.

მაგონდება ერთ-ერთი მშობელი, რომელიც ინტერვიუს დროს, იმ მომდევნო დღეებს იხსენებდა, როდესაც შვილმა მას ქვიარ იდენტობა გაუმჟღავნა. მშობელი საუბრობდა იმაზეც, თუ რაზე ღელავდა განსაკუთრებულად და, საბოლოოდ, როგორ შეძლო აღნიშნულთან გამკლავება. მშობელს ვთხოვე, მეტი მოეთხრო, თუ როგორ გრძნობდა თავს მომდევნო დღეებში და როგორი იყო შვილთან შემდგომი საუბარი. ვთხოვდი, გაეზიარებინა, მიიღო თუ არა რჩევები შვილისგან, რათა რეალობასთან გამკლავება მისთვის, *თუნდაც, ოდნავ გამარტივებულიყო.* მშობელმა მიამბო:

> *იცით რა, მე რომ გავიგე, დიდხანს ვიყავი ძალიან ცუდად. თუმცა, სამი დღის მერე აღვადგინე ჩემს შვილთან ურთიერთობა. გავედი მასთან კონტაქტზე, მაგრამ დიდხანს ვიყავი მიწაგამოცლილი. თითქოს, ზეცა დამემხო თავზე, ვერავის ვერაფერს ვერ ვეუბნებოდი. მერე [შვილმა] მირჩია, მომწერა: გეხვეწები, აი ესე რომ ხარ განცდებში, აი ვისაც გინდა შენს უახლოეს მეგობარს უთხარი. მე კიდევ ისე მქონდა რაღაც გაჩრილი, რომ ვერ ვლაპარაკობდი ამ თემაზე საერთოდ. მერე მითხრა, რომ ფსიქოლოგიც შეძლებდა ჩემს დახმარებას. ამაზე უარი ვუთხარი, მაგრამ რაღაცნაირად მაინც დავფიქრდი. ჩემს ირგვლივ არავინ იყო ლესბოსელი. ნუ რაღაცები ვიცოდი, გაგებული მქონდა, წაკითხული, ფილმებშიც მინახავს, მაგრამ ჩემს ირგვლივ არავინ იყო ნაცნობი, ვისაც დაველაპარაკებოდი და მეტს გავიგებდი. ამიტომ დავფიქრდი და ბოლოს მაინც გადავწყვიტე და ფსიქოლოგთან მივედი. [...] მივედი და მივხვდი, რომ ზუსტად სწორ ადგილას მოვხვდი. შევხვდი ფსიქოლოგს და ის ეტაპები, რომელსაც მე გავდიოდი ზუსტად დამილაგა. მერე მივხვდი, რომ თურმე ეს მარტო ჩემი გასაჭირი არ იყო და მარტო ჩემს თავს არ ხდებოდა.*

იმავე მშობელს ვთხოვე, აღწერა ის ეტაპებიც, რომლებსაც გადიოდა და რომელთა დანახვაშიც მას ფსიქოლოგთან განვლილი სესიები დაეხმარა. მშობელმა მითხრა, რომ მან სამი ძირითადი ეტაპი გაიარა და თითოეული მათგანის დახასიათებაც შეძლო:

არ ვიცი, რამდენი ეტაპი იყო. ნუ პირველი ეტაპი იყო ყველაზე მძიმე; ამ დროს, ვფიქრობდი რომ ეს იყო სრულიად წარმოუდგენელი ეტაპი. ვფიქრობდი, რომ ეს არ ხდებოდა ჩემს თავს. არ იყო სინამდვილე. მეორე ეტაპიც რთული იყო და ამ ეტაპის დროსაც, ვამბობდი, ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ მე? მე რატომ უნდა დამმართნოდა ეს? ამის მერე იყო ეტაპი, როდესაც ამოვისუნთქე. მივხვდი, რომ ეს მხოლოდ მე არ დამმართნია და დავინახე, რომ თურმე, არ არსებობს ის, რასაც ვერ გავუმკლავდებოდი. მივხვდი, რომ ეს აღარ იყო ტრაგედია და მივხვდი იმასაც, რომ ამაზე დახმარების მიღებაც შემეძლო. მივხვდი, რომ ჩემთვის მთავარი იყო ჩემი შვილის ბედნიერება. მინდოდა, თავად ეპოვნა ეს ბედნიერება და მე უნდა ავყოლოდი ამ ყველაფერში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მძიმე პერიოდის გახსენების დროს, დედებს ვეკითხებოდი, თუ სად იყვნენ ამ დროს შვილის მამები თუ მათი პარტნიორები, ჩანდა, რომ დედებს აღნიშნულ საკითხზე რეფლექსია არ სურდათ. ზოგიერთი მათგანი ხაზს უსვამდა იმასაც, რომ *ჩვენს საზოგადოებაში მამის მხრიდან შვილის ქვიარობის მიღების* ფაქტები არსებობდა. თუმცა დასძენდნენ, რომ მამებს არ ჰქონდათ *საკმარისი ძალა* იმისთვის, რომ ეს მიმღებლობა გარშემო მყოფი ადამიანებისთვის ეჩვენებინათ. მამებზე რეფლექსიის დროს, ერთ-ერთი ქალი, რომელსაც ახლა მეორე მეუღლე ჰყავს, მიყვებოდა, რომ ხშირად კაცები შვილების სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებს სერიოზულად არ აღიქვამენ და მათ *კიდევ სხვა ბარიერებთან* უწევდათ გამკლავება. მშობელს ვთხოვე, როგორც შვილის მამის, ასევე მისი პარტნიორის პერსპექტივა გაეზიარებინა. მან მითხრა:

არიან მამები, რომლებიც თავის შვილს იღებენ ისეთს, როგორებიც არიან. მაგრამ ამით არ სრულდება ყველაფერი. მამები დანარჩენებთან ვერ აღიარებენ იმას, რომ შვილს გვერდში უდგანან, მხარს უჭერენ მათ. იციან, რომ განკიცხვის საგანი გახდებიან ამისთვის და ეშინიათ ამის. ბოლოს დედა ხდება სამიზნე. არ ვიცი, დედებს გვაქვს ეს, როგორც ჩანს, ინსტინქტის დონეზე, რომ როცა შენი შვილი სამიზნე არის, შენ უნდა გადაეფარო, ჩაანაცვლო ან მასთან ერთად უნდა ჩაიქო-

ლო. მამები რაღაცნაირად განზე დგებიან. მაგალითად, ჩემი შვილის მამა, გაიბუტა. ჩემს შვილს შინაგანი მოთხოვნილება ჰქონდა, რომ მისთვის აეხსნა ბევრი რამ. აეხსნა, რამხელა გზა ჰქონდა გასავლელი. ეთქვა, რომ მისგან თუ თანადგომას არა, აღიარებას ელოდა. აღიარებას იმის, ვინც იყო. არ ვიცი, საიდან მოიტანა ეს ჩემმა შვილმა, რომ მამამისი ამას გაიგებდა [იცინის]. რა თქმა უნდა, არიან მამები, რომლებიც იგებენ ამას და შვილებს გვერდში უდგანან. [...] მაგალითად, ახლა, ჩემი მეორე მეუღლე, თვლის, რომ ეს პრობლემები არ არსებობს, თითიდან გამოწოვილია. არ ჩაღრმავებია ამ საკითხს. არ შეჯახებია, ფაქტის წინაშე არ დამდგარა.

მამების პერსპექტივის უკეთ გასაგებად, კვლევაში ჩართულ ერთ-ერთ დედას მისი გამოცდილების გაზიარება იმ მიზნით ვთხოვე, რათა გამეგო, თუ როგორ განსხვავდებოდა შვილის მიმართ გამოხატული მხარდაჭერის ფორმები მამებისა და დედების შორის. ქალმა აღნიშნულზე პასუხად მისი და მისი ყოფილი მეუღლის, შვილის მამის ხედვები გაიხსენა:

თავს არ ვიქებ, მაგრამ მე უფრო მამაცი ვარ [შვილის მამასთან შედარებით], იმ თვალსაზრისით, რომ მე გამოვჩნდი რაღაცა სიტუაციებში, არ ვიმალები ესე ძალიან – ვცდილობ, ქვიარებიც გავიცნო და სხვა მშობლებიც. ის არ არის ასე, ჩაკეტილია. არც სხვა ადამიანების გაცნობა სურს და არც, ვთქვათ, ლგბტ ორგანიზაციების, რომლებიც ქვიარებს ეხმარებიან. არსად არ ჩანს. არავისთან არ აქვს კონტაქტი ამ თემებზე. რა თქმა უნდა, მეც არ ვარ ძალიან ძლიერი და, მაგალითად, ერთადერთი რამ, რაც არ შემიძლია, ის არის, რომ სახალხოდ დავდგე და გამოვაცხადო, რომ ჩემი შვილი ლესბოსელია, იმიტომ რომ ვიცი, ამაზე დიდი ნიაღვარი წამოვა. ვიცი, რომ მე ამას ვერ გავუძლებ, ნამდვილად. მაგრამ ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა ყველამ იციან. [...] ყველას ვუთხარი, რადგან პირადად მე მინდოდა, რომ სცოდნოდათ. როგორც ჩემს შვილს არ უნდოდა დამალვა, ალბათ მეც ასე არ მინდოდა.

შვილის ქვიარ იდენტობის მიღების სირთულეზე საუბრის დროს, ზოგიერთი მშობელი ამ სიძნელეების გადალახვის სტრატეგიებზეც საუბრობდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი მშობელი ამ სტრატეგიებს ვერ იხსენებდა და ამბობდა, რომ მძიმე პერიოდში მათ ვერავინ და ვერაფერი ეხმარებოდათ. აღნიშნავდნენ, რომ დასაწყისში, გამკლავებაზე მეტად, ამ საკითხის დავიწყებასა და ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას ცდილობდნენ. თუმცა, ინტერვიუს დროს, აღნიშნულ სტრატეგიას *არასწორად* მიიჩნევდნენ, როგორც მათთვის, ასევე შვილებისთვის. ისინი განმარტავდნენ, რომ რეალობასთან ახლოს ყოფნა, როგორც მათი, ასევე მათი შვილებისთვის კეთილდღეობის მომტანი იყო, ხოლო რეალობის *გადამალვით უკეთესობისკენ ვერაფერს ცვლიდნენ.* ერთ-ერთმა მშობელმა, გამკლავებასთან დაკავშირებით მითხრა:

> *მე მახსოვს, ისეთ დღეში ვიყავი, მუშტებს ვურტყამდი კედელს. ვამბობდი, რატომ მე, რატომ ჩვენ. რა ეშველებოდა ჩემს შვილს და რა მეშველებოდა მე. ეს იყო ჩემი პირველი ემოცია, რომელმაც შემჭამა. მერე უკვე წამოვიდა ეტაპი, როცა ფიქრი დავიწყე. უფრო აზრიანი ფიქრებით. ამ ფიქრებით მივხვდი, რომ აი, ვარ დედა და ჩემს თავს დავუსვი კითხვა – რა არის შენთვის მნიშვნელოვანი? ამ კითხვაზე პასუხი იყო, რომ შვილის ბედნიერება, ეს იყო ყველაზე მთავარი ჩემთვის. არ იფიქროთ, რომ ეს პირველად გავიფიქრე. მაგრამ ამ დროს, სწორედ ეს იყო ჩემი ის აღმოჩენა რამაც, რაღაც მხრივ, ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანაც შეძლო. კიდევ ერთხელ განმიმტკიცა აზრი, რომ ჩემს შვილს გასაჭირში ვერ მივატოვებდი. განსაცდელთან მარტო არ დავტოვებდი. რამდენად უჭირდა ხვდებით თქვენ? და მე ყველა ვარიანტში მხარში უნდა დავდგომოდი. [...] მერე მოვიდა სხვა ფიქრები, ფიქრები სუიციდზეც. ვფიქრობდი, ვაიმე, რამე არ შემეშალოს და ჩემმა შვილმა სუიციდით არ დაასრულოს-მეთქი. თუ მე, როგორც მშობელი განვუდგებოდი, დაზღვეული ვერაფრისგან ვიქნებოდი. [...] ვიცი, მერე გამომიტყდა, ჩემსავით, თვითონაც ჩაიკეტა და სხვებთანაც აღარ ჰქონდა არც მას ურთიერთობა. წარმოიდგინეთ, პრაქტიკულად მარტო დარჩა. თანაც, უცხო ქვეყანაში იყო, არ იყო ამ დროს საქართ-*

ველოში. სხვათა შორის, მერე რაღაცნაირად დავიწყე ფიქრი. არ ვიცი, რა დავარქვა, მაგრამ ვამბობდი, რომ ჩემთვის ჩემი შვილის ფიზიკური ჯანმრთელობა იყო მნიშვნელოვანი. ეს იყო მიგნება, თუ გნებავთ ასე დაარქვით, მიგნება ჩემს თავში, რომ ჩემი შვილის გადარჩენისთვის ყველაფერზე წავიდოდი. ამას რომ მივხვდი, მერე მე, როგორც დედა დავმშვიდდი. იმიტომ, რომ მიზანი ვიპოვნე: მიზანი იყო, რომ ჩემი შვილი უნდა დამეცვა. და ეს იყო ჩემი ახალი, ძლიერი მიზანი.

გამკლავების სტრატეგიებზე საუბრის დროს, ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც სოფლად ცხოვრობდა, ყვავილებზე ზრუნვის გამოცდილება გამიზიარა. ჩანდა, რომ მისთვის აღნიშნულს თერაპიული, გამაძლიერებელი მნიშვნელობა ჰქონდა. დედამ მიამბო:

მე და ჩემს მეუღლეს ერთმანეთთან საუბარი დიდად არ გვიყვარს. უფრო ჩაკეტილები ვართ. ბავშვმა, რომ მითხრა, მერე თითქოს ყველას მიმართ ჩავიკეტე. თანაც სოფელში ბევრი საქმე მქონდა და საქმით ვცდილობდი ყურადღების გადატანას. აი, ყვავილები იყო ჩემთვის კარგი. ყვავილებთან ურთიერთობა მსიამოვნებდა. მიყვარს ყვავილებთან ფუსფუსი. მიყვარს მათთან ყოფნა. წელს თბილისში დავრჩი ორი კვირა [შვილთან] და ვარდები ცოტა გადამიხმა. ისე განვიცადე. ახლა, ჩემით ვაფესვიანებ, ამომყავს... არ ვიცი, ალბათ, ისინი არ გეპასუხებიან და ლამაზებიც არიან [იცინის]. მსმენია, შვილის გვერდით დგომის გამო, რომ ხალხს ხშირად განვუკიცხივარ სოფელში. მაგრამ მე მაინც არ მიმიქცევია ყურადღება. ყვავილები დამხმარებია დამშვიდებაში. [...] რომ დავჯდები ყვავილებთან ერთად და ყავას დავლევ, მსიამოვნებს და იმ წუთას მაინც მილამაზებს ეს ცხოვრებას.

სირთულეებთან გამკლავების სტრატეგიებსა და შეცვლილ რეალობაზე რეფლექსიის დროს გამოჩნდა, რომ ერთ-ერთი მშობლის მდგომარეობა განსაკუთრებული იყო. მშობელი, რომელიც ტრანსგენდერი კაცის დედა იყო, ამბობდა, რომ გამკლავების ვერანაირ სტრატეგიაზე ფიქრს ვერ ახერხებდა. მისი თქმით, მის შვილს, ტრანზიციამდე შვილები ჰყავდა

და, როგორც თავად იხსენებდა, მისი ფიქრები, არამხოლოდ შვილის გენდერულ იდენტობასთან თანმდევი სირთულეების გააზრებისკენ, არამედ შვილიშვილებისთვის მდგომარეობის შემსუბუქებისკენაც იყო მიმართული. დედა განმარტავდა, რომ *რაღაცნაირად განსაკუთრებულ* სიტუაციაში იყო და ამ სიტუაციიდან, თავის დახსნის გზას საერთოდ ვერ ხედავდა. მისივე თქმით, თუ ერთი დღე შვილზე დარდში გადიოდა, მეორე დღეს ამ დარდს შვილიშვილებზე დარდი ანაცვლებდა. ფიქრობდა, როგორ შეძლებდა შვილიშვილებთან საუბარს და როგორ გაუმკლავდებოდა იმ *საზოგადოებრივ წნეხს,* რომელიც მათ წინ ელოდათ. დედამ გამიმხილა, რომ ამ რთულ პერიოდს დღესაც ხშირად იხსენებს და ამ გახსენებით ერთგვარად ძლიერდება კიდეც. მან მითხრა – მაძლიერებს, რომ *ვუკვირდები, რამდენი რამის გადალახვა შემძლებია.* დამატებით, დედამ მიამბო:

> *[...] არც მჯეროდა და არც ვღებულობდი. ჩემთვის რთული იყო იმის დაჯერება... მე მყავდა შვილი, რომელიც ქალი იყო და მას შვილები ჰყავდა. საკმაოდ მძიმე იყო ეს გასააზრებლადაც კი. მაგიჟებდა ფიქრები. [...] იყო პერიოდი, როცა [ახალი] სახელით არ მივმართავდი, იმიტომ რომ ძველ სახელს თვითონ აღარ ღებულობდა. ახალ სახელს მე ვერ ვეძახდი, რა ვქნა, ვაღიარებ, რომ ამ დროს მიჭირდა. [...] მივმართავდი „დედიკოთი"; დამატებით კიდევ რაზეც ვდარდობდი ის იყო, რომ მასაც ჰყავდა შვილები იმ დროს, როცა თვითონ ეს ტრანზიცია დაიწყო. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, ბავშვების შვილება ვითხოვე. მეშინოდა, არ ვიცოდი, როგორ გაგრძელდებოდა ჩვენი ცხოვრება. რთული იყო, მაგრამ გუშინ რომ დამირეკეთ და ინტერვიუზე შეგითანხმდით, ჩემს ახლობელს ვუთხარი, რომ ასე და ასე, ინტერვიუ უნდათ-მეთქი და იცით რა მითხრა [ახლობელმა]? რა ძალიან ძლიერი ხარო. და მე ვთქვი, რომ ძალიან ძლიერი კი არ ვარ, ჩვეულებრივი და სუსტი ქალი ვარ-მეთქი. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ, ძლიერი ქალი ვარ. ბოლომდე მივყევი ჩემს შვილს და ყველა ის ხალხი, რომელიც ჩემს გარშემო იყო და რომლებმაც ჩემს შვილს ვერ გაუგეს, მოვიშორე. ჩემს გარშემო არ დავიტოვე არავინ, ვინც ჩემს შვილს ცუდად შეეხებოდა. თუ ესეც სიძლიერის ნიშანია, არ ვიცი, ალბათ, ვარ მართლა ძლიერი ქალი.*

მიგნებების სხვადასხვა სექციაში კვლევაში ჩართული მამის პერსპექტივების ჩვენებასაც ვცდილობ. თუმცა, მამასთან ჩატარებული ინტერვიუ და შესაბამისად, აუდიო ჩანაწერის ტრანსკრიპტი აჩვენებს, რომ კაცს შეთავაზებულ თემებზე საუბარი ან არ სურდა ან, მხოლოდ ფრაგმენტულად მიზიარებდა მის გამოცდილებებს ამ თემებთან დაკავშირებით. საინტერესოა ისიც, რომ შვილის ქვიარ იდენტობაზე საუბრის დროს, მამა ამბობდა, რომ მისი შვილის მიღება შეძლო, თუმცა შვილის *არჩევანის გამართლება ვერ მოახერხა.* მამას ვთხოვე, ჩემთვის სიღრმისეულად მოეთხრო მისი პერსპექტივა, რათა უკეთ შემძლებოდა იმის დანახვა, თუ როგორი ჩარჩოდან ცდილობდა შვილის ქვიარ იდენტობაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და ასევე, ნათლად აეხსნა, რას გულისხმობდა მაშინ, როდესაც მიმღებლობაზე საუბრობდა. მან მითხრა:

> *როცა გამომიტყდა, რავიცი, ეს ჩემთვის ძალიან დიდი შოკი და მიუღებელი იყო. მაგრამ ხელი არ მიკრია და მერე, ნელ-ნელა მივიღე. არ გამიწირავს. [...] უბრალოდ, მე რელიგიური ადამიანი ვარ, ეკლესიაში დავდივარ და, ვფიქრობ, კაცი კაცად იბადება, ქალი ქალად. ეს ჩემი აზრია და არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, როგორი გზაც არ უნდა აირჩიონ სხვებმა. [...] შეურაცხყოფა მართლა არავისთვის არასდროს არ მიმიყენებია, მაგრამ ჩემთვის, როგორც რელიგიური ადამიანისთვის, მაინც მიუღებელია ეს ყველაფერი. [...] მაგრამ მაინც ჩემი შვილია და ყველანაირად მხარში ვუდგავარ. ვერ გავრიყავ და სხვასაც არასდროს მივაყენებ შეურაცხყოფას. არც არავინ მძულს, მაგრამ რავიცი, ბოლომდე მაინც ვერ ვიგებ ამას.*

რელიგიასთან ახლოს ყოფნისა და *ეკლესიასთან ურთიერთობის* საკითხი, მნიშვნელოვანი ჩანდა ქალისთვისაც, რომელიც სოფლად ცხოვრობდა. ის აღნიშნავდა, რომ გარე სამყაროსთან – მეუღლესთან, ახლობლებთან, დაქალებთან – შვილის იდენტობაზე საუბარს თავს არიდებდა. ფიქრობდა, რომ სათანადო მხარდაჭერას მათგან, *ალბათ, ვერ იგრძნობდა.* ნაცვლად ამისა, მან გაიხსენა მის მოძღვართან ურთიერთობა და მითხრა:

> *ჩემი შვილის საკითხებზე, მაინც ვერიდები ლაპარაკს. რაღაცნაირად მგონია, რომ რადგან არ გამოუცდიათ, ვერ გაიგებენ [ჩემს] მდგომარეობას. მაგრამ მე რელიგიური ქალი ვარ, ეკლესიაში დილით სიარულიც მიყვარს. [...] აი, ამ საკითხებზე ჩემ მოძღვართან მისაუბრია და მოძღვარი ძალიან მეხმარება. მეხმარება, რომ ეს სირთულეები ადვილად გადავლახო. რაღაცნაირად, ის ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგი, ისე არის. თვითონ მოძღვარსაც უთქვამს, რომ ეს მისი [შვილის] გადაწყვეტილებაა და ჩვენ ამას ვერ შევცლით და პატივი უნდა ვცეთო. მეუბნება, შენი შვილია და გვერდში დაუდექით ერთმანეთსო.*

შვილის ქვიარ იდენტობის შესახებ გაგების შემდგომ პერიოდზე რეფლექსიის დროს, ზოგიერთი მშობელი ხაზს უსვამდა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო, როგორც ქვიარების, ასევე მათი მშობლების მიმართ *გულისხმიერებას* არ იჩენს. ამასთანავე, მშობლები აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოება სახელმწიფო პოლიტიკაზე უფრო მეტად *ჰუმანური* და *მიმღებლური* იყო. ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფოს ქვიარ ადამიანების გამოწვევები მნიშვნელოვნად არ მიაჩნია და, უფრო მეტიც, მათი მდგომარეობის არა *შემამსუბუქებელ,* არამედ *დამამძიმებელ პოლიტიკას* ატარებს. საუბრის დროს, ჩანდა, რომ მშობლებს სახელმწიფო პოლიტიკაზე საუბარი არ სურდათ. უმეტესი მათგანი აღნიშნავდა, რომ ისინი საზოგადოებას *ენდობოდნენ* და სჯეროდათ, რომ უახლოეს მომავალში, სწორედ საზოგადოება გახდებოდა მათი და მათი შვილების მდგომარეობის მიმართ *ემპათიური.* ზოგიერთ მშობელს, ვისაც ამის *იმედი* ჰქონდა, ჩავეკითხე – თუ რა წინაპირობა ჰქონდა მათ ამგვარ მოლოდინს. რამდენიმე მათგანს კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ხოლო ნაწილმა აღნიშნა, რომ ქვიარ ადამიანები და მათი მშობლები დღეს საზოგადოებისთვის *უფრო და უფრო მეტად ხილვადები ხდებიან* და სწორედ ეს ხილვადობა შექმნიდა საზოგადოების წევრებს შორის ერთმანეთთან დაახლოების წინაპირობებს. ერთ-ერთი მშობელი, განსაკუთრებულად მძიმედ მიიჩნევდა იმას, რომ ადამიანებისგან მიღებულ მხარდაჭერასთან ერთად, მშობლებს და შვილებს, საწყის ეტაპზე, კვალიფიციური ფსიქოლოგისგან დახმარების შესაძლებლობა სხვადასხვა მიზეზის გამო არ აქვთ. მშობელი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ფსიქოლოგის მომსახურების მიღება ძალიან ძვირია. ამასთან, დასძენდა, რომ

კვალიფიციური ფსიქოლოგი სწორედ ის კადრია, რომელიც მშობლების უმრავლესობას, საკუთარ თავში და შვილების მდგომარეობაში გაარკვევ-და. მშობელმა ამ თემაზე რეფლექსია განავრცო და სხვა საკითხებთან ერთად, დროით სიღარიბესთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი გამოცდილებაც გამიზიარა:

> *ძალიან კარგად ვიცი, რომ კარგი ფსიქოლოგიც კარგია და კარგი ჯგუფური თერაპიაც. უბრალოდ, თქვენ არ იცით, ეს რა თანხა ჯდება. წარმოუდგენლად ძვირი ჯდება. მე ვარ ის ფენა საქართველოში, სულ რომ შრომობს და აი, მეც კი ძლივს ვიშოვე ამის ფული. იმდენს ვშრომობ, რომ ფსიქოლოგის ფული რომ ვიშოვე, მერე იმას ვნატრობდი, რომ თავისუფალი დრო გამომენახა და წავსულიყავი. ჩვენთან მართლა ფუფუნებაა ფსიქოლოგი. არც დაზღვევა ფარავს, როგორ შეიძლება ეს ასე იყოს, მე არ მესმის.*

მშობლებისგან შეგროვებულმა მიგნებებმა აჩვენა, რომ შვილების ქვიარ იდენტობის გაგების შემდგომ, მათმა ცხოვრებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ყველა მშობელი ამბობდა, რომ მათ მნიშვნელოვნად გადააფასეს ღირებულებები და საკუთარ თავშიც დიდი ძალა აღმოაჩინეს. ერთ-ერთმა დედამ, ვისთანაც ინტერვიუ ჩავწერე, ამ ძალას *მიძინებული ძალა* უწოდა და თქვა, რომ მან *მაშინვე გაიღვიძა, როდესაც საქმე შვილის უსაფრთხოებას და მის დაცვას დაუკავშირდა.* იმავე მშობელმა, თავგანწირვასა და სიყვარულზე მნიშვნელოვანი დაკვირვება გამიზიარა:

> *იცით, რა უცნაური იყო ამხელა ძალის პოვნა ჩემთვის? აი, წარმოიდგინეთ, უცბათ ვთქვი, რომ ყველაფერს დავუპირისპირდებოდი ოღონდ ჩემი შვილი სხვის ხელში არ ჩამეგდო. ჩემთვის შვილი ყოველთვის ერთადერთი ადამიანი იყო, ვის გამოც სიცოცხლის გასაწირად მზად ვიყავი, მაგრამ რომ მითხრა [ქვიარი იყო], მერე ეს ძალა უფრო ძლიერად აღმოვაჩინე. აი, მაგალითად, სიყვარულით, ჩემს შვილზე მეტად, ჩემი ქმარი მიყვარს. [...] ალბათ, არასწორია ამ ორი სიყვარულის ერთმანეთთან შედარება, მაგრამ რატომ ვამბობ ამას – მის [მეუღლის] მიმართ ისეთი თავგანწირული არ ვარ და არც*

> *ვყოფილვარ, როგორიც ჩემი შვილის მიმართ. [...] ჩემი შვილი დღეს ერთადერთი ადამიანია ჩემთვის, ვისთვისაც თავს გავწირავდი.*

მშობლები შვილების ქვიარ იდენტობის მიღების სირთულეზე საუბრის დროს, ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ ის რაც *შორიდან სხვისი ტკივილი ჩანდა, ახლოდან განსაკუთრებულად მძიმედ შესაგრძნობი აღმოჩნდა.* ამბობდნენ, იმასაც რომ მათ გარემოცვას – ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ნათესავებსა თუ მეზობლებს, შვილის გენდერულ თუ სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებით, განსხვავებული რეაქციები ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი, გულისტკივილით იხსენებდა იმ ადამიანებსაც, ვისთანაც ურთიერთობის გაწყვეტა, სწორედ შვილის *ფსიქოლოგიური უსაფრთხოების* გამო მოუწიათ. რამდენიმე მშობელმა ისიც აღნიშნა, რომ ასეთ ადამიანებს შორის მათთვის განსაკუთრებულად *ძვირფასი და საყვარელი* ახლობლებიც იყვნენ.

ზედა სექციებში, იქ, სადაც მშობლებისთვის შვილების ქვიარ იდენტობის გაცნობიერების და მასთან თანმდევ სირთულეებთან გამკლავებისთვის საჭირო მხარდაჭერის ფორმებთან დაკავშირებით ვწერდი, აღვნიშნე, რომ დედები იშვიათად საუბრობდნენ შვილების მამებზე – მათ ყოფილ თუ ამჟამინდელ პარტნიორებზე. არ საუბრობდნენ მამებისგან მიღებულ მხარდაჭერასა თუ შვილებთან ახალი საკომუნიკაციო არხების შენების პროცესში მათ ჩართულობაზე. ნაცვლად ამისა, ქალები ზოგადად განიხილავდნენ კაცების მდგომარეობას საზოგადოებაში და მამებზე რეფლექსიის დროს, განსხვავებულ მოცემულობებზე უსვამდნენ ხაზს. მომდევნო სექცია, ქვიარი შვილების მშობლების საზოგადოებასთან ურთიერთობის დინამიკას ეხება. აღწერს იმ სირთულეებს, რომლებიც მშობლებმა საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობის ცვლილებით შეიგრძნეს და საპირწონედ, ეხება იმ უპირობო მხარდაჭერასაც, რომელიც საჭირო დროს საყვარელი ადამიანებისგან თუ უბრალოდ ნაცნობებისგან მიიღეს.

ქვიარი შვილი და გარესამყაროსთან თანაცხოვრება

ინტერვიუირების დროს, მშობლები ხშირად ახსენებდნენ, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის, ახლობლისგან მიღებული მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს და დასძენდნენ, რომ ხშირად, სწო-

რედ ეს მხარდაჭერა იყო ერთადერთი, რაც *მათ დარდთან* და *შეცვლილ მშობლობასთან* გამკლავებაში ეხმარებოდათ. მშობლები ამბობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც შვილების ქვიარ იდენტობის შესახებ შეიტყვეს, მნიშვნელოვნად შეიცვალა მათი სოციალური კავშირებიც. გარესამყაროსთან ურთიერთობის ფორმები გადააფასეს და ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც მანამდე თვლიდნენ, რომ სრულფასოვნად იცნობდნენ, ახლიდან აღმოაჩინეს. მეტი გაიგეს მათი ღირებულებების შესახებ. ეს პროცესი, როგორც თავად მშობლები ამბობდნენ, მათთვის ერთდროულად გამაძლიერებელიც იყო და დამატებითი წუხილისა თუ დარდის მომტანიც. ერთი მხრივ, მათ გარშემო აღმოაჩინეს ახლობლები, რომლებმაც *იმ რთულ პერიოდში,* როდესაც *გასაჭირთან საკუთარ თავს მარტოდ* ხედავდნენ, უპირობო მხარდაჭერა და გვერდში დგომა გამოუცხადეს და მეორე მხრივ, *ამ რთულ გზაზე,* მათ დაინახეს ახლობელი და დღემდეც საყვარელი ადამიანები, რომლებთან ურთიერთობის გაწყვეტაც იმის გამო მოუწიათ, რომ მათგან მხარდაჭერის ნაცვლად, როგორც ეს კვლევაში ჩართულმა მამამ მითხრა – განკიცხვა მიიღეს. ახლობლებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის ფორმებზე საუბრის დასაწყისში, მშობლებს ვკითხე, თუ რას ფიქრობდნენ ისინი დღეს: როგორ უნდა ესაუბრონ ქვიარ ადამიანების მშობლები საკუთარ ახლობლებს, იმ ადამიანებს, ვის მიმართაც ნდობა აქვთ და ვკითხე ისიც, თუ რას მიიღებდნენ ისინი ამ საუბრის სანაცვლოდ. ერთ-ერთმა მშობელმა გამიზიარა:

> *ამისთვის ყველაზე კარგი არის, რომ შეგეძლოს გახსნილად ლაპარაკი. ჯერ შენ, როგორც მშობელი უნდა იყო რაღაც მხრივ შეგუებული და მერე, სიმშვიდით აუხსნა და უთხრა ეს სხვებსაც. უნდა მოყვე იქ, სადაც მართლა გისმენენ; მოუყვე იმ ადამიანებს, რომლებსაც შენი ნამდვილად ესმით ან ნამდვილად უნდათ, გაგიგონ. უნდა მოუყვეთ იმ ადამიანებს, ვისზეც ფიქრობთ, რომ თქვენი ტკივილი [თავადაც] ეტკინებათ.*

მხარდაჭერის მნიშვნელობასა თუ მის ფორმებზე საუბრისას, რამდენიმე მშობელმა შვილების *ფსიქოლოგიური უსაფრთხოება* ახსენა. საუბრით ჩანდა, რომ თუ ფართო საზოგადოებასთან მიმართებით შვილებზე დარდი მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას უკავშირდებოდა, ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის შემთხვევაში, ეს წუხილები, ერთგვარად ტრანსფორმირე-

ბული იყო და ფიზიკურის ნაცვლად, მის ახსნას, მშობლები, ფსიქოლოგიური უსაფრთხოებით ცდილობდნენ. მსგავსი სახელდებით გამოთქმული დარდის უკეთ გასაგებად, ერთ-ერთმა დედამ გამიზიარა:

> *სულ სხვა ამბავია, როდესაც ფიქრობ, შვილი გარეთ გადის და დარდობ, რომ ფიზიკურად იყოს მხნედ. აი, გადარჩეს, რასაც ჰქვია. ანუ, ფიზიკურად გადარჩეს. უსაფრთხოდ იყოს. [...] ახლა ვსაუბრობ უკვე ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე, რაც მკითხეთ, ეს ჩემთვის უფრო არის, რომ შვილმა კარგად იგრძნოს თავი. [...] აი, მომივიდა სტუმარი, ვინც სტუმარია ე.ი. მიყვარს ხომ? ე.ი., მინდა, რომ იყოს ის ჩემი სტუმარი. [...] ამ სტუმარმა, არ უნდა მაგრძნობინოს ცუდად თავი არც მე და არც ჩემს შვილს. მერე რა, რომ ვთქვათ, [ჩემი შვილი] კაცია და კაცი მოსწონს. რატომ უნდა მოუნდეს ჩემს შვილს სახლიდან, ოთახიდან გასვლა რომ რა, ვიღაცამ რამე გადაკრული სიტყვა არ თქვას? ამას არ დავუშვებ. ეს არის ჩემთვის [ფსიქოლოგიური უსაფრთხობა], რადგან თუ ასე არ იქნება, ეს დააზიანებს ჩემს შვილს. ვერ დავაზიანებინებ.*

ინტერვიუს მიმდინარეობისას, გარესამყაროსთან ურთიერთობის თუ სოციალური კავშირების ახალ ფორმებზე მსჯელობის დროს, ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც შვილი მას ქვიარ იდენტობაში გამოუტყდა, სამეგობრო წრეში ისეთ ადამიანებზე დაკვირვება დაიწყო, რომელთა შვილებსაც *საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემები* ჰქონდათ. ზოგიერთი მშობელი იმასაც იხსენებდა, რომ იმ მშობლების ახლებურად გაცნობას ცდილობდნენ, ვინც უკვე მათ გვერდით იყვნენ. მაგრამ მათი გაცნობა ახალი საერთოობის აღმოჩენის და ერთმანეთთან ღრმა *შეკავშირების* შექმნის მიზნით სურდათ. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ჰქონდათ პერიოდი, როდესაც საკუთარ თავში ძალიან ჩაიკეტნენ და თითქოს, მათ გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობა *ხან არ სურდათ, ხანაც სურდათ;* როდესაც ამის სურვილი ჰქონდათ, ფიქრობდნენ, რომ თითქოს, გზაზე რაღაც ეღობებოდათ. ერთ-ერთ მშობელს ვკითხე, თუ რა იყო მისი აზრით ის, რაც კონკრეტულად მას *ეღობებოდა* გზაზე მაშინ, როდესაც, როგორც თავად მითხრა, სხვასთან გულის გადაშლა სურდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მან გაიხსენა:

აი, არ ვიცი ახლა როგორ ვთქვა, მაგრამ მეგონა ვერ გამიგებ-დნენ. თან ეს ძალიან მნიშვნელოვანი, აი ძალიან მნიშვნელო-ვანი ხომ იყო ჩემთვის და იმისიც მეშინოდა, რომ ვიღაცა ძა-ლიან მარტივად მიიღებდა და დამაწყნარებდა, რომ აი [...] არ მიაქციო ხალხს ყურადღება, იმას არ დაუგდო ყური, ამას არ დაუგდო ყური. როგორ შეიძლებოდა, ეს მექნა, რობოტი ხომ არ ვიყავი?! ყველაზე რომ მეთქვა, ის არ მადარდებს, ეს არ მადარდებს-მეთქი. ალბათ, ეს იყო. იმას ვეძებდი, ვინც არც გაამარტივებდა ჩემს მდგომარეობას და არც განმკიცხავდა. ეს ხომ საერთოდ შემზარავი იქნებოდა.

ინტერვიუს დროს, იმ მშობელმა, რომელიც, როგორც კრებულის ამა-ვე სექციაში ვახსენე – მსგავსი პრობლემების მქონე სხვა მშობელს ეძებ-და, გაიხსენა მეგობარი, რომლის შვილიც შეზღუდული შესაძლებლობე-ბის მქონე იყო. მშობელი იხსენებდა, რომ მის მეგობარსაც ჰქონდა დარდი შვილის მდგომარეობის, საზოგადოებაში ცხოვრების სირთულეების მი-მართ. მშობელმა მითხრა, რომ ამის გამო, მეგობართან განსაკუთრებული კავშირი და საერთოობა იგრძნო. მანვე მიამბო:

ხო, აი, ვეძებდი რაღაცით რომ ჩემი მსგავსი ყოფილიყო [სხვა მშობელი]. ვუთხარი, გამოვუტყდი ჩემს მეგობარს, რადგან მას ყავდა შვილი, რომელიც არის შშმ პირი. მისი შვილის შე-სახებ ძალიან ღელავდა და სულ ვანუგეშებდი, სულ გვერდით ვცდილობდი რომ ვყოფილიყავი. მგონი, მე ჩემს შვილზე რომ ვუთხარი, თან მინდოდა მასთან გავხსნილიყავი, მაგრამ თან ისიც მეჩვენებინა, რომ არც ის იყო მარტო. ანუ ამით, მასაც ვანუგეშებდი. ვუთხარი, აი ესე და ესე – ჩემი შვილი გეია, არ იტირო, წარმოიდგინე, მეც როგორ მძიმე სიტუაციაში ვარ და არც მე ვიტირებ მეთქი. ყველა დედას გვაქვს პრობლემები, მეც ცუდად ვარ, შენც ცუდად ხარ, მაგრამ რას ვიზამთ-მეთ-ქი [...]. არ შემილამაზებია რაღაცები. ვუთხარი, რომ რთული დედობა გველოდა.

იმავე მშობელმა ისიც გამიზიარა, რომ ეს მისთვის ერთადერთი მეგო-ბარი იყო, რომელსაც საკუთარი შვილის სექსუალური ორიენტაციის შე-

სახებ გაუმხილა და ამან, ერთგვარი *შვება* მოჰგვარა. გარდა ამისა, მომიყვა, რომ ამ დღის შემდეგ, მეგობართან კიდევ უფრო მეტი სიახლოვე და კავშირი იგრძნო, რამაც, *ცხოვრების ამ რთულ ეტაპზე, რაღაც მხრივ გააძლიერა.* ზოგადად აღვნიშნავ, რომ მშობლები შვილის ქვიარობის შესახებ ახლობლებთან გაზიარების პროცესს *დიდ პრობლემად* მიიჩნევდნენ, რადგან *ახლობლების სავარაუდო რეაქცია აშინებდათ.* ერთ-ერთი მშობელი, დედა, რომლის შვილიც გეი კაცი იყო, ამბობდა, რომ მას ბევრი ახლობელი და დიდი სანაცნობო წრე ჰყავდა. მისი გამოცდილების თანახმად, უშუალოდ შვილის ქვიარობის შესახებ საუბრის ნაცვლად, ზოგიერთ მათგანთან, განსაკუთრებით – ახლობლებთან, ზოგადად დაიწყო ქვიარ ადამიანების მდგომარეობაზე, მათ საჭიროებებზე საუბარი. ღიმილით ამბობდა, რომ ფიქრობდა, სწორად იქცეოდა და ეს, როგორც თავად აღნიშნა ალბათ, *აქტივიზმის ერთგვარი გამოვლინებაც* იყო. მან მითხრა.

> *მე მყავს ტრილიონი ადამიანი გვერდით. ბევრი მეგობარი, ახლობელი, თანამშრომელი, ნაცნობი. ყველა სხვადასხვანაირი ადამიანი მყავს მგონი. ყველა მათგანზე მაქვს რაღაცა შთაბეჭდილება: ზოგი ისეთია, ზოგი ასეთია. ზოგს მეტად ვენდობი, ზოგს – ნაკლებად. აი, მაგალითად, ჩემს ახლობლებთან მე ჩემს შვილზე არ მითქვამს. თანამშრომლებთან ხო განსაკუთრებით, რადგან ვიცი, როგორებიც არიან და შეიძლება არც არიან, მაგრამ ,ალბათ, მზად არ ვარ, რომ პირდაპირ ვუთხრა [შვილის ქვიარობის შესახებ]. მაგრამ მე მათთან დავიწყე საუბარი, ვეუბნები, აი, ნახეთ, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. გამორჩეულები არც ჩვენ ვართ და არც ისინი-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ მათ ადგილზე თავი, ან წარმოიდგინეთ, რომ ქვიარია ჩვენ გვერდით ვიღაცა, ვინც გვიყვარს-მეთქი. აი, ვეკითხები, ასე რომ იყოს რა მოხდება, რა შეიცვლება თქვენთვის-მეთქი და ამბობენ, რომ არაფერი შეიცვლება. თითქოს, ამაზე საუბრით ნიადაგს ვამზადებ, საჭირო დროს ველოდები. ალბათ, რომ ოდესმე გავუმხილო მათ. აი, თითქოს გამხელამდე მინდა, რომ შევამზადო, რომ დარწმუნებული ვიყო, მშვიდად ვიყო, რომ როცა ვეტყვი, ისინი ისე მიიღებენ, როგორც საჭიროა.*

იმავე მშობელმა, თანამშრომლებთან ურთიერთობის გამოცდილებაც გაიხსენა და მითხრა:

> *აი, ახლობლების გარდა, მახსოვს ერთხელ, ჩვიდმეტ მაისს ვიყავი სამსახურში. არავის რეაქცია არ ჰქონდა ამ ჩვიდმეტ მაისზე, იმდენი საქმე გვქონდა [იცინის], მაგრამ მე ვთქვი [თანამშრომლებთან], აი, წარმოიდგინეთ, მე ვარ ლესბოსელი და ჩვიდმეტ მაისს გამოვდივარ, ჩემი უფლებების დასაცავად--მეთქი [...].აი, ვარ ლესბოსელი და გამოვდივარ, მაინტერესებს, რა შეიცვალა თქვენთვის-მეთქი, ვკითხე. არაფერი არ შეიცვლებოდაო, უთქვამთ [...]. რამდენჯერ გვიხუმრია და ბოლოს გვიცინია, რომ რამდენი კაციც მოგვწონებია, ვიღაცა მსახიობი, ვთქვათ, ბოლოს გეი აღმოჩენილა და რა, ჩვეულებრივად ვიღებთ, ხო ამ ამბებს? მაგრამ ახლოს რომ გვყავს ადამიანები, იმას ვჩაგრავთ-მეთქი, მითქვამს. ანუ, თქვენ აზრზე არა ხართ, რამდენი გვისაუბრია ასეთ რაღაცეებზე. ჩემს ირგვლივ, ცოტა ჰომოფობიური ვინც არის, იმათ ასე ვეპაექრები ხოლმე რა.*

ზოგიერთი მშობელი, რომელიც ახლობლების მხრიდან მიღებულ თუ ვერ მიღებულ მხარდაჭერაზე საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ მათი საახლობლო წრე, უფრო *მეტად ჰომოფობიური* ეგონათ, ვიდრე ეს რეალურად აღმოჩნდა. ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა, რომ ეს მისთვის ძალიან მოულოდნელი იყო. გაუკვირდა, რომ იმ ახლობლებისგან, ვისთანაც შვილის გენდერული იდენტობის შესახებ ისაუბრა, მხოლოდ მხარდაჭერა იგრძნო:

> *სიმართლე გითხრათ უფრო მკაცრ რეაქციებს ველოდი. ალბათ, უფრო ცუდ ადამიანებად ვთვლიდი [იცინის]. ეს ხუმრობით, მაგრამ ხო, უფრო ისე მიიღეს, რომ არ ველოდი. მითხრეს, რომ აი, ნუ ღელავ, დრო იცვლება და ჩვენც შენს გვერდით ვართ. არავის დავაჩაგვრინებთ შენს თავს. იმ დროს ცოტა ვიცინეთ კიდეც, მაგრამ მერე რომ დავრჩი მარტო ძალიან გამიხარდა. თითქოს, ყველა თავიდან შემიყვარდა, ვინც გვერდით დამიდგა. ამდენი ადამიანი.*

ახლობლებისგან მიღებული რეაქციები გასაკვირად მხარდამჭერი აღმოჩნდა კვლევაში ჩართული ერთ-ერთი მშობლისთვისაც. დედამ გაიხსენა:

> *მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს „ჩათი“ გვაქვს. ამ „ჩათში“ ვართ სტუდენტური წლების გოგოები და იქ დავწერე, რომ ესე და ესე, ჩემი შვილი ტრანსგენდერია-მეთქი და იქვე დიდი განცხადება გამოვაქვეყნე [იცინის], რომ ჩემი შვილი ტრანსგენდერია და თუ ვინმეს მიუღებლობა გაქვთ, მე არ მეწყინება, შეგიძლიათ აღარ მომესალმოთ-მეთქი და რაღაც სხვა მსგავსი ტექსტები გამოვაცხვე. [...] სათითაოდ ყველამ დამირეკა. მართლა ოღონდ და მკითხა, რას ამბობ, შენ ხო კარგად ხარ, ქვის ხანაში მაცხოვრებელი დინოზავრები ხომ არ გგონივართო [იცინის]. აქეთ მეჩხუბნენ, როგორ შეგიძლია ჩვენზე ასე იფიქრო, ასე გველაპარაკოვო. ისე მხარში დამიდგნენ, მეტი რომ არ შეიძლება. მე მიუღებლობას ველოდი და პირიქით, თუ რამეში გამოგადგებით დაგვირეკე და გვითხარი, როგორ დაგეხმაროთო.*

ზოგიერთი მშობლისთვის, *განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი* ჩანდა ჩემთან იმ მოგონებების გაზიარება, რომელიც მათი ცხოვრების იმ პერიოდს ეხებოდა, როდესაც ახლობელი ადამიანებისთვის პირველად გადაწყვიტეს შვილის ქვიარ იდენტობის გამჟღავნება. ყველა მათგანი, ვისაც აღნიშნული გამოცდილება ჰქონდა, დასძენდა, რომ ეს პროცესი შვილებთან წინასწარ შეათანხმეს და მათგან თანხმობაც მიიღეს. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ საკუთარ გარემოცვაში *საგულდაგულოდ* არჩევდნენ ისეთ ადამიანს, ვისთანაც ამ თემაზე საუბარს *გაბედავდნენ.* დასძენდნენ, რომ პირველ რიგში, ისეთ ადამიანებთან ჰქონდათ საუბარი გადაწყვეტილი, ვისაც გამორჩეულად ენდობოდნენ. ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა – *ვისაც ვენდობოდი ავტომატურად ის ადამიანი არ ყოფილა ის, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა ჩემს ახლობლებში, სანაცნობო წრეში.* მშობელი ამას *გულისტკივილით* ამბობდა და შემდეგ, ისიც გამიზიარა, თუ როგორ დაგეგმა ახლობელ ადამიანებთან საუბარი და რა იყო მისთვის ამავე ახლობლებთან ურთიერთობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელების წინაპირობა. დედამ მითხრა:

თავიდანვე, როცა ვგეგმავდი, აი, ვიწექი, ვიჯექი და გულში ვგეგმავდი, რომ ამას ვეტყვი, ამას ვერ ვეტყვი, ამას მერე ვეტყვი. ყველაფერი ავწონ-დავწონე. ვისი მჯეროდა, ნდობა მქონდა და ვისი არა ან, ნაკლებად [...]. როცა უკვე დაველაპარაკე, შევკრიბე ოთახში და საკითხი დავაყენე მარტივად: ვუთხარი, ან ჩუმად ხართ და არაფერს მეუბნებით, ან თუ მეუბნებით, არაფერს საწინააღმდეგოს ჩემი შვილის მიმართ-მეთქი. ეს ყველაფერი ჩემს ოჯახში მოხდა. ჩემი ოჯახის სხვა წევრებს მე ვუთხარი.

მშობლებს, რომლებთანაც ახლობელ ადამიანებთან შვილის გენდერული იდენტობის თუ სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების გამოცდილებებზე ვსაუბრობდი, ვკითხე, თუ უგრძნიათ ისეთი მხარდაჭერა, რომელიც მათთვის განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი და მოულოდნელი აღმოჩნდა. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ტრანსგენდერი ქალის დედაა, გაიხსენა:

სიმართლე რომ გითხრათ, აი, მაგარი შოკი იყო ჩემთვის ის, რომ დეიდაჩემი, რომელიც ოთხმოცდაათი წლის ქალია, როცა პირველად ვუთხარი მივიღე მისგან მხარდაჭერა, მაგრამ მერე აღარ ვესაუბრებოდი ამ თემაზე [...]; რა დამავიწყებს, რომ წლების შემდეგ, როდესაც ჩემი შვილი [ტრანზიციის შემდეგ] პირველად ეჩვენა... ნუ ცხადია, მათ შეხვედრამდე მაინც ვცადე, ცოტა შემემზადებინა, შემეხსენებინა ეს ამბავი.... პირველად როცა ეჩვენა ჩემი შვილი, დეიდაჩემის რეაქციამ გამაოგნა, მართლა შოკში ვიყავი. მითხრა – ამას მიმალავდი გოგოვო?! აი, წარმოიდგინეთ, დეიდაჩემი, ამხელა ასაკის ქალი, ამდენ ომგამოვლილი ქალი. მე ვთვლიდი, რომ, ალბათ, მაინც გაუჭირდებოდა მიღება. მაგრამ არა. მახსოვს, ამან ისე გამაძლიერა, მერე უკვე არავისი აზრი აღარ მაინტერესებდა. არავისი. ეს [მხარდაჭერა] იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

მხარდაჭერის გამორჩეულად მნიშვნელოვან და დასამახსოვრებელ ფორმებზე საუბრისას დედამ, რომელსაც ლესბოსელი შვილი ჰყავს, მითხრა, რომ მას არასდროს დაავიწყდებოდა საკუთარი მამისგან მიღებული მხარდაჭერა. მან მიამბო:

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მამაჩემის მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი იყო, რადგან მამაჩემი არის აი, ძალიან ტრადიციული კაცი და სულ მეშინოდა, მეფიქრებოდა, ვაიმე, ნეტავ რას იტყვის-მეთქი. კარგად მახსოვს, ჩემმა შვილმა სიგარეტის მოწევაც რომ დაიწყო, ბაბუის თანდასწრებით არც ეწეოდა [...]. გადიოდა აივანზე და იქ ეწეოდა. ერთხელ მახსოვს, იყო საშინელი ქარი და გარეთ გავიდა, მოსაწევად. და გაჰყვა მამაჩემიც და უთხრა – შენს გაცივებას მირჩევნია დაჯდე და სახლში მომიბოლოვო [იცინის]. მამა მეც სიგიჟემდე მიყვარდა. ამოჩემებული მყავდა და მისი მხარდაჭერა, რომ ჩემს შვილს ყველანაირად გვერდში დაუდგა, მისი ეს ამბები [სექსუალური ორიენტაცია] ჯანსაღად მიიღო, ამან ჩემზე ყველაზე მეტად იმოქმედა.

მხარდაჭერაზე და მხარდაჭერის მნიშვნელობაზე საუბრისას, ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა, რომ ოჯახის წევრების მხრიდან შვილის ქვიარ იდენტობის მიღება მისთვის და მისი შვილისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. ქალს ვთხოვე, მეტი მოეთხრო, თუ ვისგან მიღებული მხარდაჭერა აღმოჩნდა მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. მან გაიხსენა:

ბიცოლაჩემი იყო ის, ვისი მხარდაჭერაც აი, ძალიან გამიხარდა. ზოგადად, არის ძალიან თბილი და კეთილი ქალი. ბიცო, მეუბნება ხოლმე – ნუ ჯავრობ ერთი, შენს თავს მიხედე, მაგენი [შვილები] კარგად იქნებიან მაინცო. მეუბნება, ზედმეტი ნერვიულობა ტყუილი ნერვიულობააო [იცინის]. ამან რაღაცნაირად იმოქმედა ჩემზე, ამ მხარდაჭერამ, ასე მარტივი სიტყვებით ნათქვამმა. ეს რომ გამიგია, მერე შემიხედავს ჩემი შვილისთვის და მართლა დამინახავს, როგორ ყოჩაღად არის და რა ძალიან კარგად იცის, ვინ არის და რა ძალა აქვს. მერე უკვე ამ მხარდაჭერამ კიდევ უფრო მეტი ძალა მისცა ალბათ. იცით რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ როდესაც სახლში არ გჩაგრავენ, ძალიან რთულია გარემომ დაგჩაგროს; ჩაგვრა იწყება სახლიდან, ამიტომ ჩვენ ეს არ გამოგვიცდია და ძალიან ყოჩაღად გადავიარეთ ეს ამბები.

ახლობლებისგან და სამეგობრო წრისგან მიღებულ მხარდაჭერაზე საუბარი, ღირებული აღმოჩნდა კვლევაში ჩართული მამისთვისაც. კაცი მიზიარებდა, რომ ზოგადად, მხარდაჭერა ყველა რთულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია და დასძენდა, რომ ეს ერთგვარად, *ძმაკაცობის გამოცდაც* არის. მამამ, მითხრა, რომ ისევე როგორც თვითონ, მისი სამეგობრო წრეც რელიგიასთან *ახლოს მყოფი* ადამიანებისგან შედგებოდა. მისი ზოგიერთი ძმაკაცი, მონასტერშიც ცხოვრობდა. კაცის თქმით, მან, როგორც ქრისტიანმა იცოდა, რომ შვილის გენდერულ იდენტობაზე საუბარი სხვებთან მარტივი არ იქნებოდა, თუმცა ჰქონდა იმედი, რომ მისი *ერთი ძმაკაცი,* რომელიც მონასტერში ცხოვრობდა, ამ საკითხს *გაგებით მოეკიდებოდა.* მშობელს ვთხოვე, აღეწერა თუ როგორი იყო ის რეაქცია, რომელიც მან მისი მეგობრისგან მიიღო. მამამ გაიხსენა:

> *სხვათა შორის, არ ჰქონდა ცუდი რეაქცია. ჩემი ძმაკაცი, მასთან უკვე ბევრი წელია ვმეგობრობ, მონასტერში ცხოვრობს. ვესაუბრე, ვუთხარი მას. დღესაც მაქვს ჩვეულებრივად ურთიერთობა. ხანდახან, ეშლება ხოლმე [შვილის] სახელი და მერე ბოდიშებს მიხდის [იცინის]. მაგრამ მთავარი იყო, რომ მანაც მიიღო ჩემი შვილი. უბრალოდ, ჩემს შვილს სულ პატარაობიდანვე იცნობდა და ახლა ცოტა უჭირს, შეგუება, ალბათ.*

საუბრის დროს, კაცი ხაზს უსვამდა იმასაც, რომ ტრანსგენდერი შვილის მამობა კიდევ უფრო *მძიმე გამოცდილებებთან* იყო დაკავშირებული. დასძენდა, რომ *ბევრი კაცია ისეთი, რომლებსაც კაცები შეიძლება მოსწონდეს, მაგრამ ამას მალავენ.* მშობელი ამბობდა, რომ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ტრანსგენდერი ადამიანის იდენტობის დამალვა შეუძლებელია, რაც, *ალბათ, უფრო მეტად ართულებდა* მშობლებისა და შვილების მდგომარეობას. საუბრის დროს, მშობელს შევატყვე, რომ მისთვის შვილის გენდერულ იდენტობასა და გარშემომყოფებთან ურთიერთობას დამატებითი შემადგენელიც ჰქონდა. ამიტომ, კაცს ვკითხე, მხარდაჭერასთან ერთად, თუ იგრძნო ახლობელი ადამიანებისგან რაიმე ისეთი, რის გამოც მათთან ურთიერთობის გაწყვეტა მოუწია. მან მითხრა:

ერთეულები იყვნენ ისინი, ვინც წავიდნენ ჩემი ცხოვრებიდან. ალბათ, უფრო მეტად თანამშრომლები [...]. მახსოვს, ერთხელ პანაშვიდზე მივდიოდით და, რა თქმა უნდა, ჩემი შვილიც გამომყვა, რადგან იცნობდა ამ [გარდაცვლილი] პიროვნებას. ჩემს თანამშრომლებს საერთოდ ხმა არ ამოუღიათ, არაფერი უთქვამთ. უბრალოდ, სახეზე შევატყვე რაღაც. იმის მერე არც ერთთან ურთიერთობა აღარ მქონია. ჩამოვშორდი ისე, რომ არაფერი მითქვამს. [...] ახლო წრიდან არავინ დამიკარგავს. არავინ.

რელიგიასთან ახლოს მყოფი ოჯახის წევრები კვლევაში ჩართულ ერთ-ერთ სხვა მშობელსაც ჰყავდა: მისი და და უფრო მეტად – დისშვილი. მშობელი ორივე მათგანზე დიდი სიყვარულით საუბრობდა და ამბობდა, რომ მათგან მიღებულ მხარდაჭერას *ვერასდროს ჩაანაცვლებდა სხვა ადამიანების გვერდში დგომა.* მშობელმა, როგორც თავად აღნიშნა, ის გარდამტეხი გამოცდილებაც გაიხსენა, რომელმაც მისი დისშვილის ხედვები ქვიარ საკითხების მიმართ შეცვალა:

მთავარი პერსონაჟები, ჩემს ცხოვრებაშიც და ამ სიტუაციაშიც არიან ჩემი და და დისშვილი. ჩემი დაც, მაგრამ უფრო მეტად დისშვილი, არის ძალიან რელიგიური ადამიანი და ძალიან განიცდიდა ჩემი შვილის მდგომარეობას. თვლიდა, იმას, რასაც ეკლესია თვლის – თითქოს ჩვენ, ვინც ჩვენი შვილები მივიღეთ და თავად ჩვენი შვილებიც, ეკლესიას განვუდექით. თითქოს რაღაც ბოროტს ვემსახურებოდით. [ჩემს დისშვილს] თან ვუყვარდით, რა თქმა უნდა, ძალიან და ამის გამო, შინაგანი ბრძოლები დაეწყო. ძალიან, ტიროდა ხოლმე. ტიროდა, არ იცოდა როგორ დალაპარაკებოდა [ჩემს შვილს], არ იცოდა რა ეთქვა ჩვენთვის; არ იცოდა როგორ მიეღო ჩვენი მდგომარეობა. ვერც ხელს გვკრავდა, რადგან ჩვენი შვილები ერთად არიან გაზრდილები და ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. ფაქტიურად, ერთნი ვართ, ერთი დიდი ოჯახი. ამის გამო ძალიან გაუჭირდა. ჩემს დას რაც შეეხება, კიდევ მახსოვს, ერთხელ სექსოლოგთან წავედით და იქ, როდესაც სექსოლოგმა გვითხრა, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი რამ იყო, ჩემი და

ტირილს იწყებდა და ექიმმა გვითხრა – რას აკეთებთ, ბავშვი ასეთია და როგორ შეიძლება ვერ ხვდებოდეთ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავიაო. ასეთი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენო. მერე ისიც გვითხრა, რა ექიმებში დადიხართ და არკვევთ, ხო კარგად ხართო [იცინის]. ასე არ უნდა იქცეოდეთო, გვითხრა. ამ ერთმა ვიზიტმა, მერე ძალიან შეცვალა ჩემი დისშვილიც. ასე შევინარჩუნეთ ერთმანეთი.

ინტერვიუს დაგეგმვამდე არ მიფიქრია მშობლებისთვის ისეთ საკითხზე თვითრეფლექსიის შეთავაზება, როგორიც ახლობელ ადამიანებთან შვილების გენდერული თუ სექსუალური იდენტობის დამალვა იყო. მახსოვს, რამდენიმე მშობელმა აღნიშნა, რომ *მშობელი ყოველთვის შვილის ინტერესებს ითვალისწინებს,* მაგრამ დამატებითაც დასძინა, რომ *თავად მშობელიც უნდა ითვალისწინებდეს საკუთარ ინტერესებს.* გარდა ამისა, მშობლების თქმით, ახლობელი ადამიანებისთვის შვილების სექსუალურ თუ გენდერულ იდენტობაზე საუბარი ყოველთვის წინასწარ გააზრებული ნაბიჯი უნდა იყოს და აღნიშნულ პროცესი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მშობლისა და შვილის გაძლიერებას. მშობლების თქმით, საქართველოში საყვარელი ადამიანებისგან მხარდაჭერის მოპოვება მარტივი არ არის და *ხანდახან შეუძლებელიც* კია. აღნიშნული დაშვების გათვალისწინებით, ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა – *თუ ადამიანი სხვა ადამიანთან საუბრით შვებას არ იგრძნობს, მაშინ სჯობს ეს საუბარი საერთოდ არც შედგეს.* ამავე საკითხზე თხრობა, მან საკუთარი გამოცდილების გაზიარებით შეავსო:

ეხლა ეს არის რთული საკითხი. აი, სხვებთან საუბარი უკვე ვსიო, მორჩა, ეს ყველასთვის [მშობლებისთვის] რთულია. [...]. ვინც ამას აკეთებს, მას უნდა შვება იგრძნოს, დამშვიდდეს, მხარდაჭერა მიიღოს. მაგრამ თუ მხარდაჭერას ვერ მიიღებს, ადამიანი განადგურდება. წარმოუდგენლად დამძიმდება. ახლა, აი, ჩემი მაგალითის მიხედვით გეტყვით. დედაჩემი სულ ამბობს ხოლმე ჩემს გიორგიზე [შვილზე], ნეტავ ცოლს როდის მოიყვანს. ამ დროს, სულ ვუყურებ ხოლმე ჩემს შვილს სახეზე და მეშინია, ყელში არ ამოუვიდეს და ერთ დღეს არ მიახალოს, რომ ცოლს არასდროს მოიყვანს. მაგრამ არ ეპასუხება,

რადგან დედაჩემი ხანში შესულია და ეს რომ გაიგოს, ალბათ, გაგიჟდება, თავს მოიკლავს. ამიტომ, არც მას [შვილს] და არც მე არ მიგვაჩნია სწორად, რომ ომი დავიწყოთ. ხანდახან ის სიმშვიდე უფრო ძვირფასია, რომელიც მოპოვებული გაქვს. ამიტომაც გვიღირს ჩვენ, ჩვენი ამ [მოპოვებული] სიმშვიდის შენარჩუნება.

ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ახლობლებისგან მიღებულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით მის გამოცდილებას მიზიარებდა, მითხრა – *ჩემი მეგობრებისთვის უნდა მეთქვა, სხვა ვისთვის?. ისე, ვგავდით ჩვენ ერთმანეთს იმაში, რომ თითქმის ერთნაირად ჰომოფობები ვიყავით [იცინის]. ჩვენი თაობისთვის ეს [ჰომოფობია] უცხო არ ყოფილა.* მშობელი თვლიდა, რომ შვილის გამო, ჯერ მან გადალახა ჰომოფობიური დამოკიდებულებები და შემდეგ, მეგობრებთან აქტიური კომუნიკაციით, მათთვისაც ცდილობდა იმის ჩვენებას, თუ *როგორ მძიმედ მოქმედებდა ქვიარ ადამიანებზე ჰომოფობიურ საზოგადოებაში ცხოვრება.* გარდა ამისა, მშობელი ხაზს უსვამდა, რომ მისი დის ჩართულობა, როგორც ქვიარ საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობის, ასევე *ემოციურად გამხნევების* მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დასძენდა, რომ დღემდე, ეს ჩართულობა მისთვის ფასდაუდებლად დარჩა. ამ საკითხებზე მსჯელობის დროს, მშობელმა მიამბო:

მე ვფიქრობ, რომ მე რომ გადავლახე ეს ერთი პროცენტი ჰომოფობია, რაც მქონდა, მერე ჩემს მეგობარს მოვუყევი. ჩემი მეგობარი ჩემზე მეტად ჰომოფობი იყო. რაღაცნაირი მიუღებლობა ჰქონდა და მგონი, ისიც მე გამოვასწორე. ჩვენთან ერთად გადალახა თავისი ფობია. ერთად განვიხილავდით უამრავ რამეს. დღე და ღამე ამ ლაპარაკში ვყოფილვარ. ასე ლაპარაკით აღმოვაჩინეთ, რომ ბევრი რამე არ ვიცოდით და ჩემი და დაგვხმარებია. თურმე, ეს უცოდინრობა ყოფილა ბევრი რამის მიზეზი და, როცა ჩემი და გვეტყოდა რაღაცას, წაიკითხავდა რაღაცას, მერე ამას განვიხილავდით. [...] რთული მომენტების დროს, ჩემი და დამირეკავდა და მეტყოდა ხოლმე – აბა, ხო ხარ ყოჩაღად, ყურები ხომ არ ჩამოყარე, რამემ ხომ არ შეგაშინაო. მეუბნებოდა, რომ მე მისთვის შეუპოვა-

რი და ყოვლისშემძლე დაიკო ვიყავი. მაქებდა და მადიდებდა. ეს მაძლიერებდა ძალიან. ეხლა ისე ჩანს, რომ ვითომ ძალიან ძლიერი ვარ, მაგრამ პატარა ნიუანსებში მეც ვიჩეხებოდი და სასოწარკვეთაშიც ჩავვარდნილვარ. რაღაც ეტაპზე, ისეთი სასოწარკვეთილიც ვყოფილვარ, მიფიქრია – მოდი, ამასაც ვცდი და თუ ესეც არ გამომივა, თავს მოვიკლავ-მეთქი. მერე ვამბობდი, რომ მოდი დღეს კი არა, ხვალ მოვიკლავ, ზეგ მოვიკლავ-მეთქი. მაგრამ მართლა ხომ არ მოვიკლავდი. ჩემს შვილს ვჭირდებოდი და კიდევ, იცით რა არის? უცბად გავიზარდე. რაღაცნაირად უცბად გავძლიერდი. აი, უცბად სასოწარკვეთა და მერე ეს რაღაცა გაძლიერება. ამ ადამიანების წყალობით მოვიდა ეს და მე მადლიერი ვარ ამისთვის.

მხარდაჭერის მნიშვნელობასა და მხარდაჭერის იმ ფორმებზე საუბრისას, რომლებიც ახლობლებთან ურთიერთობის დროს იჩენდნენ თავს, ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ტრანსგენდერი კაცის დედაა, მითხრა, რომ მის გვერდით *თითქმის ყველა მისთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანი* დადგა. დადგა მაშინ, როდესაც ეს მხარდაჭერა მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ვინაიდან შვილის ტრანზიციის პერიოდთან გამკლავება მისთვის *განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა.* მშობელმა ისიც გამანდო, რომ შვილის იდენტობის მიუღებლობის გამო, მისი ერთი მეგობრის დათმობას ვერ ახერხებდა. დასძენდა, რომ მეგობრისგან მხარდაჭერის ნაცვლად, ხშირად განკიცხვას იღებდა. მშობელმა მითხრა – *რა ვქნა, [ჩემს მეგობარს] არასწორად მიაჩნდა, რომ ჩემს შვილს ტრანზიციის პერიოდში ვეხმარებოდი. ჰორმონალურ თერაპიაში ვეხმარებოდი და როგორც საჭირო იყო, ოპერაციებსაც ვუკეთებდი.* მშობელი დასძენდა, რომ მეგობრისგან მხარდაჭერის ვერ მიღება, მისთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. თუმცა ამბობდა, რომ *არც მისი დათმობისთვის ჰყოფნიდა ძალა.* ხაზს უსვამდა, რომ *თუ მშობელს თუნდაც მცირე ენერგია აქვს შემორჩენილი, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მისთვის საყვარელი ადამიანები გვერდიდან არ მოიშოროს.* დამატებით, დედამ გაიხსენა:

რა თქმა უნდა, მყავდა მეც ერთი მეგობარი, რომელიც ძალიან მიყვარდა. მისთვის მიუღებელი იყო ყველაფერი, რაც ჩემი შვილის ტრანზიციის პერიოდს, ოპერაციებს უკავშირდე-

ბოდა. ხან რას ამბობდა ხან რას. მე მეუბნება, შენს შვილს რომ უჯერებ, ფსიქიატრიულში ჩაგაბარებო [იცინის]; მეუბნებოდა, თითქოს, ჩემი შვილი ჩემით მანიპულირებდა და მეც მაეჭვებდა, ჩემი შვილის მიმღებლობის სისწორეში. ესეთი საუბრები მიდიოდა რავიცი, რამდენიმე თვე, ალბათ. ხოდა, ამ მეგობარს ვერ ვთმობდი, და რა გავაკეთე გაგეცინებათ. მოვკიდე ხელი და შავ დღეში ჩავაგდე [იცინის], იმდენი რამე წავაკითხე და მოვასმენინე, რასაც მე ვნერვიულობდი, ისიც იგივე განცდებში ჩავარდა ბოლოს. [...] სხვათა შორის, ოპერაციის შემდეგ ჩემს შვილს ის უვლიდა, მე რომ სამსახურში გავედი, თავზე ედგა და რავიცი, ზელიონკითაც უმუშავებდა ნაკერებს; საჭმელს უკეთებდა [...].

ყველა ის მშობელი, რომელიც მათთვის ძვირფასი ადამიანებისგან მიღებულ მხარდაჭერაზე საუბრობდა, ახსენებდა, რომ მათ რთული პერიოდის გადატანა ცხოვრების რამდენიმე ეტაპზე მოუწიათ. ამბობდნენ, რომ შვილებისა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ადამიანებთან *ურთიერთობის გაწყვეტა* არასდროს სურდათ, მაგრამ გარემო მათ *სხვა გზას არ უტოვებდა.* ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ტრანსგენდერი კაცის დედა იყო, მითხრა, რომ შვილის ფიზიკური უსაფრთხოების გამო ბინის გაყიდვაც მოუწია, რადგან იმ *სამეზობლოს გარემოცვაში, სადაც უამრავი წელი ჰქონდა გატარებული,* თავს უსაფრთხოდ აღარ გრძნობდა. ინტერვიუირების დროს ჩანდა, რომ მშობლებისთვის დღემდე მძიმედ გასახსენებელი იყო ყველა ის გამოცდილება, რომელიც ახლობლებისგან თუ მეზობლებისგან ვერ მიღებულ მხარდაჭერას უკავშირდებოდა. ერთ-ერთმა დედამ წუხილით გაიხსენა ის მძიმე გამოცდილებაც, რომელიც მის მეზობლებთან ურთიერთობას ეხებოდა და საზოგადოებაში *ყველა ბრალეულობის ქალზე გადატანის* დომინანტურ აღქმასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დაკვირვება გამიზიარა:

მძიმე რა მახსენდება იცით? ჩემს შვილს რომ ჩემმა [ყოფილმა] მეზობელმა უთხრა – როგორ არ რცხვენია დედაშენს, ქუჩაში როგორ გამოდისო. დღეს ვერ ვხვდები, როგორ შევიკავე მაშინ თავი, როგორ არ ვითრიე თმებით. მერე მეორე მეზობელმაც, შენ რა დედა ხარ, როგორი შვილი გაზარდეო. ჩემკენ

ბევრი გამოშვერილი ხელი მიგრძვნია და მიცდია, ყოველთვის შემენარჩუნებინა სიმშვიდე. ვიცოდი, ასე უფრო მოვიგებდი [...] მე რას ვფიქრობ კიდევ იცით? რომ ეს საშინელებები ემართებათ ყოველთვის ქალებს. ბავშვმა ცუდად შეჭამა? დედა არის დამნაშავე. ბავშვს რაღაც ვირუსი აქვს? დედამ რატომ გააცივა; საზოგადოება ასე უყურებს დედას და ასე უყურებს ზოგადად ქალსაც. ქალი და დედა ყოველთვის დამნაშავეა ჩვენს საზოგადოებაში და ვერ ვხვდები, ასე რატომ არის. ვერ ამომიხსნია, ასე რატომ ფიქრობენ თავად ქალებიც. ეს ძალიან მძიმე იყო ჩემთვის, მაგრამ რაღაცნაირად შევძელი და ამაყად გადავიტანე. დღეს მე ვცდილობ სხვა დედასაც დავეხმარო. დავეხმარო, რომ ამდენი ბრაზი არ დაიგროვოს გულში, რადგან რაღაც ეტაპზე ძალიან გაუჭირდება. ვიცი, რადგან მეც ძალიან გამიჭირდა რაღაც ეტაპზე. დაილექა ეს ბრაზი, დაგროვდა და ამიტომ გამიჭირდა. მერე ძალიან გამაძლიერა ჩემმა ოჯახმა, ჩემმა მეუღლემ, რომელიც დღესაც გვერდით მიდგას. ჩემი და, რომელიც ჩემი შვილისთვის ხმალამოღებული დამცველივით იყო და ამ დაცვით მეც მიცავდა. იყო ის მომენტებიც, რომ ზოგს [ნათესავს] მე და ზოგს ჩემი და დაუჯდა და ელაპარაკა. აუხსნა ყველაფერი. მამიდები, ბიცოლები, რომლებიც ოთხმოც წელს გადაცილებულები არიან რავიცი, მაინც ყველამ მიიღო ჩემი მდგომარეობა. ჩემი შვილი ყველამ უფრო მეტად შეიყვარა და ამან გამაძლიერა.

ახლობლებისგან მიღებულ თუ ვერ მიღებულ მხარდაჭერაზე საუბრის დროს, რამდენიმე მშობელმა გაიმეორა ის დაკვირვება, რომ მხარდაჭერა მათთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ოჯახის წევრებისგან, საყვარელი ადამიანებისგან იყო. ერთ-ერთი მშობელი ამბობდა: *ნაცნობის მხარდაჭერა ვერასდროს ანაცვლებს საყვარელი ადამიანის მხარდაჭერას და პირიქით – საყვარელი ადამიანისგან მხარდაჭერის ვერ მიღება, ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე, მაგალითად, მეზობლისგან.* ამავე თემაზე საუბრის დროს, ერთ-ერთმა დედამ გამიზიარა, რომ სწორედ შვილის ქვიარ იდენტობის გაგებას და შვილის მხარდაჭერას უკავშირდებოდა მისი მეუღლესთან განშორების გამოცდილებაც. მან გაიხსენა:

მიმღებლობაზე, როცა ვლაპარაკობ, უნდა ვთქვა, რომ ეს არ აღმოაჩნდა ჩემს მეუღლეს. ამის გამო, მასთან ძალიან რთული და მძიმე პროცესები გამოვიარე. წელანაც გითხარით, რომ ამ პროცესებზე საუბარი არ მსურდა [...], მაგრამ ახლა რატომ ვახსენებ? იმიტომ, რომ ამის გამო, რადგან მან ვერ მიიღო ჩვენი საერთო შვილი, გვერდში არ დაუდგა მას, მე ჩავთვალე, რომ ეს იყო მისი მხრიდან ის, რომ მან ოჯახი მიატოვა. აი, ოჯახში იყო, მაგრამ მიატოვა. მე ასე ვერ გავაგრძელებდი. ამიტომ, მე გავწყვიტე მასთან ურთიერთობა. მე გადავწყვიტე, რომ წამოვსულიყავი მისგან და ცალკე მეცხოვრა ჩემს შვილთან ერთად, იმიტომ, რომ შვილს მე ვერ გავწირავდი. ამას დღეს მოკლედ ვყვები, მაგრამ ეს დიდი ამბავი იყო და ერთი დღის ამბავი არ ყოფილა. რეალურად, ბავშვის დედაც და მამაც მე გავხდი. პასუხისმგებლობა მთლიანად მე ავიღე. ანუ ბავშვის აღზრდის პროცესი მის მამასთან კი არ გადამინაწილებია, არამედ მარტო ვიყავი. მისი დახმარების გარეშე.

ამავე მშობელს, რომლის შვილიც გეი კაცი იყო, ვთხოვე, გაეხსენებინა, თუ როგორ ისაუბრა პირველად შვილის მამასთან და გაეზიარებინა, რა იყო მასთან შვილზე საუბრის წინაპირობა. ვფიქრობდი, რომ დედას შვილისგან უკვე ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის ქვიარი იყო. თუმცა, ასე არ აღმოჩნდა. მშობელმა მითხრა, რომ იმ დროს, როდესაც ყოფილ ქმართან პირველად ისაუბრა, შვილის სექსუალური ორიენტაციის შესახებ დანამდვილებით არ იცოდა და *მხოლოდ ეჭვები* ჰქონდა. მან გაიხსენა:

ჯერ არ ვიცოდი, რომ გეი იყო. როგორ გითხრათ, უფრო ინტუიტიურად ვხვდებოდი. [...] მეჯერა, რომ რადგან თვითონაც ბიჭია, ალბათ, მამასთან უფრო მეტად გაიხსნებოდა, ვიდრე ჩემთან. ამის გამო, მამამისს მოვუყევი და ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ამას იმიტომ ვფიქრობდი, რომ ზოგადად დედა უკეთესად იცნობს შვილს, ვიდრე მამა. დედაა ის, ვინც მისი შვილის ცხოვრებაშია ჩართული. თვალს ადევნებს მის განათლებას, მის ყველა აქტივობას. თვალს ადევნებს და ვადევნებდი მის მეგობრებს. და რაღაცნაირად ვგრძნობდი ამას. არ

ვიცი, რატომ, თითქოს, ვერ გისაბუთებთ მაინც, მაგრამ ასე ვხვდებოდი, შინაგანად. მამამისს ვუთხარი, რომ იქნებ გასაუბრებოდა, ყურადღება მიექცია. ნუ, ამას მოყვა ძალიან დიდი კონფლიქტი. რას ვიფიქრებდი, რომ ასე იქნებოდა. ამის შემდეგ, უკვე მე ავიღე პასუხისმგებლობა და მე დავრჩი მარტო ჩემს შვილთან და ჩემი შვილიც დარჩა ჩემთან. და უკვე ერთად აღმოვჩნდით ამ პასუხისმგებლობებთან.

მშობლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ეს გამოცდილებები წარსული მეხსიერების ნაწილი იყო, მის დავიწყებას *დღემდე ვერ ახერხებდა*. ამასთანავე, ამბობდა, რომ დღეს ძლიერად გრძნობდა თავს და საკუთარი თავის მიმართ ერთგვარ *კმაყოფილებასაც* გრძნობდა. გარდა ამისა, მშობელი ხშირად ახსენებდა, რომ სირთულეების გადალახვაში მას მისი შვილი ეხმარებოდა. მშობელს ვკითხე, მეტი მოეთხრო იმაზე, თუ როგორი მხარდაჭერა მიიღო მან შვილისგან. პასუხად, მან გამიზიარა:

როცა ცალკე დავიწყეთ ცხოვრება, მე მქონდა ძალიან მძიმედ დეპრესიული პერიოდები. რა თქმა უნდა, ჩემი შვილი ხედავდა ამას. გრძნობდა, როგორც ვიყავი. მერე ისევ ჩემი ქვიარი შვილი დამეხმარა, რომ ეს პერიოდი გადამეტანა. ამ დროს, მე ვერ ვპოულობდი ახლობლებს, ვისთანაც ჩემს შვილზე ვისაუბრებდი. თუმცა, ვატყობდი, რომ ეს საუბარი მინდოდა. [...] ეს რომ შემატყო ჩემმა შვილმა, მიპოვა სივრცე, სადაც სხვა ქვიარ ადამიანების მშობლები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებებს უზიარებდნენ. ეს იყო სივრცე, სადაც გვქონდა ეს ურთიერთობები და ძალიან მომეწონა ეს. ამ სივრცეში ძალიან ბევრი კითხვით მივედი, ძალიან ბევრ პასუხს არც დავეთანხმე. მაგრამ ეს იყო უსაფრთხო სივრცე ურთიერთობებისთვის, რომელმაც ძალიან გამაძლიერა და ბევრი ის ადამიანიც მაპოვნინა, რომელმაც რაღაც ახალი მომცა ცხოვრებაში. ვაღიარებ, რომ რაღაც ეტაპზე, თითქოს, მქონდა განცდა, რომ ჩემი შვილი მოდას იყო აყოლილი და ეს მერე გადაუვლიდა. და ეს სისულელე აზრებიც შემეცვალა.

ამავე მშობელს ვთხოვე, მეტად განევრცო, თუ როგორ აფასებდა დღეს იმ გამოცდილებებს, რომელიც მან სხვა ქვიარ ადამიანების მშობლებთან ურთიერთობისგან მიიღო:

> *აქ გავიგე, რამდენი რამე იყო რთული ქვიარი ადამიანისთვის. ამ შეკრებებზე [მშობლებმა] იმდენი რამე გავიგეთ და იმდენს ვლაპარაკობდით ამ საკითხებზე, ერთმანეთის მდგომარეობაზე, რომ რავიცი. ერთმანეთი გავიცანით. იმდენი გვიტირია და იმდენი გვიცინია, რომ რავიცი. იმდენი ჩახუტება გვქონია მშობლებს ერთმანეთის მიმართ... ძალიან ბევრი რამე გახდა ჩვენთვის გასაგები და ეს საერთოობის გრძნობა იყო რაღაცა შეუდარებელი ჩემთვის. ეს იყო ის, რაც მართლა ძალიან მჭირდებოდა ამ დროს და მე ეს ჩემი შვილის დახმარებით მივიღე.*

ზემოთ წარმოდგენილი ისტორიები, რომლებიც კვლევაში ჩართულმა მშობლებმა გამიზიარეს, ერთი მხრივ, ახლობელი ადამიანებისგან მიღებული მხარდაჭერის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს და მეორე მხრივ, მკითხველს იმ სირთულეებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს, რომელთა გადალახვაც ქვიარ ადამიანების მშობლებს მხარდაჭერის მოპოვების გზაზე მოუხდათ.

მშობლებისთვის, ახლობელი ადამიანებისგან მიღებული მხარდაჭერა, მათი გაძლიერების, შეცვლილ მშობლობასთან ადაპტაციისა და რთულ რეალობასთან გამკლავების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მიგნებებმა ისიც ცხადყო, რომ ახლობლებისგან მხარდაჭერის ვერ მიღების დროს, მშობლებს, ზოგიერთ შემთხვევაში, საყვარელ თუ ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობის გაწყვეტა მოუხდათ. აღნიშნულის მიზეზად, მშობლები საკუთარი და შვილების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას ასახელებდნენ. გარდა ამისა, მშობლებისთვის, იმ პერსპექტივის ჩვენებაც მნიშვნელოვანი ჩანდა, რომელიც მათი ახლობელი ადამიანების შენარჩუნების სტრატეგიას ასახავდა. კვლევისთვის საგულისხმო მიგნება იყო ერთ-ერთი მშობლის მხრიდან გაზიარებული დაკვირვებაც, რომელიც საზოგადოებაში ბრალეულობის იარლიყის ქალსა და დედაზე მიკვრას, მათ შორის კავშირების ჩვენებას უკავშირდებოდა.

კვლევაზე დაფუძნებული წიგნის მომდევნო სექცია, მშობლების იმ ხედვების ჩვენებას ისახავს მიზნად, რომელიც მათ მომავალი ცხოვრების მიმართ აქვთ. ამ მომავალს, ზოგიერთი მშობელი, ბუნდოვნად ხედავს, ხოლო ზოგიერთი მათგანი იმედიანად უყურებს. აღვნიშნავ, რომ მოდევნო სექცია – მომავალი, დაეყრდნობა მშობელთა წარსულ ისტორიებსა თუ მოგონებებს და ასევე აწმყო გამოცდილებების ჩვენებას. მშობლების თქმით, მკითხველისთვის აღნიშნულის კიდევ ერთხელ ჩვენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვინაიდან მომავლის რწმენებზე რეფლექსია მათგან ხშირად მოითხოვდა წარსულ თუ აწმყო ცხოვრებაზე სიღრმისეულ თვითრეფლექსიასაც.

მომავალი

ინტერვიუს დაწყებამდე მშობლებს წინასწარ შევუთანხმდი, რომ საუბარი სამ ძირითად ნაწილად დაგვეყო და მათთვის მნიშვნელოვან წარსულ და აწმყო გამოცდილებებზე საუბრის შემდეგ, მომავლის მიმართ განწყობები განგვეხილა. ყველა ინტერვიუმ აჩვენა, რომ მშობლები მომავლის მიმართ განწყობებსა თუ რწმენებზე ბევრს არ საუბრობდნენ. ზოგიერთი მათგანისთვის, მომავალზე რეფლექსია, რთულიც კი ჩანდა. ამბობდნენ, რომ მომავალი *ბუნდოვნად* წარმოედგინათ, რადგან ვერ ხვდებოდნენ, საზოგადოება *რა გზით ვითარდებოდა.* ნაწილი მშობლებისა, ხაზს უსვამდა იმასაც, რომ *საზოგადოება გაიზარდა* და თავად ქვიარი ადამიანების ხმაც და გამოცდილებებიც უფრო მეტად ხილვადი გახდა. გარდა ამისა, მიიჩნევდნენ, რომ მშობლების როლი ქვიარი ადამიანების მიმართ მიმღებლობის გაზრდაში – უმნიშვნელოვანესი იყო. დასძენდნენ, რომ თავად მშობლები, საკუთარ ვიწრო სოციუმში, ერთგვარ აქტივიზმს აწარმოებდნენ და ახლობლებთან საკუთარ შვილებზე, მათ *მდგომარეობაზე საუბრით მდგომარეობას უკეთესობისკენ* ცვლიდნენ.

ზოგიერთი მშობელი მიხსნიდა, რომ მომავლის მიმართ მათი ფიქრები სწრაფად ცვალებადი იყო. აღნიშნავდნენ, რომ ხშირად, მომავლის მიმართ იმედიან განწყობას მოულოდნელი სევდა და სრული უიმედობა ანაცვლებდა. ერთ-ერთმა მშობელმა მითხრა:

> *ნუ, აი როგორ გითხრათ ახლა. ხანდახან იმედიანად ვარ. მჯერა, რომ ჩვენი ხალხი გაიზარდა, დაინახეს მათი [ქვიარი ადამიანების] პრობლემები და უფრო მეტად მგრძნობიარენი გახდნენ [...]; მეორე წუთს, ხანდახან მაქვს ხოლმე შემოტევები და აი, იცით რა წარმომიდგენია? თითქოს ჩემი შვილი მოკლეს... და მე ინტერვიუს ვიძლევი. ამის წარმოდგენის მერე, რაღაცა საოცარ ძალას ვგრძნობ ხოლმე. მოზღვავებულს და ვხვდები, რომ ჩემი შვილის დასაცავად ყველაფერზე წამსვლელი ვარ. არ დავზოგავ არავის და არაფერს, რაიმე რომ დავინახო, რომ ჩემს შვილს ძალიან გაუჭირდა. და, აი, ვგრძნობ ხოლმე, რომ რაც დრო გადის ეს ძალა უფრო და უფრო მემატება.*

მშობლებთან მომავალზე საუბარი აჩვენებდა იმასაც, რომ მათი განწყობები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითისთვის, იმ მშობლებს, რომელთა შვილებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ, მომავლის მიმართ მეტად იმედიანი განწყობა ჰქონდათ, ვიდრე მშობლებს, რომელთა შვილებიც საქართველოში ცხოვრობდნენ. ეს განსხვავება, განსაკუთრებით ცხადად, ტრანსგენდერი ადამიანების მშობლებთან ჩანდა. მაგალითისთვის, ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც მის შვილთან ერთად საქართველოში ცხოვრობდა, მითხრა:

> *ხანდახან მაქვს ხოლმე უიმედობა [...] და, აი, რატომ [...]; ჩემს ვაჟს სჭირდება წამალი. აი, წამალი, წარმოიდგინეთ ხო, არის რაღაცა ისეთი, რაც ადამიანს სჭირდება იმისთვის, რომ გადარჩეს. ანუ ფიზიკურად გადარჩეს. ახლა დააკვირდით, მე როცა მომავალზე ვფიქრობ, სულ მაქვს ამის შიში, რომ ჩემი ვაჟი ამ წამლის გარეშე დარჩება. ეს მანადგურებს და კიდევ ის მანადგურებს, რომ ვიცი, ამაზე თვითონ ჩემი შვილიც ფიქრობს. წარმოიდგინეთ, თავად მისთვის როგორი მძიმეა ეს ყველაფერი.*

ხოლო მშობელმა, რომლის ტრანსგენდერი შვილიც საზღვარგარეთ, როგორც თავად ამბობს – *დაცულ ქვეყანაში* ცხოვრობს, მიამბო:

> *ჩემი შვილი აქ [საქართველოში] არ ცხოვრობს, მაგრამ ჩამოდის ხოლმე. როდესაც ჩამოდის, რაღაცნაირად უფრო ვშფოთავ. გარეთ რომ გადის, თითქოს განვიცდი. ზუსტად არ ვიცი, რას განვიცდი, მაგრამ უფრო ვღელავ ხოლმე. სადაც ცხოვრობს, ის რომ ტრანსგენდერია, ეს მისთვის საშიშროებას იქ არ წარმოადგენს. როგორც მეუბნება, იქ ძალიან უსაფრთხოდაც გრძნობს თავს. არ მიკითხავს, მაგრამ მგონია, რომ როდესაც ჩამოდის, არც მას აქვს იმის განცდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაცულია. ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პრობლემა და არც იმედი მაქვს იმის, რომ მდგომარეობა უახლოეს მომავალში შეიცვლება ჩვენთან. მაგრამ კარგია, რომ ახლა აქ არ ცხოვრობს.*

როდესაც მას მომავლის მიმართ საკუთარ განწყობებზე რეფლექსია ვთხოვე, ერთ-ერთმა მშობელმა გამანდო, რომ მომავლის ეშინოდა. ვკითხე, მეტი მოეყოლა ამ შიშების შესახებ, რათა მისი პერსპექტივის კრებულში ჩვენება უკეთ შემძლებოდა. მშობელმა მიამბო:

> *მე ვიტყოდი, რომ შიშები მაქვს [მომავლის მიმართ]. და რატომ მაქვს... მაქვს იმიტომ, რომ ვიცი, ჩემი შვილი თავისუფალი არ არის, ის არ არის, ვინც უნდა, რომ იყოს. ისე ვერ იქცევა, როგორც უნდა, რომ იქცეოდეს. როდესაც ადამიანი არ არის თავისუფალი და უყურებს სხვა ადამიანს, რომელიც თავისუფალია, უყურებს სხვა ადამიანს, რომელიც ისე იქცევა, გამოხატავს საკუთარ თავს, როგორც უნდა, ეს მას და მეც გვამძიმებს. როცა ვხვდები, რომ ჩემი შვილის ცხოვრება ვიღაცის აბსურდულ სტანდარტებში არ ჯდება, ეს მე ცუდად მხდის დღეს და ცუდად გამხდის ხვალაც. მე ხომ ვიცი, რასაც გრძნობს ის. [...] იცით, ხანდახან მიფიქრია, რომ ჩემი შვილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. ცუდად არ გამიგოთ – იცით რას ვგულისხმობ, აი, ხომ არიან შშმ პირები, რომლებსაც გარემო არ უწყობთ ხელს, რომ იყვნენ რეალიზებულნი, იყვნენ ბედნიერები [...]; აი, მეც მგონია, რომ ჩემს შვილსაც ასე ექცევა გარემო და მეშინია, რადგან მგონია, რომ ეს მომავალშიც ასე იქნება.*

მომავლის მიმართ შიშებზე, განსაკუთრებით მეტს, ტრანსგენდერი ადამიანის მშობლები რეფლექსირებდნენ. ერთ-ერთმა მშობელმა ამიხსნა:

> *მე მეშინია ერთადერთი რაღაცის. მეშინია მას შემდეგ, რაც ჩემმა შვილმა გადადგა ეს ნაბიჯი. გაიარა ეს ურთულესი ტრანზიციის პერიოდი. მეშინია იმის, რომ აი, გათენდება ერთი დღეც და მას, ისევე როგორც ჩვენ, ყველა ცოცხალ ადამიანს, დასჭირდება საავადმყოფო და მეშინია, რომ როდესაც ჩემი შვილი შედგამს ფეხს საავადმყოფოში, იმ წამსვე ყველა გაიგებს მასზე; გაიგებენ, რადგან პირადობაში [პირადობის მოწმობაში] სულ სხვა ადამიანია და რეალურად, შინაგანად სულ სხვა. შიში მაქვს იმის, რომ ამას რომ გაიგებენ, მას არ*

შეხვდება ლოიალური ადამიანი. უფრო პირიქით, შეხვდება ძალიან აგრესიულად განწყობილი ადამიანი და მერე უკვე არ ვიცი, რა გვეშველება; როგორ გადავიტანთ და რას ვიზამთ.

მომავალზე საუბრის დროს, მშობლებს ვთხოვდი ეფიქრათ იმაზეც, თუ რა სურდათ თავად მათ, როგორ წარმოედგინათ საკუთარი ცხოვრების მომავალში განვითარება. მშობლების უმრავლესობა *საკუთარ კეთილდღეობაზე* საუბარს, შვილების კეთილდღეობაზე ხაზგასმით იწყებდა და ამბობდნენ, რომ მომავალში მათი *კარგად ყოფნა* შვილების უსაფრთხოდ ყოფნაზე იყო დამოკიდებული. ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც ამბობდა, რომ დღეს *რაღაცნაირ სიმშვიდესაც* გრძნობდა და დასძენდა, რომ მეუღლესთან განშორების შემდეგ, *საკუთარი თავიც, ახლიდან აღმოაჩინა,* მომავლის მიმართ რწმენებზე მითხრა:

პირველი რაც მინდა, არის ის, რომ ჩემი შვილები იყვნენ ჯანმრთელები. მერე, მინდა რომ მე ვიყო ჯანმრთელი და მინდა, რომ დავტკბე ცხოვრებით. აი, ბევრი ვიმოგზაურო, ეს მატერიალური პრობლემები ჩამოვიცილო [იცინის]. მე მგონია, რომ ახლა ისეთ ასაკში ვარ და იმდენი რამე გავიარე, რომ ეს ყველაფერი დავიმსახურე. დავიმსახურე ისე ცხოვრება, როგორც უცხოეთში ცხოვრობენ ადამიანები. მინდა ეს. მინდა რაღაც კარგი სიახლეებიც ჩემს ცხოვრებაში.

ერთ-ერთ მშობელს, რომელიც სოფლად მის მეუღლესა და შვილებთან ერთად ცხოვრობდა, ვკითხე, ჰქონდათ თუ არა ერთობლივი სამომავლო გეგმები მას და მის მეუღლეს; გარდა ამისა, ვთხოვე, ჩემთვის შვილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დარდთან საკუთარი განცდების გაზიარებაც. მან მიპასუხა:

სიმართლე რომ გითხრა, ესე რაღაცა გეგმები არა გვაქვს. გვინდა, ჩვენი შვილები და ეს [ტრანსგენდერი შვილი] იყოს კარგად. […] ჩემი ქმარი ამბობს ხოლმე, რომ აი, წავიდეთ სადმე, დავტოვოთ ეს სოფელიო. ბავშვის უსაფრთხოების გამო ამბობს ხოლმე. მაგრამ მე ვერ დავტოვებ ჩემს სოფელს. არ შემიძლია, საქართველოს გარეშე ვიცხოვრო. ჩემს ქმარს უნ-

და, რომ ასე მოვიქცეთ, რადგან იმას სჯერა, რომ საზოგადოება აქ ვერ მიიღებს ვერც მომავალში ჩვენს შვილს [...]. ფიქრობს, რომ დასცინიან და ალბათ, ასეც არის. მე სულ ვარიგებ, რომ არ მიაქციონ ყურადღება და რატომ ვარიგებ ამას იცით? ადამიანი სულ რომ იდეალურად იქცეოდეს, მაინც იმის საწინააღმდეგოს იტყვის ხალხი მასზე. ეს გამომიმუშავდა, იცით, არ ვაქცევ ამეებს ყურადღებას და ჩემი ქმრისთვის, ალბათ, ეს უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ის უფრო აქცევს ამას ყურადღებას და ინტერესდება, ალბათ, ამით. რამდენჯერ მიტირია, რამდენჯერ განმიცდია... ბევრჯერ მინერვიულია და მიფიქრია და ვერ ამომიხსნია, ასე რატომ ექცევიან ადამიანებს. [...] მხოლოდ ტრანსგენდერ ადამიანებს არა... აი, მე მახსოვს, ბევრჯერ დახეული ფეხსაცმლით გამიგზავნია [შვილი] სკოლაში და კლასელებს დაუცინიათ და გამიგია ეს. ამას ხომ მეც განვიცდიდი. ამის მერე მივხვდი, რომ რაღაცნაირად ამაზე ნერვიულობა არ ღირს. თითქოს ვისწავლე, რომ სიმშვიდე შევინარჩუნო. მე არა მგონია, რომ ჩვენი საზოგადოება შეიცვლება მომავალში. ვერ ვხედავ ვერაფერს, რაც მეტყვის, რომ შეიცვლება, მაგრამ იმედს ვიტოვებ მაინც.

საბოლოოდ, მიგნებებმა აჩვენა, რომ მშობლების მომავალთან დაკავშირებული ხედვები ერთმანეთისგან განსხვავებული იყო. ინტერვიუირების პროცესმა, გამოკვეთა ისიც, რომ წარსული მეხსიერების და აწმყო გამოცდილებების გაზიარებასთან შედარებით, მომავალთან დაკავშირებით მშობლები ნაკლებად საუბრობდნენ. ნაწილი მათგანისთვის, მომავალი, *ბუნდოვნად დანახული* და უიმედობისა თუ შიშის განცდასთან დაკავშირებულიც იყო. მშობლების თხრობა ხაზს უსვამდა, რომ ისინი საკუთარ მომავალ ცხოვრებაზე შვილების მდგომარეობისგან განყენებულად არ რეფლექსირებდნენ და ჩანდა, რომ მათი *კარგად ყოფნა*, შვილების *უსაფრთხოდ ყოფნასთან* იყო გადაჯაჭვული.

მშობლებისა და მათი შვილების ცხოვრებაში არსებული სირთულეების გათვალისწინების ფონზე, ზოგიერთი მშობელი, მომავლის მიმართ იმედიანად განწყობილიც ჩანდა. მიიჩნევდნენ, რომ საზოგადოებაში ქვიარი ადამიანების ხმა და გამოცდილებები, დღეს მეტად ხილვადი იყო, რაც მათ მიმართ არსებულ საზოგადოებრივ აღქმებს, უკეთესობისკენ ცვლი-

და. გარდა ამისა, ზოგიერთი მშობელი დასძენდა, რომ საკუთარ ვიწრო სოციუმში, თავადაც აქტივისტურ პრაქტიკას ახორციელებდნენ. ვინაიდან, გარშემომყოფებთან ის საუბრები, რომლებიც საკუთარი შვილების მდგომარეობისა თუ საჭიროებების შესახებ ჰქონდათ, მათთვის იმედიანი მომავლის დანახვის წინაპირობას ქმნიდა.





მშობლების სათქმელი მშობლებს

კრებული ქვიარ ადამიანების მშობლების გამოცდილებების – მათი ცხოვრების წარსული მეხსიერების, აწმყოში არსებული გამოწვევებისა თუ მათთან გამკლავების, მშობლების მომავალთან დაკავშირებული ხედვების ჩვენებას ისახავდა მიზნად. კვლევისთვის, შერჩეული მეთოდის – ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მახასიათებლის შესაბამისად, მნიშვნელოვანი არამხოლოდ მშობლების გამოცდილებების მოსმენა იყო, არამედ ისიც, თუ თავად როგორ შეაფასებდნენ საკუთარ ცხოვრებას. მიზანთან დაკავშირებულმა მიგნებებმა მშობლების გამოცდილებები და ხშირად, ამ გამოცდილებების შეფასებებს შორის არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვებიც აჩვენა. გარდა ამისა, კრებულში, მშობლების ხმის უკეთ ჩვენების მიზნით, უხვად მოხდა მათი ციტატების გამოყენებაც. ანგარიშის დასკვნითი სექციაც მშობლების სათქმელით სრულდება. ვფიქრობ, ისტორიების კრებულის დასრულების აღნიშნული გზა, მშობლობასთან დაკავშირებული გამოცდილებების მრავალშრიანობას ხაზს კიდევ ერთხელ გაუსვამს. გარდა ამისა, ეს თავად მშობლებსა და მკითხველს შორის არაპირდაპირი კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვან შესაძლებლობასაც შექმნის.

დედის სათქმელი მშობლებს

ერთგვარი განცდა მაქვს, რომ უფრო მეტის გაკეთება შემეძლო ჩემს შვილთან. უფრო მეტი კომუნიკაცია. მაგრამ ახლა, რომ ვფიქრობ, ეს კომუნიკაცია შვილთან, მე, როგორც მშობელმა, თავიდანვე არ ვიცოდი. მერე ვისწავლე – უკვე პროცესში. რაღაცა მეწინააღმდეგებოდა და დავნებდი კიდეც, ალბათ, რაღაც ეტაპზე. მაგალითად, ახლა ვერ ვიხსენებ, ბოლოს როდის გავატარე თუნდაც ერთი საათი ჩემს შვილთან იმისთვის, რომ არა ყოველდღიურ საკითხებზე, არამედ ერთმანეთზე გველაპარაკოს. გვეკითხოს, როგორ ვართ და რას განვიცდით. ამასაც ექნება თავისი ახსნა, მაგრამ მშობლებო, გეტყოდით, რომ ეს პროცესი რაც უფრო ნაკლებად გამეწელებოდა დროში, უფრო უკეთ ვიქნებოდი ახლა მეც და ჩემი შვილიც. შეიძლება განგებ ვერიდები კიდეც ამ საუბარს და მეშინია კიდეც ამ საუბრის, მაგრამ ეს საუბრები, თან გვაძლიერებს ყოველთვის.

მშობლებო, თქვენც გკითხავდით: ბოლოს როდის ისაუბრეთ თქვენს შვილებთან ერთმანეთზე? ერთმანეთის გასაჭირზე, გრძნობებზე? ისაუბრეთ ყოველდღიური, ხშირად უმიზეზოდ გართულებული საკითხების გარეშე ან, თუნდაც, ტელეფონში ჩახედვის გარეშე? ახლა ვხვდები, რომ მე ეს დიდი ხნის წინ გავაკეთე და ახლა, ამ ინტერვიუს შემდეგ, შევეცდები, ეს გამოვასწორო და ჩემს შვილთან სალაპარაკოდ დავჯდე. ხანდახან გვგონია, რომ გვესმის, ვგრძნობთ, მაგრამ რეალობა სულ სხვანაირია. ხანდახან შვილებსაც ჰგონიათ, რომ იციან ჩვენზე, მაგრამ ყოველთვის არ არის ასე და ვერც იქნება ასე.

არსებობს ასეთი გამოთქმაც – თუ შენი თავი არ შეიყვარე, სხვასაც ვერ შეიყვარებო. მე ჩემი თავი, ქმართან განშორების შემდეგ შევიყვარე. თითქოს დავიბრუნე ჩემი ცხოვრება. შემდეგ ძალიან საყურადღებო დაავადება შემეყარა და იცით, ზუსტად ამ დროს მივხვდი, იქნებ ახლა ჩემი დრო მოვიდა-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი. ამ დაავადებამ მასწავლა ბევრი რამე. ასევე ამბობენ, თუ შენი თავი ვერ გადაარჩინე, სხვასაც ვერ გადაარჩენო – ასე დამემართა. ვსწავლობ, როგორ გადავირჩინო თავი, როგორ შევიყვარო თავი და ამით, ჩემი შვილების ცხოვრებაც უკეთესი გავხადო. ერთხელ ერთმა ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, თუ ბედნიერი არ იქნები და ბედნიერ დედას ვერ დაინახავენ შვილები, ვერც შენ გაზრდი ბედნიერ შვილებსო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალთან, რაღაც დროის შემდეგ, ურთიერთობა ამერია, მისი სულ მადლობელი ვრჩები. თითქოს ამ სიტყვებმა მიბიძგა, ჩემს თავზე მემუშავა და დამეჭირა ჩემს ცხოვრებაში სილამაზეც, ბედნიერებაც და ამით მიმენიჭებინა იგივე ჩემი შვილებისთვის. როცა დამიჯერებია, რომ მთებს გადავდგამ, მართლა გადამიდგამს. დღეს ყველაზე ძლიერი მგონია ჩემი თავი. ეს სიძლიერე, არც მეგონა თუ მქონდა, მაგრამ მქონია, ვიპოვე. მშობლებო, რთულია, მაგრამ დაფიქრდით, თქვენც ხომ არ შეგიძლიათ იმავეს პოვნა. მგონია, რომ ყველას სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც შეგვიძლია ეს.

დედის სათქველი მშობლებს

მშობლებს ვეტყოდი, რომ ნუ გაწირავენ, ნუ შესწირავენ სხვების გამო თავის შვილებს. აი, ეს არის პირდაპირ სათქმელი: ვეტყოდი, რომ არ შეიძლება *„მეზობელი რას იტყვის?“* გამო შვილი დაჩაგრო. არ შეიძლება შვილი სახლში გატეხო, სანამ მას ცხოვრება ისედაც დაეჯახება. არ შეიძ-

ლება, შენს შვილს ფესვები გამოაბდღვნა და გამოაგლიჯო. ეს უბრალოდ დანაშაულია.

როდესაც ნერგს ვრგავთ მიწას ვუნაყოფიერებთ, რაღაცნაირად სასუქს ვახმართ, წყალს ვუსხამთ. თუ პაწია და ფარატინაა, ჯოხს ვურჭობთ მიწაში და შემდეგ ვაბამთ და ამით ვიცავთ, რომ ქარმა არ წააქციოს. და აქ ჩვენ, მშობლები, რას ვაკეთებთ?! მოვკიდებთ ხელს ჩვენს შვილს, ჩვენს ძვირფას ნერგს და ვგრეხთ და შემდეგ ვტეხთ. და მერე გვინდა, რომ რაღაცა დიდი და ლამაზი კაკლის ხე გაგვეზარდოს, მოსავალი მოგვცეს. ესე არ ხდება და არც შეიძლება ასე. არ ვიცი, ალბათ, რაღაც ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ შვილს უნდა ვაჯობოთ. ბოლოს ამის შეგვრცხვება და მეშინია, გვიანი არ იყოს. მშობლებო, ნუ შესწირავთ საზოგადოებრივ აზრს შვილებს. დაუდექით გვერდით და ნუ დატოვებთ მათ მარტო.

მათ ისედაც უჭირთ.

დედის სათქმელი მშობლებს

ჩემთვის წარმოუდგენელია, შვილზე უარი თქვა. წარმოუდგენლად მეჩვენება ეს. ჩემთვის შვილი, მის უპირობოდ სიყვარულს ნიშნავს. ვერ წარმომიდგენია მე, როგორც მშობელს, როგორ შეიძლება შვილი, საკუთარი სისხლი და ხორცი, გაიმეტო უარის თქმისთვის. ვიღაც შეგეცოდება და ხელს გაუწვდენ და რაღაც დახმარებას აღმოუჩენ და საკუთარ შვილს როგორ იმეტებენ, ჩემთვის წარმოუდგენელია. მე მშობლებს ვეტყოდი, რომ გაბედეთ, გაბედეთ იყოთ ბედნიერები! გახდით ბედნიერები და არა აქვს მნიშვნელობა თქვენი შვილის ორიენტაციას! გაბედეთ, იყოთ ბედნიერები და შეუწყვეთ ხელი, ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენი შვილებიც გახდნენ ბედნიერები. ცხოვრების აზრი და ამოსავალი წერტილი – ერთმანეთისთვის ბედნიერების გზის პოვნაში დახმარებაა.

შვილებს ბედნიერებისთვის ვაჩენთ. როგორ ვთქვა არ ვიცი, როგორია სწორი ფორმულირება, მაგრამ მთავარია ვიცი, რომ ჩემი შვილები იმის გამო არ გამიჩენია, რომ, აი, წყალი მომაწოდოს და რაღაცა – კარი გამიღოს, როგორც ბევრი ამბობს. ასე რომ არ იყო, ზუსტად ვიცი. შესაძლოა, ბევრი რამ ზუსტად არ ვიცოდე, მაგრამ ეს გამონაკლისია და ნამდვილად ვიცი, რომ ასეა.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შვილები იყვნენ ბედნიერები. მორჩა და გათავდა! ამისთვის გავაჩინე ისინი!

დედის სათქველი მშობლებს

რთულია იმის თქმა, თუ რას ვეტყოდი მშობლებს. მაგრამ, მაინც – მშობლებს ვეტყოდი, რომ უბრალოდ ერთხელ მოვდივართ და სადამდეც არ უნდა მივიდეს ტექნოლოგია, მეცნიერება თუ განვითარება, ვერასდროს ვერ მოვალთ მეორედ აქ, ამ ქვეყანაზე.

მშობლები მდინარეები ვართ, ჩვენგან წამოვიდნენ, განშტოვდნენ ჩვენი შვილები. წამოვიდნენ და სხვა მიმართულებით დაიწყეს დინება. ეს დინება ვერასოდეს ვერ გამოჰყვება ჩვენს დინებას. მაგრამ ჩვენგან წამოვიდნენ. ეს ახალი დინება, ნაკადი სწრაფია, ძლიერი – ახალი სიცოცხლით სავსე. ჩვენ შევქმენით ეს სიცოცხლე და ეს ახალი ძალა. ჩვენი მიზანი ის ხდება, რომ ამ შენაკადს, რომელიც გამოგვეყო და სვლა ახალი გზით განაგრძო, ბოლომდე გავყვეთ, უკან მივდიოთ. ყველა გზა რთულია და არც ეს იქნება გამონაკლისი. ამ ახალ გზაზეც, თუ რაიმეს ვერ გავიგებთ, გაგვიკვირდება თუ გაგვაბრაზებს, ვიკითხოთ – დე, აქ რა მოხდა? რამე დავუშავეთ ერთმანეთს? როგორ შევრიგდეთ? იქნებ, არც დაგვიშავებია და ლაპარაკი გვჭირდება, ერთმანეთის აზრებს და გონებას რომ დავეწიოთ?

ვარდი ლამაზია, მაგრამ მოკრეფაა რთული – ეკლები გესობა. ეს ვარდი ჩვენი შვილია და მშობლებს ეკლიანად უნდა მოგვწონდეს. ჩვენ თუ ამ ეკალს უარვყოფთ, მაშინ ვარდის მთლიანობას დავკარგავთ. ამიტომ, მე ეს ვარდი და მისი სილამაზე, თავისი ეკლებით მინდა. ჩემი შვილი თავიდან ბოლომდე მინდა და არა მისი დანაწევრებული, მთლიანობა მორღვეული ფორმით. თუ ვარდი გვინდა, რაღაც ეტაპზე, ალბათ, მზადაც უნდა ვიყოთ, რომ ეკლებში შევვარდეთ და დასისხლიანებულებიც გამოვიდეთ იქიდან.

მშობლებო, ვერავინ ვივიწყებთ ჩვენი შვილების ჩვენში ყოფნის პერიოდს. შეუძლებელია ამის დავიწყება და შეუძლებელია ამის ჩვენგან გარიყვა, ამოძირკვა.

ბევრი ამბობს, კულტურას თავისი კანონები აქვსო. მე ვამბობ – თუ ამ კანონებით ცხოვრობ, დაფიქრდი, რა არის ეს კანონი? ვინ მოიფიქრა ეს კანონი? ვინმეს ხომ არ უნგრევს ცხოვრებას ეს კანონი? მე მგონია, რომ კანონი არის იქ, სადაც სიყვარული არ არსებობს. იქ, სადაც სიყვარულია შეუძლებელი. როცა შვილი გყავს, მაშინ უკვე უნდა შეგვეძლოს სიყვარული და ამ კანონების გარეშე შვილების მიღება.

მეამაყება, რომ სიყვარული შემიძლია. ამაყი დედა ვარ, იმიტომ რომ მე მყავს ქვეყნიერებაზე ორი უსაყვარლესი და უძლიერესი შვილი. მე მათში სიძლიერე დავინახე და მათ კი მე მასწავლეს, რომ ვიყო უფრო ძლიერი.

დედის სათქმელი მშობლებს

დედებს ვეტყოდი, რომ რაღაცა ძალიან ძნელია ეს პროცესი და თითქოს არასდროს მარტივდება. დიახ, თითქოს, არასდროს, რადგან ყველა შენს საქმეში ცდილობს ჩარევას და ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს. მე მესმის მშობლების და ამ ტვირთის, რასაც მშობლები ვეზიდებით. დღევანდელი გადმოსახედიდან, ძალიან მინდა, რომ უბრალოდ დაცულები, ჯანმრთელები იყვნენ შვილები. კარგად იყვნენ. სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობ. მე უკვე შეგუების, რეალობის აღქმის ფაზა გავიარე და ეს უნდა გაიარონ სხვა მშობლებმაც იმისთვის, რათა შვილების სიყვარულის, მათი ცხოვრების მიღების ახალი ფაზა დაიწყონ. დღეს ჩემთვის მთავარია, ჩემი შვილი იყოს ის, ვინც მას რეალურად უნდა, რომ იყოს. იცხოვროს მასთან, ვინც ბედნიერებას მიანიჭებს. მშობლებო, აღიარეთ, ყველას გვინდა, ვუყურებდეთ ჩვენს შვილებს და მათ სახეზე ბედნიერებას ვკითხულობდეთ. თუ საზოგადოება, საახლობლო ამ ბედნიერებას შეეწინააღმდეგება, მაშინ ის ჩემთვის უკვე მეორე და მეასეხარისხოვანი გახდება და დიახ, გამხდარა კიდეც.

არავინ იფიქროს, რომ ამ პროცესს მარტივად ვუყურებ, არა. მე გამიმართლა ძალიან, რომ ჩემმა შვილმა ბევრი რამ მასწავლა. ბევრ კითხვას ვსვამდი. ამიტომ, მშობლებს ვეტყოდი, ნუ ჩაიკეტებით – დასვით ბევრი კითხვა. თავიდან ეს კითხვები შვილებსაც გააღიზიანებთ, შეიძლება, არც გიპასუხონ, მაგრამ ეს პროცესი, აუცილებლად დასრულდება საჭირო ინფორმაციის მიღებით და ცხოვრებას ახალი ფურცლიდან დაიწყებთ. თავიდან აღმოაჩენთ შვილებსაც და თქვენს თავებსაც. შეიძლება ისიც კი თქვათ, ღმერთო, რამდენ დროს ვკარგავდი, რამდენს ვღელავდი იმაზე, რაც ბუნებრივი ყოფილაო.

ზოგიერთ მშობელს, რომელსაც შვილის მიღება უჭირს, ვკითხავდი – რატომ გგონიათ, რომ ჩვენი შვილები ვინმეზე ნაკლებ ბედნიერებას იმსახურებენ?

ხოლო დედებს, რომლებმაც ახლა აღმოაჩინეს საკუთარი შვილის ცხოვრება, მინდა ვუთხრა, რომ წინ არ ელოდებათ მარტივი გზა, მაგრამ ვთხოვდი, ამ გზის გავლისას ყოფილიყვნენ თავაწეულნი და ამაყნი. ნეტავ, ჩემთვისაც ეთქვა ვინმეს ეს.

დედის სათქველი მშობლებს

მშობლებო, გადახედეთ თქვენს ბავშვობას და დაფიქრდით – ყოველთვის ისე იქცეოდით, როგორც თქვენს დედას და მამას გაუხარდებოდა? ხომ ყველას დაგვიშვია შეცდომები. ყოველთვის დედის გულის ვარდები ვერ ვიქნებოდით. იმდენჯერ დავფიქრებულვარ ჩემს ცხოვრებაზე და ახალგაზრდობაზე... რამდენი შეცდომა და მშობლების გულისტკენა გამიხსენებია. ასეა ცხოვრება, არ არის მარტივი.

მე მშობლებს, დარდთან გასამკლავებლად, ვერც მარტივ ფორმულას მივცემ და ვერც სხვა რაიმეს. რადგან მეც მიჭირდა ეს თავის დროზე. შვილი ყველაზე ძვირფასი რამეა და ამიტომ, თითქოს ბოლომდე ვერ ვიმეტებდი. იცით რისთვის ვერ ვიმეტებდი? იმისთვის, რომ ვიცოდი, გარეთ უსაფრთხოდ ვერ იქნებოდა. დავფიქრებულვარ, გარემო რომ უსაფრთხო იყოს ვიდარდებდი-მეთქი? და გულში მითქვამს, რომ არა, არ ვიდარდებდი, რადგან მთავარი ჩემი და ჩვენი შვილების უსაფრთხოებაა. და, რადგან გარეთ ეს უსაფრთხოება არ არის, ვცდილობ მე შევუქმნა ჩემი სიყვარულით უსაფრთხოება და მივიღო ის ისეთი, როგორიც არის.

ყველაფერი რაც შვილის ცხოვრებას უკავშირდება, რთული თემაა. პირველად, როდესაც ჩემს შვილზე გავიგე, იცით რა გრძნობა დამეუფლა? შიში. შემეშინდა. მართლა მეშინოდა. ახლაც მეშინია. სულ შემეშინდება. იცით რატომ? ვიცოდი, როგორი ბოროტია გარეთ სამყარო და როგორი რთული იქნებოდა ჩემი შვილისთვის ცხოვრება – სამსახურის დაწყება, მეგობრებთან დროის გატარება, განათლების მიღება, თუნდაც უბნის მაღაზიაში გასვლა.

მშობლებო, ვერ გეტყვით, რომ წინ მარტივი ცხოვრება გველოდება, მაგრამ ერთმანეთის მოფერებით, ბევრის გადარჩენას შევძლებთ.

დედის სათქველი მშობლებს

მე ყოველთვის ვგრძნობდი ჩვენს საზოგადოებაში ჩემი ქვიარი შვილის ცხოვრების სირთულეს. საზოგადოებაში, რომელშიც პოლიტიკის ყველა მკეთებელი, ქვიარ ადამიანების მიმართ აგრესიისა და ზიზღის გაღვივებით იყო დაკავებული. მე რასაც ვუყურებ, დღეს ეს მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, ამიტომ, მშობლებო, მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მოემზადეთ შვილებისთვის საბრძოლველად და მძიმე სცენარებისთვის.

გეტყვით, რომ რაღაც ეტაპზე, ჩვენ მოგვიწევს მზადყოფნის რეჟიმში გადასვლა. ამ რეჟიმზე გადასართველად, დაგვჭირდება იმ განცდის გამომუშავება, რომელიც გვეტყვის – ნებისმიერ დროს შევძლებთ ჩვენი ძალების მოკრებას და შვილების გამოტაცებას მოძალადეებისგან. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება მარტივი, რადგან ზოგიერთ ჩვენგანს უბრალოდ არ გვაქვს ასეთი სიძლიერე ჯერ ნაპოვნი. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ როდესაც ეს თემა შვილს ეხება და შემდეგ ხვდები, რის გამო გიზიანებენ შვილის ცხოვრებას, მის აწმყოს და მომავალს, ძალასაც პოულობ. ამ ძალამ, შეიძლება უცბად ამოხეთქოს. ისე, რომ ჩვენც არ ველოდებოდეთ. დღეს რასაც ვუყურებ, ჩვენი და ჩვენი შვილების მდგომარეობა, სამომავლოდ, ალბათ, კიდევ დამძიმდება. ისინი, ვინც ამ ქვეყანაში დავრჩებით და ამ რეალობას არ უნდა შევეგუოთ, მაგრამ თვალი გავუსწოროთ. რეალობაზე თვალის გასწორებაც არ არის მარტივი, რადგან ხშირად ეს რეალობაც დაკარგულია და ველარ ხვდები, რა არის მართალი. მაგრამ ამ რეალობის საპოვნელად ჩვენს გულს დავუჯერებთ და ამით ვიპოვით ძალასაც. ამ ძალის პოვნაში, ძალიან ღირებული გამოცდილება იქნება სხვა ქვიარ ადამიანების მშობლებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. საერთო ტკივილი ხშირად გვაძლიერებს და კოლექტიური ძალების, უფრო ამაღლებული ძალების პოვნაშიც გვეხმარება. ამიტომ, ვფიქრობ, რაღაცა გახსნილობაც გვჭირდება რომ მშობლებმა ერთმანეთი ვიპოვოთ. მაგრამ საქართველოში ეს ძალიან რთულია. თითქოს, ჩაკეტილები ვართ, რადგან გარემო გვზაფრავს და გვაშინებს კიდეც. ერთხელ, საქართველოს გარეთ ვიყავი, რაღაც ღონისძიებაზე წამიყვანეს, რომელშიც ქვიარი გოგოც მონაწილეობდა. ეს გოგო, ხელოვანი, მის მშობლებთან – დედ-მამასთან ერთად იყო მოსული. მე მაშინ, ბევრი რამ უკვე აღქმული მქონდა და ეს არ გამკვირვებია, მაგრამ გამახარა და უცნაურად გამაძლიერა. ისეთი ლამაზი სანახავი იყო ეს ყველაფერი... თითქოს, ხომ არაფერია – მშობლების დასწრება შვილის წარმატების ღონისძიებაზე... მაგრამ ეს გამოცდილება დღემდე მახსოვს, იმდენად გამაძლიერა. ამიტომ ვამბობ, მშობლებო, ვიპოვოთ ერთმანეთი. ერთად ყოფნა ძალიან გვჭირდება და კიდევ უფრო მეტად დაგვჭირდება მომავალში.

დედის სათქველი მშობლებს

რას ვეტყოდი მშობლებს? არ ვიცი, ახლა ვფიქრობ და მგონი, ვერაფერს ვერ ვეტყოდი. მე ვარ ადამიანი, რომელიც თავის ნაჭუჭში იკეტება და პრობლემასთან გასამკლავებლად მარტოს ურჩევნია დარჩენა. ალბათ, ეს ნაჭუჭი უფრო ვიწროვდება მაშინ, როდესაც საქმე ჩემთვის ყველაზე ძვირფასს – შვილს და შვილის ცხოვრებას ეხება. მის ჯანმრთელობას, ბედნიერად ცხოვრებას. მე ვარ ადამიანი, რომელიც იკეტება ამ ნაჭუჭში იმისთვის, რომ მარტომ გადახარშოს, რაც ხდება. ვერ ვხვდები, რა გამაძლიერებდა და ვერც იმას ვიტყვი, სხვას რა გააძლიერებს. ეს ყველაფერი ძალიან ინდივიდუალურია. ზოგადად, თემა რაც უფრო მეტად მტკივნეულია, მით უფრო რთულდება ამ საკითხთან ურთიერთობის გზების პოვნა. თქვენ ასევე მკითხეთ, თუ მახსენდებოდა რაიმე ისეთი, რამაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე გამაძლიერა. მახსენდება – წლების წინ, გავეცანი ერთ-ერთი ქვიარ ადამიანის მშობლებს – დედას და, სხვათა შორის, მამას. მაშინ ვიყავი გაოგნებული, რომ მამა ასე გვერდში ედგა შვილს და აძლიერებდა. უპირობოდ უჭერდა მხარს და ცდილობდა საკუთარი შვილის დაცვას. ეს არაჩვეულებრივი განცდა იყო. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მოხდა, დღესაც, როდესაც ვიხსენებ, მაძლიერებს ეს. მაძლიერებს, რადგან მამებს სხვა კაცებისგან და საკუთარი მშობლებისგან წამოსულ რაღაც უცნაურ და მძიმე წნეხში უწევთ გავლა. რაღაცნაირად განსხვავებული მგონია ის წნეხი, რომლებშიც მამები არიან. სურვილი მაქვს, მეტი მამის ხმა გავიგო. როგორც ჩვენ, მათაც შეეშლებათ ბევრი რამ, მაგრამ ბოლოს, როგორღაც ერთად დავდგებით შვილების გვერდით. რატომ? იმიტომ, რომ შვილების დაცვა, მხოლოდ დედის ვალდებულება არ არის.

მე დღეს ჩემი სადარდებელი მაქვს. ამ დარდით ვიძინებ და ვიღვიძებ. ახლაც ამ დარდით ვზივარ. ჩემს ტრანსგენდერ შვილს ყოველთვის ჰქონდეს საკუთარი წამალი და არ ჩამოეშალოს თავისი ცხოვრება. დანარჩენს მე თავად გადავლახავ, ალბათ. უკვე ისე მივეჩვიე, ვიპოვი როგორმე გზას. გამოვნახავ რაღაც ბრძოლის სტრატეგიას.

მშობლებო, შვილი არ ითხოვს გაჩენას, მშობლები ვწყვეტთ მის გაჩენას და შემდეგ, ჩვენი მოვალეობაა, სიარულის მათთან ერთად გაგრძელება. როგორი უცნაურია – ყველაზე რთული რაღაცები, ხშირად როგორ ეტევა ასეთ მოკლე წინადადებებში. არა?

დედის სათქმელი მშობლებს

მამებს არ ვიცი, რას ვეტყოდი, გარდა იმისა, რომ ხმა ამოიღონ. მე მამებს ვერ ვხედავ ისე, როგორც დედებს. ვერ ვხედავ იქ, სადაც მშობელს უნდა ვხედავდე მაშინ, როდესაც შვილს უჭირს. თუ ვინმე მეტყვის, რომ ამას ახსნა აქვს, დავჯდები და მოვუსმენ. იქნებ დუმილით აკეთებენ რაიმე კარგს, გვითხრან, გაგვაგებინონ დედებს და იქნებ ჩვენც გავითვალისწინოთ მათი აზრი. გვასწავლონ, ჩვენც ვასწავლით – შვილს ორივე სჭირდება. დედა ვერ ანაცვლებს მამას და მამა დედას. ასე მესმის მშობლობა და ასე მესმის შვილების გვერდით დგომა. ცოტა ვბრაზდები ახლა, და მირჩევნია, ისევ დავფიქრდე და კითხვას – რას ვეტყოდი მშობლებს – მივუბრუნდე.

ბანალური იქნება, მაგრამ ვიტყვი, რომ შვილების სიყვარული უნდა ვისწავლოთ. შევიყვაროთ ისეთები, როგორებსაც არ მოველოდით, რომ იქნებოდნენ. მშობლებო, კიდევ გეტყოდით იმასაც, რომ სრულიად ჩაერთოთ მათ ცხოვრებაში. რასაც ვერ იგებთ, დასვათ კითხვები და თქვენი აზრიც აჩვენეთ მათ. არ ჩაიკეტოთ. როცა ვიკეტებით, ისინიც იკეტებიან და არ არის ეს ჯანსაღი. უფრო გაგაწვალებთ, მე გამაწვალა ადრე და კითხვების დასმამ, კამათმაც კი მიშველა. ჩემი რჩევაა, რომ საუბრები შვილებთან მშვიდ გარემოში გქონდეთ. შვილი და მშობელი ისეთი რამ არის, მშობლის სიტყვაზე შვილი ყოველთვის იფიქრებს ჩუმად, სულ რომ არ დაეთანხმოს თავიდან და პირიქით, მშობელიც ბევრ კითხვას დაუსვამს საკუთარ თავს – ჩაიძირება ამ ფიქრებში. შვილი ხარშავს მშობლის სიტყვებს. ჩემთვის უთქვამს ჩემს შვილს – მეჯავრები, არ მიყვარხარ, მაგრამ ხომ ვიცოდი, რომ ეს არ იყო მართალი. ხომ მჯეროდა, რომ მას ვუყვარდი. შესაძლოა, ჩვენს შვილებს, აგრესიაც ამიტომ აქვთ ჩვენს მიმართ – ვუყვარვართ და რომ არ შეუძლიათ ჩვენი დათმობა, ამიტომ გვიყვირიან, გულსაც გვტკენენ. მე ჩემს თავზე ვლაპარაკობ. არ გეგონოთ, ეს სიტყვები სადღაც ამოვიკითხე ან ვინმემ მითხრა. მე დევნილი ვარ და წარმოიდგინეთ, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. რამდენი ადამიანი მოვიგერიე, ჩემი შვილის შესანარჩუნებლად. დღეები არ მეყოფა ამ სირთულის გადმოსაცემად. მაგრამ მაინც – როცა სიმშვიდე შემინარჩუნებია, დაბრუნებულა ჩემთან ჩემი შვილი და უთქმელად ჩავხუტებივართ ერთმანეთს. უთქვამს, აი, დედა, შენ აქ ყოფილხარ მართალი, აქ მე ვყოფილვარ მართალი და სწორედ ამან შეგვანარჩუნებინა ერთმანეთი.

თუ მშობელმა მაგრად დაიჭირა თავი, იქ ტყუილია – ვერც ნათესავი გაბედავს ჩარევას, ვერც მეზობელი. აქ მაგრად უნდა დადგნენ მამები. მა-

მებს ვეტყოდი, რომ გაიცნონ საკუთარი შვილები. ემეგობრონ მათ. მე კაცის ფსიქოლოგია არ ვიცი, მაგრამ მჯერა, რომ მათი ეს დამეგობრება, აუცილებლად დასრულდება დიდი და ლამაზი სიყვარულით.

დედის სათქველი მშობლებს

მშობლებს რას ვეტყოდი, არ ვიცი, მაგრამ თავდაპირველად, ვკითხავდი – თუ დაფიქრებულხართ, როდემდე შეიძლება, ადამიანმა იცხოვროს ტყუილში? ყველაფერი, რასაც არ ვიაზრებთ, არ ვსწავლობთ, არ გვაფიქრებს, არ გვაბრაზებს – ტყუილში ცხოვრებაა. ჩვენ, ადამიანებს, რაღაც იმედი გვაქვს, რომ სიკვდილის შემდეგ სადაც წავალთ, იქ მაინც ვიქნებით ბედნიერები. ეს წუთისოფელი პატარაა, აქ რომ ტყუილში ვიცხოვრებთ, სხვაგან როგორ ვიქნებით ბედნიერები? რატომ უნდა გავლიოთ ჩვენი ცხოვრება ისე, რომ სიმართლეს, თუნდაც, გულს გვტკენდეს ის, არ გავუსწოროთ თვალი? ღმერთთან როდესაც მივალთ, ხომ ვერ ვეტყვით – ღმერთო, ეს რა გამიკეთე, რატომ მომეცი ასეთი შვილი? ხომ ვერ ვეტყვით, ღმერთო, ასეთი შვილი რად მინდოდა, მე სხვანაირს ველოდებოდი? რაც დროს გადის, ვფიქრობ, რომ ჩვენმა თაობამ გადარჩენისთვის იმდენი იბრძოლა, დროც აღარ დარჩა ფიქრისთვის. არც სკოლებში და უნივერსიტეტებში გვასწავლეს ის, რასაც ცხოვრებაში გამოვიყენებდით. რა კარგია, რომ ახლა აღარ არის ის დრო; მე დავმჯდარვარ და ინტერნეტშიც წამიკითხავს ბევრი. ჩემი შვილისთვის მითხოვია – დე, მოდი სულ შენ კი არ მელაპარაკო, მომეცი რაღაცა ისეთი, რასაც წავიკითხავ და თავად გავიაზრებმეთქი. იცით, მშობლები, თითქოს ჩვენს პატარა სამყაროში ვართ ჩაკეტილები. ერთმანეთს არ ველაპარაკებით და არც ახლოს ვუშვებთ. ხანდახან გვგონია, რომ ახლობელი შეგვავიწროებს თუ რაიმეს ვეტყვით. მშობლებიდან ზოგმა მეტის გაგება შევძელით, ზოგმა ნაკლების. მაგრამ ერთმანეთს რომ ვიცნობდეთ, თუნდაც ახლა, ვინც კითხულობს ამას, დამერწმუნე, უფრო მაგრები ვიქნებოდით, უფრო ძლიერები. არ ვიცი, ადამიანია ასეთი – როცა ხედავს, რომ პრობლემებთან მარტო არ არის, მარტო მას არ აწუხებს ის, უფრო ძლიერდება. თითქოს გამბედაობაც ემატება და ძალასაც პოულობს, რომ შვილი ჩუმად კი არ უყვარდეს, არამედ ხმამაღლა და ომახიანად. თითქოს მოკავშირეს პოულობს, თანამებრძოლს ომში. სახელმწიფომ, ალბათ, იცის, რომ ერთმანეთი გაგვაძლიერებს და არაფერს აკეთებს იმისთვის რომ ჩვენ, მშობლებს, ერთმანეთი გაგვაცნოს და ამ

კავშირებით გაგვაძლიეროს. რამდენი დედაა მარტოობაში და იტანჯება ამით. იტანჯება მაშინ, როდესაც მათ გვერდზე კიდევ ბევრნი ვართ. ვარსებობთ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვპოულობთ და დიახ, სწორედ ამიტომ ვიტანჯებით.

ყველაზე მეტად მათი მიმძიმს, მათი ტკივილის მესმის, ვინც ჩაკეტილია სოფლებში. ასეთი პატარაა ჩვენი საქართველო და როგორ შეიძლება, ხელს არ გვიწყობდეს სახელმწიფო, რომ მშობლებმა ერთმანეთი გავიცნოთ. რაც უფრო ძლიერი გყავს მოქალაქე, ქვეყანაც ხომ უფრო მაგარი გამოდიხარ?! ალბათ, არ უნდა ჩვენს სახელმწიფოს მაგარი მოქალაქეები.

მე არ ვიცი, ამას როგორ უნდა გავუძლოთ, მაგრამ მშობლებო, გეხვეწებით, გააკეთეთ ყველაფერი, რათა სხვა მშობლები გაიცნოთ. ჩვენ, მშობლები ისეთ სიტყვებს ვეტყვით ერთმანეთს, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება და გაგვაძლიერებს.

დედის სათქმელი მშობლებს

ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მშობლებისთვის მაქვს სათქმელი – აიყვანეთ თავი ხელში, აუცილებლად მოძებნეთ ის სივრცე, ის საზოგადოება, თუნდაც ის ერთი ადამიანი – დაქალი, ძმაკაცი, ვისთანაც შეგიძლიათ ბოლომდე გაიხსნათ. თუნდაც, დავარქვათ ამ გახსნას თავისუფალი ჭორაობა. ჭორაობა ჩვენს თავზე, ჩვენს ფიქრებზე, იმაზე, რაც არ ვიცით, ბოლომდე ვერ ამოგვიხსნია. მიჭირს ხოლმე იმის თქმა, რომ მიმართონ სპეციალისტსაც – ფსიქოლოგს, რადგან უმრავლესობას არ აქვს ამის მატერიალური შესაძლებლობა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა ეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორად მოაზროვნე ფსიქოლოგის ჩარევა ჩვენს ცხოვრებაში. მშობლის და შვილის მდგომარეობა ერთმანეთზეა თითქოს მიწებებული. თუ მე დამეხმარება ფსიქოლოგი, უკეთესად გამხდის, შემდეგ, ჩემი ეს მდგომარეობა დაეხმარება ჩემს შვილსაც. ორმხრივი პროცესია ეს და ამიტომ არის ჩვენი კარგად, ძლიერად ყოფნა მნიშვნელოვანი.

[მშობლებო] არ დაგვავიწყდეს შვილებთან ჩახუტება და ლაპარაკი. მათ ხომ არ გვთხოვეს, რომ გაგვეჩინა. ჩვენ, რაღაც ეტაპზე, შეიძლება შვილების, ვთქვათ, მატერიალურ ზრუნვაზე უარი ვთქვათ, რადგან არ შეგვეძლოს ამ ვალდებულებებთან გამკლავება ან თავად გვინდოდეს ჩვენი ცხოვრების მოწესრიგება. მაგრამ ზრუნვის პასუხისმგებლობა ისეთი რამ არის, რომელსაც ვერცერთ ასაკში ვერ გავექცევით. მიფიქრია, თუ ჩემს

შვილზე არ ვიზრუნებ, მე რომ დამჭირდება მისგან ზრუნვა, მოვლა, მაშინ როგორ მივიღებ მისგან ამას? შემრცხვება და ვერ მივიღებ. ახლა, როდესაც მშობლებზე ვსაუბრობ, უნდა გამოვტყდე, რომ დედებს ვგულისხმობ. მამებს ვერ ვხედავ და კითხვა მიჩნდება – რატომ? არავინ იფიქროს, რომ დედისთვის მარტივია და მამისთვის განსაკუთრებულად რთული. მაშინ კითხვას ვსვამ – სად არიან მამები? ჩვენ მამებიც გვჭირდება, რადგან საქმე ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ შვილებთან კი არ გვაქვს ეს პასუხისმგებლობები, არამედ საზოგადოებასთანაც. ჩვენ გარშემო მცხოვრებ ადამიანებთან, ყველასთან. იცით, მე მგონია, რომ ყველასთან შეიძლება ლაპარაკი და საერთო ენის გამონახვა. ჩვენ პატარა საზოგადოება ვართ და შეუძლებელია დავიშალოთ, დავნაწევრდეთ და ვთქვათ: მე შენთან არ ვილაპარაკებ, რადგან ჰომოფობი ხარ ან – *მე შენთან არ ვილაპარაკებ – ქვიარი ხარ.* ასე როგორ გავძლებთ? სადამდე მიგვიყვანს ეს? მე ჰომოფობებთანაც ვლაპარაკობ და ისინიც მელაპარაკებიან. შესაძლოა, მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ამისთვის ძალა ვიპოვე. ბევრთან საერთო აზრამდეც მივსულვარ. ყველა, ვინც ქვიარ ადამიანებზე არ იცის, ავტომატურად მოძალადე არ არის. იცით, რამდენი კითხვა დაუსვამთ ჩემთვის? და მივმხდარვარ, რომ აი, თურმე რაღაც არ სცოდნიათ, რაღაც ინფორმაცია სჭირდება ბევრ მათგანს იმისთვის, რომ სწორად მოექცნენ ჩვენს შვილებს. ჩემს შვილს არ უყვარს ეს სიტყვა, მაგრამ გასაგებად რომ ვთქვა – ამ ვითომ განსხვავებულ ადამიანებს. საუბარია მთავარი და მჯერა, ამ საუბრის დასაწყებად საჭირო ძალის პოვნა ყველას შეუძლია. მე ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ, მე რომ შევძელი, დამიჯერეთ, თქვენც შეძლებთ.

მამის სათქმელი მშობლებს

ყველა მშობელს გაუჭირდება შვილთან ურთიერთობა. გაუჭირდება, რადგან ზოგს ცოდნა არა გვაქვს, ზოგს გვეშინია შვილებთან ურთიერთობის. ხანდახან, თვითონ შვილებიც გაგვირბიან და ჰგონიათ, სულ მათ წინააღმდეგ ვართ ჩასაფრებულები მაშინაც კი, როდესაც მართლა მათთან ერთად გვინდა სწავლა რაღაც ახლის. ახლა, ვფიქრობ, თუ რას ვეტყოდი სხვა მშობლებს, რა იქნება ჩემი სათქმელი და, ღარიბულად რომ გითხრათ, მიჭირს რაიმეს თქმა – ბევრი მაქვს სათქმელი და თან ვერც ვალაგებ ამ სათქმელს.

რაც მახსენდება და რასაც არ დავმალავ, ის არის რომ მე, როგორც მამას, ასევე მქონდა აგრესიები, ხანდახან ძალიან დიდი აგრესიები ჩემი შვილის მიმართ. მე მორწმუნე კაცი ვარ და არ ვიცოდი, ეს ორი ამბავი ერთმანეთთან როგორ დამეკავშირებინა. ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ის შვილია და უნდა ვაცადო ცხოვრება. გვერდში ამოვუდგე გაჭირვებაში და დავიცვა. თუ ასე არ ვიზამდი, სულ ვფიქრობდი, რაიმე ისეთს გააკეთებდა მარტოდ დარჩენილი, რომ მერე ჩემს ღმერთთან გამიხდებოდა სანანებელი. გამართლებული არ იქნებოდა ჩემს ქრისტიანობასთან და ადამიანურ მორალთან, თუ შვილის გვერდით არ დავდგებოდი. ღმერთო, ერთადერთ რაიმეს გთხოვ, ჩემი შვილის ცუდს ნუ გამაგებინებ. გთხოვ, იყოს ბედნიერი. ალბათ, ამას ვიტყოდი, მამის პოზიციიდან, სხვას ვერაფერს. დიდი სიმწარეა ამ სირთულის გავლა.

როცა სირთულეები გადავლახეთ, ბოლოს ისე მომეკედლა და ისე მივეკედლე, დედამისსაც უკვირდა – ასე ძალიან როგორ დამეგობრდითო, ამბობდა. გავიგე, ერთხელ ისიც უთქვამს, მამაშენი ქრისტიანია და არ მიგიღებსო და გაუკვირდა ჩემს ცოლს, ალბათ.

შეიძლება, დღესაც იყოს ისეთი მომენტები, რომლის მიღებაც მიჭირს ან არ ვეთანხმები, მაგრამ ასე ხომ ხშირად ხდება, როდესაც ერთმანეთს არ ვეთანხმებით. რაღაცებში ერთმანეთის აზრი არ მოგვწონს.

დღეს მე მიღებული მყავს ჩემი შვილი, როგორც პიროვნება, ადამიანი. თითქოს მანაც მაპატია ყველა ის, არ ვიცი, როგორ ვთქვა – ცუდი რამ, რაც მე მას გავუკეთე. რა ვიცი აბა, რა ვუთხრა სხვა მშობლებს – დედებს და მამებს? არ მგონია ვიცოდე, რას ვეტყოდი. მაგრამ რაც მალე წავა რთული პერიოდი, რაღაცნაირად უფრო შევძლებთ ცხოვრებას.